





ხარისხის მართვის სერია: დანერგვის სახელმძღვანელო მცირე
ფორმებისთვის



ნაწილი 2:
დანერგვის დეტალური გეგმის შემუშავება



შესავალი	4
წინარე ინფორმაცია	4
ამ სერიისა და წინამდებარე ნაწილის მიმოხილვა	5
გრადაცია	6
დანერგვის დეტალური გეგმა	7
შემოთავაზებული გეგმა: ეტაპობრივი მიდგომა	8
ნაბიჯი 3: ხარისხის მიზნებთან დაკავშირებით გონებრივი იერიში და რისკების შეფასება	9
ხარისხის მიზნები	9
რისკის შეფასების პროცესი	10
ნაბიჯი 4: პასუხისმგებლობების განაწილება	12
ნაბიჯი 5: ინფორმაციის შეგროვება	13
ნაბიჯი 6: საპასუხო ზომების განსაზღვრა, მათ შორის არსებული პოლიტიკების ცვლილება	14
ნაბიჯი 7: ხმს-ის დოკუმენტაციის შეფასება და კომუნიკაცია	16
ნაბიჯი 8: მონიტორინგი და რემედიაცია	16
კომპონენტები კიდევ ერთხელ	17
მმართველობა და ხელმძღვანელობა	17
სათანადო ეთიკური მოთხოვნები	18
დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება	20
გარიგების შესრულება	22



შინაარსი

გასათვალისწინებელი საკითხები მცირე ფირმებისთვის	23
გარიგების ხარისხის მიმოხილვები	24
რესურსები	27
ადამიანური რესურსების განაწილება	28
ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები	29
ინფორმაცია და კომუნიკაცია	29
ინფორმირებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ხარისხის მიზნები	30
დანართი ა: კონკრეტული საპასუხო ზომები	31
დანართი ბ: ცვლილებები პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსში (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებში)	33
დანართი გ: შემთხვევის ანალიზი	34
დანართი დ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - დამოუკიდებლობის დასტური	47
დანართი ე: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - კონფიდენციალურობის განაცხადი	48
დანართი ვ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება – დათანხმება და გაგრძელება (დამკვეთი და გარიგება)	50
დანართი ზ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - რესურსები და გარე კონსულტაცია	60
დანართი თ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - გარიგების ხარისხის მიმოხილვა	61
დანართი ი: განმარტებები	64
დანართი კ: რესურსები	66
დანართი ლ: სერიის შემდგომი მიმოხილვა	67



შესავალი

წინარე ინფორმაცია

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) გამოაქვეყნა ხარისხის მართვის სამი ახალი და გადასინჯული სტანდარტი, რომლის მიზანია ხარისხის მართვისადმი ფირმის მიდგომების გაუმჯობესება და მოდერნიზება, ესენია:




- ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ხმს 1), *ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს* (ყოფილი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 1¹),
- ხმს 2, *გარიგების ხარისხის მიმოხილვა*, და
- ასს 220 (გადასინჯული), *ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა*.

თქვენს ფირმაზე მორგებული ხარისხის მართვის სისტემა (ხმს) უნდა გქონდეთ 2022 წლის 15 დეკემბრისთვის. ის უნდა შემუშავდეს თქვენი ფირმის ხასიათსა და გარემოებებზე დაყრდნობით. თქვენი ფირმის ხმს-ის შექმნა და დანერგვა უნდა მოხდეს თქვენთან ერთად და შესაძლოა სხვების ჩართულობითაც. თქვენი ხმს უნდა იქნეს შემუშავებული თქვენს ფირმაში მიმდინარე დისკუსიების საფუძველზე, და ზოგიერთ შემთხვევაში თქვენი ფირმის მიღმა არსებული ადამიანების, მაგალითად მომსახურების პროვაიდერების ჩართულობით.

თქვენი ხმს განვითარდება დროთა განმავლობაში, ამიტომ, არ აქვს მნიშვნელობა მას ახლა ქმნით თუ ახდენთ არსებული ხმს-ის გადასინჯვას და განახლებას, ეს სერია შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს დანერგვის სხვადასხვა ეტაპზე და იმ პირობებში, როდესაც თქვენ ისწრაფვით უწყვეტი გაუმჯობესებისკენ.

პროფესიული განსჯის გამოყენება

თქვენი ფირმის ხმს-ის დიზაინი, დანერგვა და ფუნქციონირება მოითხოვს პროფესიული განსჯის გამოყენებას. ზოგიერთი ასპექტი ფოკუსირებულია ფირმაზე, ხოლო სხვები - გარიგების დონეზე. მაგალითად, ზოგიერთი პოლიტიკა და პროცედურა შეიძლება პირდაპირ გარიგების დონეზე დაინერგოს (იხილეთ ასს 220 (გადასინჯული), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა).



¹ ხესს 1, *ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს და მიმოხილვას, და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურებების გარიგებებს*

ამ სერიისა და წინამდებარე ნაწილის მიმოხილვა

ხმს 1 არის სტანდარტი, რომელიც ეხება ფირმის პასუხისმგებლობებს ხმს-ის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების მიმართულებით, ფირმისთვის და მისი გარიგებებისთვის, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურების გარიგებებისთვის.

სერიის მიზანი: ხარისხის მართვის სერიის მიზანია მცირე ფირმებს ხმს 1-ის და მასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და ცვლილებების დანერგვის პროცესში დაეხმაროს.

ეს პუბლიკაცია მეორეა სამ ნაწილიანი სერიიდან, რომლის მიზანიც სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით რჩევებისა და მითითებების მიცემაა. იგი შეეხება:

- **ხარისხის მიზნების** გამოვლენას,
- ხარისხის **რისკის შეფასების პროცესის** დასრულებას,
- ხარისხის ამ რისკებზე (ასევე ეწოდება პოლიტიკა ან/და პროცედურები ან “კონტროლის პროცედურები”) არსებული **საპასუხო ზომების** იდენტიფიცირებას, ან ახლის შემუშავებას, და
- ხმს-ის დანერგვას, დოკუმენტირებას და მასზე ინფორმაციის მიწოდებას.

მესამე ნაწილი შეეხება თქვენი ხმს-ის მონიტორინგსა და რემედიაციას.

ეს სერია მოიცავს "მცირე ფირმებთან" დაკავშირებული საკითხების განხილვას და შესაბამის საილუსტრაციო მაგალითებს. შეგახსენებთ, რომ "ფირმის" განმარტება ასევე მოიცავს ინდივიდუალურ პრაქტიკოსსაც. მცირე ფირმები ერთმანეთისგან განსხვავდება ზომებისა და ფუნქციონირების სტრუქტურის მიხედვით. ყველა განსხვავებული შესაძლებლობის განხილვა შეუძლებელია, თუმცა მოცემული სერია განიხილავს შემდეგ შესაძლო სცენარებს:

- ინდივიდუალური თანამშრომლების გარეშე; პრაქტიკოსი
- ინდივიდუალური თანამშრომლებით, და პრაქტიკოსი
- ფირმა 2-5 პარტნიორით და თანამშრომლებით.

სერიაში წარმოდგენილ ყველა განხილვასა და საილუსტრაციო მაგალითში იგულისხმება, რომ მცირე ფირმები ატარებენ აუდიტს, მიმოხილვას და დაკავშირებულ მომსახურებებს. რა თქმა უნდა, თუ თქვენი ფირმა არ ატარებს, მაგალითად, აუდიტს, თქვენ მაინც შეძლებთ ხმს 1-ში მოცემულ აუდიტის გარიგებებთან დაკავშირებული რისკებისა და ხარისხის მიზნების ოპტიმიზებას თქვენს საკუთარ ხარისხის მართვის სისტემაში.

სერია არ ეხება ისეთ ფირმებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც ემსახურებიან საფონდო ბირჟაზე კოტირებულ საწარმოებს ან არიან ფირმების ქსელის წევრნი. ეს იმიტომ, რომ ეს სერია ორიენტირებული იყოს მხოლოდ ისეთ ინდივიდუალურ ფირმებზე, რომლებიც კერძო სუბიექტებს ემსახურებიან. ხმს 1-ში მოცემულია ქსელის განმარტება ამ სტანდარტის მოქმედების ფარგლებში, მასში ასევე წარმოდგენილია ფირმის ქსელთან კუთვნილების ან ქსელის მომსახურების შესრულების კონკრეტული მოთხოვნები. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ყველა ქსელი ერთნაირი არ არის და თუ თქვენი ფირმა ქსელის წევრია, ეს სერია შესაძლოა თქვენთვისაც გამოსადეგი იყოს, მაგრამ ამასთანავე დაგჭირდეთ მიმართოთ ხმს 1-ს დამატებითი მოთხოვნებისა და სახელმძღვანელო მითითებებისთვის.



ხკს 1-დან ხმს-ზე გადასვლის საილუსტრაციოდ ამ ნაწილში განხილული იქნება მარსელ მუნის საქმის შესწავლა IFAC-ის პუბლიკაციიდან ["ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო პრაქტიკის ფირმებისთვის"](#) (მესამე გამოცემა).

ეს ნაწილი არ ეხება მონიტორინგსა და რემედიაციას. ეს საკითხი განხილულ იქნება ამ სერიის მე-3 ნაწილში. მე-3 ნაწილის მოკლე შეჯამება წმოდგენილია "ლ" დანართში.

ისეთ ფირმებს, რომელთაც 2 - 5 პარტნიორი ჰყავთ, შესაძლოა აინტერესებდეთ, როგორ გავლენას მოახდენს ხმს-ის შეფასება იმ პირების შეფასებაზე, რომელთაც ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში წამყვანი როლები და პასუხისმგებლობები აკისრიათ. ხმს-ის შეფასება განხილულია მე-3 ნაწილში, თუმცა ამ როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წინასწარ დაფიქრება შეიძლება გამოსადეგი იყოს.

ამ სერიის მიზანია დახმარება გაგიწიოთ ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესში, თუმცა იგი ვერ ჩაანაცვლებს სტანდარტების წაკითხვის აუცილებლობას. პრაქტიკოსებმა ეს სერია უნდა გამოიყენონ პროფესიული განსჯის საფუძველზე და საკუთარ ფირმასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. აქ მოცემული მაგალითები არ არის ყოვლისმომცველი და წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისთვის. IFAC უარს ამბობს ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, პირდაპირ ან ირიბად, ამ სერიის გამოყენების შედეგად.



გრადაცია

ხმსს 1-ის თანახმად, თქვენი ხმს-ის დიზაინი, დანერგვა და ფუნქციონირება უნდა დაეფუძნოს თქვენი ფირმის ხასიათსა და გარემოებებს და იმ გარიგებებს, რომელსაც ის ასრულებს. ხმს-ის შექმნის, დანერგვის და ფუნქციონირების პროცესში უნდა გამოიყენოთ პროფესიული განსჯა, რომელიც დოკუმენტურად უნდა ასახოთ.

გრადაციასა და ადაპტირებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები ხმსს 1-ის მოთხოვნებში რამდენიმე განსხვავებული გზით არის ასახული:

ხარისხის მიზნები ეფუძნება შედეგს. თქვენვე განსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ ხარისხის მიზნებს.


ხარისხის რისკები თქვენს ფირმაზეა მორგებული. ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას, თქვენ უნდა ფოკუსირდეთ იმ პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებების ან აკრძალვების გაცნობიერებაზე, რომლებიც უკავშირდება თქვენი ფირმის ხასიათსა და გარემოებებს და მის გარიგებებს.


არსებობს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კონკრეტული სავალდებულო საპასუხო ზომები. თქვენმა ფირმამ თავად უნდა შეიმუშაოს და დანერგოს საკუთარი საპასუხო ზომები ხარისხის რისკების მიმართ.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მოთხოვნები განსაზღვრავს, რა უნდა ჰქონდეს თქვენს ფირმას მონიტორინგისა და რემედიაციის უზრუნველსაყოფად. ხოლო თქვენი ფირმის მიერ ამ პროცესის განხორციელება თქვენი ფირმის გარემოებებს უნდა მოერგოს.

(წყარო: IAASB-ის [ხმსს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელო](#))

გრადაცია ამ სერიაში განხილვებისა და მაგალითების გამოყენებითაა ნაჩვენები.





თქვენი ხმს-ის დიზაინი და დანერგვა იტერაციული პროცესი იქნება და თქვენს მიერ შემუშავებული ნებისმიერი გეგმა მისი პროგრესის პარალელურად განვითარდება. არსებობს სამი მთავარი "ფაზა", რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

1. ხარისხის მიზნების განსაზღვრა

თქვენი ფირმა ვალდებულია განსაზღვროს ხარისხის მიზნები. არსებობს ექვსი კომპონენტი შესაბამისი ხარისხის მიზნებით, რომლებიც ქვემოთ "მე-3 ნაბიჯში" დეტალურადაა აღწერილი. თქვენი ფირმა, ხმს-ის ფარგლებში, ვალდებულია თითოეული მათგანისთვის განსაზღვროს ხარისხის მიზნები. მაგალითად, ხმსს 1 მოიცავს მმართველობასთან და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ხარისხის მიზნებს, რომლებიც ამ სერიის პირველ ნაწილში (იხილეთ პირველი ნაწილის დანართი "დ") იყო წარმოდგენილი. თუმცა, შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ხარისხის მიზანი, ან მისი ასპექტი, არ არის რელევანტური თქვენი ფირმისთვის, ან როდესაც გარიგების ხასიათიდან და გარემოებებიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი ხარისხის მიზნის, ან მისი ასპექტის განსაზღვრა. ხმსს 1-ში შეტანილი მიზნების გარდა დამატებითი ხარისხის მიზნების განხილვა მნიშვნელოვანია, მაგრამ სინამდვილეში ახალი ხარისხის მიზნების დამატება ნაკლებ მოსალოდნელია.

2. რისკების შეფასება

რისკის შეფასების პროცესის მეშვეობით, ხდება ხარისხის მიზნების მიღწევის რისკების (ე.წ. "ხარისხის რისკების") გამოვლენა და შეფასება. აქ თქვენ განიხილავთ კონკრეტულად თქვენი ფირმის ხასიათსა და გარემოებებს იმის დასადგენად, თუ რომელი რისკებია ხარისხის რისკები და შესაბამისად, რომელი მათგანი საჭიროებს საპასუხო ზომებს.

დაიმახსოვრეთ:

რისკის შეფასების პროცესში იყავით ღია. არ მოექცეთ არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ზეგავლენის ქვეშ. გამოავლინეთ ხარისხის რისკები არსებული საპასუხო ზომების ეფექტის გათვალისწინების გარეშე.

3. ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის საპასუხო ზომების განსაზღვრა და გატარება

მხოლოდ მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ თქვენს ხარისხის მიზნებს და შეაფასებთ რისკებს, შეგიძლიათ ფირმის ხარისხის რისკებზე რეაგირების მიზნით შექმნათ და გაატაროთ საპასუხო ზომები. შეგიძლიათ ხმსს 1-ში წარმოდგენილი საპასუხო ზომები საწყის წერტილად გამოიყენოთ.



შემოთავაზებული გეგმა:
ეტაპობრივი მიდგომა

ზემოთ წარმოდგენილი ფაზები უნდა დაიყოს მცირე ნაბიჯებად. დანერგვის ეს გეგმა წარმოდგენილი იყო ამ სერიის **პირველ ნაწილში**. აქ მოცემული ნაბიჯები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. თქვენი ფირმის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს მათი ადაპტირება. მაგალითად, ინდივიდუალური პრაქტიკოსი, რომელსაც არ ჰყავს თანამშრომლები, არ ჩაატარებს „შეხვედრებს“. ხოლო ზოგიერთ ფირმაში შეიძლება შემცირდეს შეხვედრების რაოდენობა. საბოლოოდ, რეკომენდებული დანერგვის გეგმა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნაბიჯი 1	პროექტის ხელმძღვანელის დანიშვნა
ნაბიჯი 2	მომზადება – წინასწარ წასაკითხი მასალა და მომზადება
ნაბიჯი 3	ხარისხის მიზნებთან დაკავშირებით გონებრივი იერიში და რისკების შეფასება (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #1)
ნაბიჯი 4	როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #2. მოკლედ არის განხილული ამ ნაწილშიც).
ნაბიჯი 5	ინფორმაციის შეგროვება
ნაბიჯი 6	საპასუხო ზომების შემუშავება (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #3)
ნაბიჯი 7	ხმს-ის დოკუმენტაციის შეფასება და კომუნიკაცია (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #4)
ნაბიჯი 8	მონიტორინგი და რემედიაცია (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #5). ეს კომპონენტი უფრო დეტალურად ამ სერიის მე-3 ნაწილში იქნება განხილული.

შემოთავაზებული ნაბიჯები წარმოდგენილი იყო ამ სერიის **პირველ ნაწილში**. ამ ნაწილში დეტალურად იქნება განხილული მე-3-დან მე-7 ნაბიჯის ჩათვლით. ე.ი. ვაგრძელებთ იმ დაშვებით, რომ პროექტის ხელმძღვანელი უკვე დანიშნულია (თუ ეს საჭიროდ იქნა მიჩნეული) და წინასწარ წასაკითხი მასალის გაცნობის და მომზადების ეტაპიც დასრულებულია. (სერიის პირველ ნაწილში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი რესურსების ბმულები ამ ნაწილის ["კ" დანართში](#) კიდევ ერთხელ არის მოცემული).

ნაბიჯი 3: ხარისხის მიზნებთან დაკავშირებით გონებრივი იერიში და რისკების შეფასება

განიხილეთ ხმს 1-ში განსაზღვრული ხარისხის კონკრეტული მიზნები და შექმენით სამუშაო წიგნი, რომელიც ამ ხარისხის მიზნებს მოიცავს. აღნიშნული ხარისხის მიზნები განაპირობებს ხარისხის რისკების შეფასებას.

როგორც პირველ ნაწილში იყო მითითებული, ამ ეტაპზე შეიძლება შესაბამის პირებთან გაიმართოს შეხვედრა, ან თუ თქვენ ინდივიდუალური პრაქტიკოსი ხართ, გამოყავით დრო გასააზრებლად.

ხარისხის მიზნები

ხმს 1 თქვენი ფორმის ხმს-ის სხვადასხვა კომპონენტებისთვის ხარისხის ცალკეულ მიზნებს მოიცავს, რათა ნათლად განისაზღვროს ის შედეგები, რომელსაც უნდა მიაღწიოს ფორმამ იმისათვის, რომ მას ხარისხის მართვის ეფექტური სისტემა ჰქონდეს. თქვენმა ფორმამ, ფორმის სპეციფიკური კონტენტის გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს ხარისხის მიზნები ხმს 1-ში ჩამოთვლილი თითოეული კომპონენტისთვის:

1. მმართველობა და ხელმძღვანელობა
2. სათანადო ეთიკური მოთხოვნები
3. გარიგებაზე დათანხმება და გარიგების გაგრძელება
4. გარიგების შესრულება
5. რესურსები: ადამიანური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსები, მათ შორის მომსახურების პროვაიდერები
6. ინფორმაცია და კომუნიკაცია

ხმს 1-ის წაკითხვისას, თქვენ შეამჩნევდით, რომ ხარისხის მიზნები დეტალურად არის მოცემული ამ 6 სფეროსთან მიმართებით. რეკომენდებულია, რომ ხარისხის ამ მიზნების ცვლილებათა რაოდენობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ხარისხის მიზნების ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი თქვენი ფორმისთვის რელევანტური არ არის. მაგალითად, თუ თქვენ არ ხართ ქსელის წევრი, ქსელებთან დაკავშირებული ყველა მითითება შეიძლება წაიშალოს.

ხარისხის მიზნების განხილვისას, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის მიზნები გასაგები იყოს. ასევე გარკვეულწილად უნდა განიხილოთ და გამოავლინოთ "რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას", რათა განხილვამ მიზანობრიობა არ დაკარგოს. ამ დისკუსიის (და დოკუმენტირების) გასამარტივებლად და მიზნების უკეთ გასაცნობიერებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ იმ კითხვების მაგალითები, რომლებიც ამ სერიის პირველი ნაწილის "დ" დანართშია მოცემული. გარდა ამისა, გარიგების შესრულებასთან დაკავშირებული ხმს 1-ის ხარისხის მიზნების მაგალითი, შესაძლო ცვლილებებით, რომლებიც საილუსტრაციო ხასიათისაა, ასევე წარმოდგენილია პირველ ნაწილში და შეგიძლიათ თქვენი ხარისხის მიზნების ფორმულირებისას გამოიყენოთ.

რეკომენდებული მიდგომა

თქვენი ხმს-ის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომა. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია სამუშაო წიგნის შექმნა, სადაც პირველ რიგში წარმოდგენილი იქნება ხარისხის მიზნების ჩამონათვალი, რომელიც ასევე მოიცავს ხმს 1-ში მოცემულ კონკრეტულ ხარისხის მიზნებს, როდესაც ისინი შესაფერისია. სისტემური მიდგომა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი:

- ხელს შეუწყობს თქვენი ხმს-ის შემუშავების პროცესის დოკუმენტირებას
- დაგეხმარებათ პრიორიტეტულად განსაზღვროთ ხარისხის მიზნის შეუსრულებლობის რისკები
- უზრუნველყოფს ხმს 1-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო სამუშაოს მასშტაბის მიმოხილვას
- ხელს შეუწყობს დანერგვის პროცესს, რომელიც მართვადია ფორმის მიერ როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში

სამუშაო წიგნის გამოყენებით, შექმენით სვეტები, რომელსაც გამოიყენებთ ხარისხის მიზნების გამოვლენის პროცესში. გამოიყენეთ იგივე სამუშაო წიგნი კონკრეტულად თქვენი ფორმის ხარისხის რისკების შეფასებისას. თქვენ მალევე დაინახავთ, რომ ეს არის იტერაციული პროცესი და რომ ყოველთვის არ არსებობს ერთი-ერთზე კავშირი ხარისხის მიზნებს, რისკებსა და საპასუხო ზომებს შორის.



მიდგომის თვალსაზრისით, ზოგიერთმა ფირმამ შეიძლება მოისურვოს ხარისხის ყველა მიზნის ერთდროულად მიღწევა. სხვებმა შეიძლება ამჯობინონ, იმუშაონ ჯერ გარკვეული მიზნების მიღწევაზე, შესაბამის ხარისხის რისკებთან ერთად, ე.ი. თანმიმდევრობით. შესაძლოა სხვებს ჯერ იმ სფეროების განხილვა ურჩევნიათ, რომლებიც მათი აზრით, უფრო რთული (ან უფრო მარტივი) იქნება. მაგალითად, ზოგიერთი ფირმა შეიძლება პირველ რიგში გარიგების შესრულების მიზნებს შეეხოს, რადგან მიაჩნდეთ, რომ ეს კომპონენტი ამჟამად ყველაზე განვითარებული აქვთ.

ერთი სწორი პასუხი ან მიდგომა არ არსებობს, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხზე დისკუსია. საჭიროა სიფრთხილე - თუ სამუშაო დელეგირებულია, იგი არ უნდა დაიყოს ძალიან მცირე ნაწილებად, რადგან კომპონენტებს შორის მრავალი გადაკვეთის წერტილი არსებობს და ზოგიერთ საპასუხო ზომას შეიძლება ერთდროულად რამდენიმე მიზანთან ჰქონდეს კავშირი და საჭირო გახდეს მხარეებს შორის თანამშრომლობა.

რისკის იდენტიფიცირების შემდგომი ნაბიჯია რისკის შეფასების პროცესი.

რისკის შეფასების პროცესი

თქვენი ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისათვის, რეკომენდებულია, რომ პირველ რიგში თქვენი ფირმის ხარისხის მიზნები შეაჯამოთ. ასე თქვენ შეძლებთ მოიცვათ ხმს 1-ში წარმოდგენილი ხარისხის მიზნები. თუმცა, ხმს-ის შექმნა იტერაციული პროცესია და თქვენი ფირმის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით "რისკების" შეფასებისას, შესაძლოა მოგიხდეთ ხარისხის დამატებითი მიზნების გამოვლენა/გადახედვა.

თქვენს სამუშაო წიგნში შეგიძლიათ ისეთი მარტივი სქემა გამოიყენოთ, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილია, კერძოდ, ნიმუში 1 - რისკის შეფასების სამუშაო წიგნი:

ნიმუში 1 - რისკის შეფასების სამუშაო წიგნი						
ხარისხის მიზანი	ფირმის ხასიათი და გარემოებები	რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას?	წარმოქმნის ალბათობა (მ,ს,დ)	უარყოფითი გავლენა (მ,ს,დ)	დასკვნა: ხარისხის რისკი (ხრ) დიახ/არა (პროფესიული განსჯა)	ხარისხის რისკი
გააკეთეთ ხმს 1-ის ხარისხის მიზნების სია თითოეული შემდეგი კომპონენტისთვის (შეიტანეთ მასში ისეთი ცვლილებები, რომლებიც თქვენი ფირმისთვისაა შესაფერისი): 1. მმართველობა და ხელმძღვანელობა 2. სათანადო ეთიკური მოთხოვნები 3. დამკვეთთან გარიგებაზე და ურთიერთობაზე დათანხმება და მისი გაგრძელება 4. გარიგების შესრულება 5. რესურსები - ადამიანური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური 6. ინფორმაცია და კომუნიკაცია	აღწერეთ თქვენი ფირმის ხასიათი და გარემოებები.	აღწერეთ როგორ და რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს თქვენი ფირმის ხასიათმა და გარემოებებმა ფირმაზე ხარისხის მიზნის შეუსრულებლობიდან გამომდინარე.	გამოსახეთ "ალბათობის" შეფასება შემდეგნაირად: მაღალი (მ), საშუალო (ს) ან დაბალი (დ), რაც დაგეხმარებათ დაასაბუთოთ თქვენი დასკვნა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობასა და კონკრეტულ გარიგებებთან დაკავშირებული ხარისხის მიზნები ხარისხის რისკს.	დოკუმენტურად ასახეთ თქვენი შეფასება იმის შესახებ, ფირმისთვის პოტენციური უარყოფითი გავლენის მასშტაბი მაღალია (მ), საშუალო (ს) თუ დაბალი (დ), რაც დაგეხმარებათ დაასაბუთოთ თქვენი დასკვნა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობასა და კონკრეტულ გარიგებებთან დაკავშირებული ხარისხის მიზნები ხარისხის რისკს.	დოკუმენტურად ასახეთ თქვენი დასკვნა - დიახ/არა	დანომრეთ ხარისხის რისკები საპასუხო ზომებზე მითითებით, მაგ., ხრ 1-ის ჯვარედინი მითითება მე-2 ნიმუშზე

პირველ სვეტში უნდა წარმოადგინოთ ხმს 1-ში შეტანილი ხარისხის მიზნები. თითოეული კომპონენტი უფრო დეტალურად განხილულია ამ ნაწილში, ქვემოთ, რაც შეიძლება დაგეხმაროთ 1-ელი ნიმუშის შევსებაში, თუ თქვენი ხმს-ის შემუშავებისას მის გამოყენებას გადაწყვეტთ.

ხმს 1-ის თანახმად თქვენ უნდა განიხილოთ თქვენს ფირმაში არსებული სხვადასხვა პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან აკრძალვები. 1-ელ ნიმუშში ეს საკითხი წარმოდგენილია მეორე სვეტში. თქვენ ყველაზე უკეთ იცნობთ საკუთარ ფირმას, შესაბამისად ამ საკითხებზე გონებრივი იერიში და მათი დოკუმენტირება დაგეხმარებათ შექმნათ თქვენი ფირმისთვის სპეციფიკური ხმს.

ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის ფირმის ხასიათი და გარემოებები ნათელი და გასაგებია, ამიტომ ვრცელი დოკუმენტაცია შეიძლება საჭირო არ იყოს. თუმცა, ფირმის ხასიათის და ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოების ან მოლოდინის დოკუმენტირებამ შეიძლება რისკის შეფასების კონტექსტი უკეთ აჩვენოს. გარდა ამისა, შემდგომ ვერსიებში ან განახლებებში, პერიოდული ჩანაწერების შექმნა შეიძლება სასარგებლო საშუალება აღმოჩნდეს გასააზრებლად. ეს იქნება ასევე წერილობითი შეხსენება იმისა, თუ როგორ მოხდა ფირმისა და მისი პრაქტიკის განვითარება.



ფირმის ხასიათისა და გარემოებების სვეტის შევსებისას შეგიძლიათ შემდეგი საკითხები განიხილოთ:

- ფირმის სირთულე და საოპერაციო მახასიათებლები
- ფირმის სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებები და ქმედებები, ბიზნესპროცესები და ბიზნესმოდელი
- ფირმის ხელმძღვანელ(ებ)ის მახასიათებლები და მართვის სტილი
- ფირმის რესურსები, მათ შორის მომსახურების პროვაიდერების მიერ მოწოდებული რესურსები
- კანონმდებლობა, რეგულაციები, პროფესიული სტანდარტები და გარემო, რომელშიც ფირმა ფუნქციონირებს
- ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების ტიპები და გამოსაცემი ანგარიშები
- იმ სუბიექტების ტიპები, რომელთანაც გარიგებები სრულდება

IAASB-ის მიერ გამოცემული ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელო მოიცავს დეტალურ დიაგრამას, რომელიც აჯამებს რისკის შეფასების პროცესში გასათვალისწინებელ ფაქტორებს, ასევე დანერგვასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სახელმძღვანელო მითითებას, რომელიც შეიძლება თქვენთვის სასარგებლო იყოს. არ არის აუცილებელი დოკუმენტურად ასახოთ ხარისხის რისკის წარმომქმნელი ყველა პირობის, მოვლენის, გარემოების, ქმედების ან აკრძალვის განხილვის პროცესი

ხარისხის რისკების დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს ხარისხის რისკებისთვის მიცემული შეფასების მიზეზებს, ე.ი. სიხშირე და ხარისხის მიზნების მიღწევაზე გავლენა.

1-ელი ნიმუშის მიხედვით სასურველია, განსაზღვროთ "რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას" და შეაფასოთ წარმოქმნის ალბათობა, ასევე თქვენს ფირმაზე ზეგავლენა, რათა დაასაბუთოთ თქვენი დასკვნა იმის შესახებ, არსებობს თუ არა ხარისხის რისკი. შეგახსენებთ, რომ ხარისხის რისკი განიმარტება შემდეგნაირად:

ხარისხის რისკი – რისკი, რომელიც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ:

(i) *წარმოიქმნას;* და

(ii) *ინდივიდუალურად ან ხარისხის სხვა რისკებთან ერთად, უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის ერთი ან რამდენიმე რისკის მიღწევაზე.*

რეკომენდებულია, რომ დოკუმენტურად ასახოთ პროცესი და ანალიზი, რომელსაც გამოიყენებთ ხარისხის მიზნების განსაზღვრისას, ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას და ასეთ რისკებზე საპასუხო ზომების შემუშავებისას. ასე შემოინახება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას დაეფუძნა ხმს-ის შემუშავებისას ფირმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ეს დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს დღის წესრიგს, შეხვედრების ოქმებს და სხვ.

"გ" დანართი. საილუსტრაციო მიზნებისთვის, მოიცავს ამ მიდგომის გამოყენების მაგალითს გარიგებაზე დათანხმების და მისი გაგრძელების კომპონენტთან მიმართებით.



ნაბიჯი 4: პასუხისმგებლობების განაწილება

თქვენ უნდა გაანაწილოთ ხმს-თან დაკავშირებული როლები და პასუხისმგებლობები. ინდივიდუალური პრაქტიკოსის ან მცირე ფირმის შემთხვევაში ერთმა ადამიანმა შეიძლება შეასრულოს ყველა როლი ან მხოლოდ რამდენიმე მათგანი. რაც უფრო დიდი და კომპლექსურია თქვენი ფირმა, მით უფრო მეტად შეიძლება გახდეს საჭირო როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სხვადასხვა პირებზე.

ხარისხის მართვის სტანდარტებთან და ნებისმიერ დაკავშირებულ პროფესიულ სტანდარტთან გაცნობის შემდგომი ამოცანაა განსაზღვროთ, როგორ მოხდება როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, კერძოდ:

ინდივიდუალური პრაქტიკოსი

საბოლოო პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ, მაგრამ შესაძლოა სხვების ჩართულობაც დაგჭირდეთ. თუ თქვენი პრაქტიკული საქმიანობის ზოგიერთ ასპექტს აუტოსორსზე გაიტანთ (ე.ი. "მომსახურების პროვაიდერებს" გადასცემთ), მაშინ შესაძლოა დაგჭირდეთ იმის განხილვა, შეიძლება თუ არა მათზე რაიმე როლის გადანაწილება. მაგალითად, თუ თქვენი პრაქტიკული საქმიანობა მოიცავს გარიგებებს, რომლებიც გარიგების ხარისხის მიმოხილვას საჭიროებენ, თქვენ შეგიძლიათ ეს როლი მომსახურების პროვაიდერს გადასცეთ.

ფირმა პარტნიორებით და თანამშრომლებით

საბოლოო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ერთ პირს (როგორც წესი, მთავარ აღმასრულებელ პირს/მმართველ პარტნიორს), მაგრამ საუკეთესო ვარიანტია ხმს ისე შეიმუშაოთ, რომ კონკრეტული როლები და მრავალი სხვადასხვა როლი სხვადასხვა პირებზე გადაანაწილოთ. თუ ეს შესაფერისია, საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება შეიძლება დაეკისროს ფირმის პარტნიორთა მმართველ საბჭოს (ან ანალოგიური რანგის ორგანოს).



ნაბიჯი 5: ინფორმაციის შეგროვება

შეაგროვეთ არსებულ პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებული ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც ხარისხის რისკებს ეხება, მათ შორისაა, მაგალითად:

- ხარისხის კონტროლის ამჟამინდელი სახელმძღვანელო
- აუდიტის სახელმძღვანელო და სისტემა
- ადამიანური რესურსების სახელმძღვანელო
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმძღვანელო
- სხვა სახით დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები
- არაოფიციალური/არადოკუმენტირებული პოლიტიკის/პროცედურების შეჯამება

შეგროვებულ ინფორმაციას გამოიყენებთ ხარისხის იმ მიზნებთან დაკავშირებული "ხარვეზების" ანალიზის გასაკეთებლად, რომლებსაც უნდა შეეხოთ, მაგრამ ამჟამად არ გაქვთ გათვალისწინებული.

მე-2 ნიმუშში წარმოდგენილია ამ ანალიზის დოკუმენტირების მაგალითი:



ნიმუში 2 - შესაძლო ფორმატი: ხარვეზების ანალიზი					
ფირმის ხასიათისა და გარემოებების გაცნობიერების შემდეგ, ასევე რისკ(ებ)ის ალბათობისა და შედეგების გათვალისწინებით, მოახდინეთ ხარისხის იმ რისკ(ებ)ის დოკუმენტირება, რომლებიც ორგანიზებულია 1-ელ ნიმუშში მოცემული შესაბამისი კომპონენტის მიხედვით, გამოიყენეთ ეს სამუშაო წიგნი ნებისმიერ არსებულ პოლიტიკაში ან/და პროცედურაში გამოვლენილი ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის.					
ხარისხის რისკი 1-ელი ნიმუშიდან	ხარისხის რისკი	საპასუხო ზომა (სზ)	საპასუხო ზომა - პოლიტიკა ან/და პროცედურა	დოკუმენტურად ასახეთ არსებული პოლიტიკა/პროცედურა და მდებარეობა	„ხარვეზების“ ანალიზის შედეგი
ხრ 1	აღწერეთ ხარისხის რისკი	სზ 1	შეავსეთ არსებული პოლიტიკიდან/პროცედურებიდან. საჭიროების შემთხვევაში გადახედეთ, ასევე დაამატეთ ახალი პუნქტები ხარვეზების ანალიზის საფუძველზე.	მაგალითად, ადამიანური რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელო, ან ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელო.	დოკუმენტურად ასახეთ ის საპასუხო ზომები, რომლებიც საჭიროებენ დამატებას/გადახედვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანერგვის წელს.
			შენიშვნა: ზოგიერთი საპასუხო ზომა შეიძლება მიემართებოდეს მრავალ რისკს, და ზოგიერთი რისკი შეიძლება საჭიროებდეს მრავალ საპასუხო ზომას.		

"გ" დანართში მოცემულია მაგალითი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით ამ მიდგომის გამოყენებას ასახავს.

ნაბიჯი 6:
საპასუხო ზომების
განსაზღვრა, მათ
შორის არსებული
პოლიტიკების
ცვლილება

პროცესის ამ ნაწილში თქვენ უნდა:

- მოახდინოთ მიმდინარე პოლიტიკის/პროცედურების ადაპტირება გამოვლენილ ხარისხის რისკებთან ან შესაბამისობაში მოიყვანოთ ისინი;
- შეიმუშაოთ ახალი პოლიტიკა/პროცედურები გამოვლენილ ხარისხის რისკებზე რეაგირების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში; და
- გააუქმოთ ნებისმიერი ისეთი პოლიტიკა/პროცედურა, რომელიც აღარ არის ეფექტური ან დუბლირებულია.

შეუძლებელია ამ ნაწილებში წარმოგიდგინოთ ისეთი პოლიტიკები, რომლებიც ყველა ფირმას მოერგება. სწორედ ეს არის ხმს-ის არსი: თქვენ უნდა შეიმუშაოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც თქვენსავე ფირმის ხარისხის მიზნებს შეესაბამება. საილუსტრაციოდ კი აქ რამდენიმე პოლიტიკის ნიმუშია წარმოდგენილი:



პოლიტიკების ნიმუში მცირე ფირმებისთვის - სათანადო ეთიკური მოთხოვნები

ქვემოთ წარმოდგენილ პოლიტიკების საილუსტრაციო მაგალითში მიჩნეულია, რომ რისკის შეფასების პროცესი დასრულდა, ფირმის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, ასევე გამოვლენილ ხარისხის რისკებზე რეაგირების მიზნით განსაზღვრულია საპასუხო ზომები. ქვემოთ წარმოდგენილია ხარისხის მიზნები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული საპასუხო ზომები სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან მიმართებით:

ხარისხის მიზანი	კონკრეტული საპასუხო ზომა
ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის შემდეგი მიზნები, რომლებიც განკუთვნილია პასუხისმგებლობების შესასრულებლად სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად: ა) ფირმას და მის პერსონალს: (i) ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე; და (ii) ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე. ბ) სხვებს, მათ შორის ქსელს, ქსელის ფირმებს, ქსელში ან ქსელის ფირმებში მომუშავე პირებს, მომსახურების პროვაიდერებს, რომლებსაც ეხებათ ის სათანადო ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე: (i) ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც მათ ეხება; და (ii) ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ფირმასა და ფირმის გარიგებებზე ვრცელდება. (იხილეთ ხმს 1-ის 29, გ22, გ24 და გ62-გ65 პუნქტები)	ფირმა აწესებს პოლიტიკას ან პროცედურებს: (i) სათანადო ეთიკური მოთხოვნების მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოსავლენად, შესაფასებლად და მათზე რეაგირებისთვის; და (ii) სათანადო ეთიკური მოთხოვნების დარღვევების გამოსავლენად, ინფორმირებისთვის, შესაფასებლად, ანგარიშის წარსადგენად და ასევე ამ დარღვევების გამომწვევ მიზეზებსა და დარღვევით განპირობებულ შედეგებზე სათანადო რეაგირების მიზნით საპასუხო ზომების დროულად გასატარებლად. ფირმა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც მოიპოვებს დოკუმენტურ დასტურს დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის შესახებ ყველა იმ პერსონალისგან, რომელსაც სათანადო ეთიკური მოთხოვნებით დამოუკიდებლობა მოეთხოვება. (იხილეთ ხმს 1-ის 34 და გ117-გ121 პუნქტები)



პოლიტიკების ნიმუში მცირე ფირმებისთვის

(შენიშვნა: ქვემოთ მოცემული პოლიტიკები მხოლოდ მაგალითებია და არ წარმოადგენს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან მიმართებით არსებულ ყველა შესაძლო საპასუხო ზომას. მაგალითად, ისინი არ ეხება სათანადო ეთიკური მოთხოვნების დარღვევების გამოვლენის, ინფორმირების, შეფასების, ანგარიშის წარდგენის პოლიტიკების მიმართ კონკრეტულ საპასუხო ზომებს, რომლებიც კონკრეტული ფირმის დარღვევებთან არის დაკავშირებული.)

პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა შესაბამისი მომსახურების პროვაიდერებს, როდესაც ეს შესაფერისია:

უნდა ჰქონდეთ წაკითხული ყველა რეგულაცია, რომელიც კონკრეტულად შესასრულებელ გარიგებებს ეხება;

უნდა ჰქონდეთ სრულად ინფორმაცია იმ სამართლებრივი გარემოს შესახებ, სადაც ფირმა და დამკვეთები ფუნქციონირებენ;

უნდა ჰქონდეთ წაკითხული და იცავდნენ შესაბამის ეთიკის კოდექსს, მათ შორის, მაგალითად, აკრძალული ინვესტიციების გამჟღავნების მოთხოვნებს;

მათ უნდა გადახედონ ფირმის დამკვეთების სრულ სიას, რათა იცოდნენ პოტენციური ინვესტიციების/ურთიერთობების/ინტერესთა კონფლიქტების შესახებ;

მათ უნდა დაიცვან ეთიკის კოდექსის კონფიდენციალურობის შესაბამისი მოთხოვნები, კონფიდენციალურობის განაცხადის გამოყენებით (მაგალითისთვის იხილეთ „[ე](#)“ [დანართი](#));

მათ უნდა დაიცვან ყველა აუცილებელი პროფესიული მოთხოვნა, პროფესიული სტანდარტები და წარუდგინონ ფირმას საკითხების შეჯამება;

მათ უნდა გააკეთონ კომპეტენციის შეფასება გარიგების განხორციელებამდე ან მასში მონაწილეობის მიღებამდე.

არ უნდა მიიღონ საჩუქრები და სხვა ფორმით გამოხატული სტუმარმასპინძლობა დამკვეთისგან მაშინაც კი, თუ მისი ღირებულება ტრივიალური და უმნიშვნელოა (ეს არის პოლიტიკის მაგალითი, რომელიც სავარაუდოდ უფრო კონკრეტულია, ვიდრე სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებები).



ნაბიჯი 7: ხმს-ის დოკუმენტაციის შეფასება და კომუნიკაცია

მიზანშეწონილი და რეკომენდებულია გამოიყენოთ სტანდარტების ტერმინოლოგია. ამ ნაწილის „დ“ დანართში (პირველ ნაწილში წარმოდგენილია „გ“ დანართის სახით) წარმოდგენილი ინფორმაცია, ხმს 1-ის განმარტებების განყოფილებასთან ერთად, შეგიძლიათ თქვენი ხმს-ის დოკუმენტირებისას გამოიყენოთ.


სისრულეში მოიყვანეთ ხმს-ის, მათ შორის დანერგვის პროცესის, დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს სამუშაო წიგნს, როგორც ამ ნაწილშია შემოთავაზებული, ასევე დისკუსიებისა და შეხვედრების ამსახველ სამახსოვრო ბარათებს (მემორანდუმებს) და ა.შ. ზოგიერთს შეიძლება გამოადგეს ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც თანამშრომლებზე ვრცელდება, ხოლო კომუნიკაციის გასამარტივებლად - "პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელოს" შექმნა. დოკუმენტირებისა და კომუნიკაციის ფორმა განსხვავებული იქნება ფირმების მიხედვით.

თქვენი ხმს-ის დოკუმენტაცია იქნება სხვადასხვა საქმიანობის, განსჯის, პოლიტიკის ან/და პროცედურების „სქემა“.

გახსოვდეთ, რომ თქვენი ხმს (როგორც სახელი მიუთითებს) არის "სისტემა", ამიტომ ვერ შეძლებთ "მზა, სტანდარტული სახელმძღვანელო მითითებების" დანერგვას. გარდა ამისა, პოლიტიკა და პროცედურები ყველაზე სასარგებლო და მნიშვნელოვანი მაშინ არის, როდესაც ისინი კონკრეტულად თქვენს ფირმას და არსებულ გარემოებებს ერგება.

ბაზარზე არსებობს მრავალი ინსტრუმენტი, რომელიც დოკუმენტირების პროცესს უწყობს ხელს. ზოგიერთს ასევე აქვს პოლიტიკისა და პროცედურების ბიბლიოთეკა, რომელიც შესაძლოა გამოგადგეთ.

საბოლოოდ, თუ ფირმას თანამშრომლები ჰყავს, მათ შორის კომუნიკაცია იქნება საჭირო. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიქმნას და დოკუმენტურად აისახოს მათი ტრენინგის გეგმაც. უნდა დაიგეგმოს ასევე შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ინფორმირების/კომუნიკაციის პროცესი, როდესაც ეს შესაფერისია. ხმს-ის დეტალებისა და არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ნებისმიერი ცვლილების შესახებ ფირმის პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება აუცილებელია ხარისხის მიზნების მისაღწევად კოლექტიური ძალისხმევის მობილიზების პროცესში. ხარისხის მიმართ მოლოდინების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიმართ ღია დამოკიდებულება და ორმხრივი ჩართულობა გადამწყვეტია ეფექტური ხმს-ის წარმატებით დასაწერად.



ნაბიჯი 8: მონიტორინგი და რემედიაცია

მონიტორინგთან და რემედიაციასთან დაკავშირებული საპასუხო ზომების და ხარისხის რისკების გამოვლენა და შეთანხმება თქვენი ხმს-ის დანერგვის პირველ ეტაპზე (ე.ი. მე-4 შეხვედრაზე) უნდა მოხდეს, თუმცა მონიტორინგის ღონისძიებების დიზაინსა და დანერგვასთან დაკავშირებული დამატებითი დეტალების შემუშავება შეიძლება მოხდეს მოგვიანებით მაგრამ მანამ, სანამ ამ შეფასების განხორციელება რეალურად საჭირო გახდება. საპასუხო ზომების გატარება და მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება უნდა დაიწყოს 2022 წლის 15 დეკემბრიდან. ხმს-ის შეფასება კი უნდა ჩატარდეს 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის განმავლობაში. ეს კომპონენტი განხილული იქნება ამ სერიის მე-3 ნაწილში.





ამ განყოფილებაში განხილულია ხმს-ის თითოეული ის კომპონენტი, რომელთათვისაც ხმსს 1-ში განსაზღვრულია ხარისხის მიზნები. თითოეული კომპონენტისთვის მოცემულია შემაჯამებელი მიმოხილვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა ახალი სტანდარტები წინა სტანდარტებთან შედარებით, რაც დაგეხმარებათ გამოავლინოთ, სად შეიძლება არსებობდეს "ხარვეზები" თქვენს მიმდინარე პროცესებში.

მმართველობა და ხელმძღვანელობა

რა კომპონენტია ეს?

მმართველობა და ხელმძღვანელობა. ეს კომპონენტი ეხება თქვენი ფირმის მმართველობასა და ხელმძღვანელობას და იმას, თუ როგორ ქმნის იგი იმ გარემოს და კულტურას, რომელიც ხმს-ის ყველა კომპონენტს უზრუნველყოფს.

ხარისხის მიმართ ერთგულებას ფირმა წარმოაჩენს ისეთი კულტურის მეშვეობით, რომელიც არსებობს მთელ ფირმაში და აღიარებს და განამტკიცებს:

- ფირმის როლს საზოგადოების ინტერესების დაცვის საკითხში, მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესრულების მეშვეობით;
- პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და ქცევის მნიშვნელობას;
- ფირმის მთელი პერსონალის პასუხისმგებლობას ხარისხზე, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შესრულებასთან ან ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში შესრულებულ მოქმედებებთან და ასევე მათ მოსალოდნელ ქცევაზე;
- ხარისხის მნიშვნელობას ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში, მათ შორის ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებში.

ხარისხზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ფირმის ხელმძღვანელობა, რომელიც ხარისხისადმი ერთგულებას წარმოაჩენს თავიანთი ქმედებებითა და საქციელით.

ორგანიზაციული სტრუქტურა და როლების, პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილება უნდა იყოს შესაფერისი იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი იყოს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება.

სტრუქტურამ და ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს რესურსების, მათ შორის ფინანსური რესურსების, საჭიროებების დაგეგმვა, მოპოვება, განაწილება და მიკუთვნება იმგვარად, რომ იგი შეესაბამებოდეს თქვენი ფირმის ხარისხისადმი ერთგულების პრინციპებს.

[ამ კომპონენტის ხარისხის მიზნებისთვის იხილეთ ხმსს 1-ის 28-ე პუნქტი.]

ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვის ეს კომპონენტი უფრო მარტივი იქნება, რადგან მმართველობა და ხელმძღვანელობა ინდივიდუალური პრაქტიკოსის გონებაში/აზროვნებაში არსებობს და ხარისხისადმი ერთგულების დემონსტრირება პრაქტიკოსის ქმედებებითა და ქცევით ხდება.

მმართველობა და ხელმძღვანელობა ხარისხის მართვის პროცესში უმნიშვნელოვანესია, როგორც ფირმის, ისე გარიგების დონეზე, ვინაიდან ფირმა გადაწყვეტილებებს ფირმის კულტურაში ჩაშენებული ჩარჩო პრინციპების საფუძველზე იღებს. მმართველობა და ხელმძღვანელობა ფირმის ეთიკისა და თვითრეგულირების პრაქტიკის საყრდენია. ფირმის მმართველობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ფირმას; თუ ფირმას ეფექტური მმართველობა არ აქვს, შეიძლება იგი ისეთ ფირმად იქნეს აღქმული, რომელიც არ მოქმედებს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

IAASB-ის [ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როდესაც ადგენთ საჭიროა თუ არა ახალი საპასუხო ზომების განსაზღვრა ან როდესაც ასრულებთ "ხარვეზების ანალიზს" თქვენს ფირმასთან მიმართებით:

ქვემოთ შეჯამებულია თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 მმართველობისა და ხელმძღვანელობის საკითხების მიმართ აქამდე არსებულ სტანდარტთან შედარებით:

- ფირმის კულტურის მეშვეობით ხარისხისადმი ერთგულების შესახებ ახალი და გაუმჯობესებული მოთხოვნები. ფირმის კულტურის ფარგლებში, მოთხოვნები ახლა ეხება ასევე:
 - ფირმის როლს საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის საკითხებში;
 - პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და ქცევის მნიშვნელობას;
 - მთელი პერსონალის პასუხისმგებლობას ხარისხზე, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შესრულებასთან ან ხმს-ის ფარგლებში შესრულებულ მოქმედებებთან, ასევე მათ მოსალოდნელ ქცევაზე; და
 - ხარისხს ფირმის სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების კონტექსტში, მათ შორის ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებში.
- ახალი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ხელმძღვანელობის ქცევას და ხარისხისადმი ერთგულებას, ასევე მათ ანგარიშვალდებულებას.
- ახალი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურას და ფირმის მიერ როლების, პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას.

ეს კომპონენტი წარმოდგენილი იყო ამ სერიის [პირველ ნაწილში](#). თუ გჭირდებათ მეტი ინფორმაცია ამ კომპონენტთან დაკავშირებით, გირჩევთ, გადახედოთ IAASB-ის ზემოხსენებულ სახელმძღვანელოს და თვითონ სტანდარტს.

სათანადო ეთიკური მოთხოვნები

რა კომპონენტი ეს?

სათანადო ეთიკური მოთხოვნები. ეს კომპონენტი ეხება პასუხისმგებლობების შესრულებას სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად. ეს კომპონენტი ეხება ფირმას, მის პერსონალს და სხვებს (როგორც ეს ქვემოთაა მითითებული):

ფირმა და პერსონალი	სხვები (მათ შორის მომსახურების პროვაიდერები, რომლებიც ექვემდებარებიან სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს, ასევე ქსელის ფირმები და პირები ქსელში ან ქსელის ფირმებში, თუ ეს შესაფერისია).
აცნობიერებენ და ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად ფირმისა და ფირმის გარიგებებისთვის.	აცნობიერებენ და ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს იმ სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მათზე ვრცელდება.

[ამ კომპონენტის ხარისხის მიზნებთან დაკავშირებით იხილეთ ხმს 1-ის 29-ე პუნქტი].



IAASB-ის [ხმსს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როდესაც ადგენთ საჭიროა თუ არა ახალი საპასუხო ზომების განსაზღვრა ან როდესაც ასრულებთ "ხარვეზების ანალიზს" თქვენს ფირმასთან მიმართებით:

ქვემოთ შეჯამებულია თუ როგორ შეიცვალა ხმსს 1 სათანადო ეთიკური მოთხოვნების თვალსაზრისით აქამდე არსებულ სტანდარტთან შედარებით:

სათანადო ეთიკური მოთხოვნების კომპონენტი წარმოდგენილი იყო ამ სერიის [პირველ ნაწილში](#). თუ გჭირდებათ მეტი ინფორმაცია ამ კომპონენტთან დაკავშირებით, გირჩევთ, გადახედოთ IAASB-ის [ზემოხსენებულ სახელმძღვანელოს](#) და თვითონ სტანდარტს.

ეს კომპონენტი კიდევ ერთხელ განხილულია [„გ“ დანართში](#) წარმოდგენილ შემთხვევის ანალიზში. ამასთან, [„დ“ დანართი](#), [დამოუკიდებლობის დასტური](#) და [„ე“ დანართი](#), [კონფიდენციალურობის განაცხადი](#) არის დოკუმენტების დამხმარე საშუალებები ან ინსტრუმენტები, რომლებიც მოცემულია ამ ნაწილში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც დოკუმენტურად ასახავთ დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალურობის ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული პოლიტიკის დაცვის საკითხებს.

ხარისხის მართვასთან დაკავშირებული ცვლილებები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს® (IESBA) ეთიკის კოდექსში

2020 წლის დეკემბერში ხარისხის მართვის სტანდარტების გამოცემისას, IESBA-მ დაადგინა, რომ საჭირო იყო შესაბამისი ცვლილებები [პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელოში \(მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებში\)](#) (IESBA კოდექსი).

IESBA კოდექსზე მითითებების გადახედვისას და განახლებისას, დეტალები იხილეთ [IESBA-ს ვებგვერდზე](#).

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის ხარისხის მართვის სტანდარტებთან ერთად – 2022 წლის 15 დეკემბერს. IESBA კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიმოხილვა მოცემულია [„ბ“ დანართში](#), ხოლო IESBA-ს ვებგვერდის ზოგადი ბმული წარმოდგენილია [„კ“ დანართში](#).



- შეცვლილია იმგვარად, რომ შეესაბამება პრინციპებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს ხარისხის ისეთი მიზნების დადგენისას, რომლებიც ეხება პასუხისმგებლობების შესრულებას სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების, შესაბამისად.
- გაზრდილია ყურადღება ყველა სათანადო ეთიკურ მოთხოვნაზე (ე.ი. არა მხოლოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნებზე).
- მეტი სიცხადით არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა მოიცავდეს ხმს შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ფირმის მიღმა სხვა სუბიექტებზე (ე.ი. ქსელზე, ქსელის ფირმებზე, ქსელში ან ქსელის ფირმებში არსებულ პირებზე, ან მომსახურების პროვაიდერებზე).
- მეტი სიცხადით არის წარმოდგენილი ინფორმაცია სათანადო ეთიკური მოთხოვნების მოქმედების სფეროს შესახებ ხმს-ის კონტექსტში.

არსებული ხკსს 1-ის ქვემოთ წარმოდგენილი მოთხოვნები ხმსს 1-ში ასახულია შემდეგნაირად:

- ხკსს 1 მოიცავდა კონკრეტულ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ (მაგ., მოთხოვნები ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების არსებობის შესახებ, რომლებიც ეხება დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესახებ ინფორმირებას, გარიგების პარტნიორების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, ან პერსონალის მიერ ფირმის ინფორმირებას დამოუკიდებლობის საფრთხეების ან დამოუკიდებლობის დარღვევების შესახებ). ფირმის ხმს კვლავ უნდა მიემართებოდეს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და კომუნიკაციის საკითხებს, თუმცა იგი განხილულია ხმსს 1-ის ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტის საშუალებით.
- ხკსს 1 მოიცავდა მოთხოვნებს ისეთი კონკრეტული პოლიტიკისა და პროცედურების არსებობის შესახებ, რომლებიც უკავშირდება დამკვეთთან პერსონალის ხანგრძლივ კავშირს. ეს მოთხოვნა აღარ არის მოცემული ხმსს 1-ში. თუმცა, ფირმის ხმს კვლავ უნდა ეხებოდეს დამკვეთთან პერსონალის ხანგრძლივი კავშირის საკითხებს, რადგან გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებები, ვინაიდან ხმსს 1-ის ხარისხის მიზნები სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესრულებას მოიცავს.

დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება

რა კომპონენტია ეს?

დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება. ეს კომპონენტი ეხება თქვენი ფირმის განსჯას იმის შესახებ, დათანხმდეთ თუ არა დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე ან გააგრძელოთ თუ არა დამკვეთთან ურთიერთობა ან კონკრეტული გარიგება.

განსჯა იმის თაობაზე, უნდა დათანხმდეთ დამკვეთთან ურთიერთობას ან კონკრეტულ გარიგებას ან გააგრძელოთ თუ არა იგი, ეყრდნობა შემდეგს:

- ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია გარიგების ხასიათისა და გარემოებების და ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ და საკმარისია ამგვარი განსჯის გასამყარებლად; და
- ფირმის შესაძლებლობას, შეასრულოს მოცემული გარიგება პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად;

ეს კომპონენტი მოიცავს იმასაც, რომ თქვენი ფირმის ფინანსურმა (მაგ., საზღაურებმა და ფირმის მოგება) და საოპერაციო (მაგ., ზრდის ან სტრატეგიული მიმართულების) პრიორიტეტებმა არ გამოიწვიოს არაადეკვატური დასკვნები.

[ამ კომპონენტის ხარისხის მიზნებისთვის იხილეთ ხმს 1-ის 30-ე პუნქტი.]

IAASB-ის [ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როდესაც ადგენთ საჭიროა თუ არა ახალი საპასუხო ზომების განსაზღვრა ან როდესაც ასრულებთ „ხარვეზების ანალიზს“ თქვენს ფირმასთან მიმართებით:

ქვემოთ შეჯამებულია თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმებისა და მათი გაგრძელების მოთხოვნების თვალსაზრისით აქამდე არსებულ სტანდარტთან შედარებით:



- შეცვლილია იმგვარად, რომ შეესაბამება პრინციპებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს ხარისხის ისეთი მიზნების დადგენისას, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმებასა და მათ გაგრძელებას.
- გამახვილებულია ყურადღება ფირმის განსჯაზე იმის განსაზღვრისას, დაეთანხმოს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობას და კონკრეტულ გარიგებებს ან გააგრძელოს თუ არა ისინი.
- გაუმჯობესებული მოთხოვნა ფირმის მიერ გარიგების ხასიათისა და გარემოებების, ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით.
- ახალი მოთხოვნა, რომელიც ეხება ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებს იმის განსჯისას, დათანხმდეს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობას ან კონკრეტულ გარიგებას ან გააგრძელოს თუ არა იგი.

არსებული ხკს 1-ის ქვემოთ წარმოდგენილი მოთხოვნები ხმს 1-ში ასახულია შემდეგნაირად:

- ხკს 1 მოიცავდა კონკრეტულ მოთხოვნებს ფირმის უნარზე დაიცვას სათანადო ეთიკური მოთხოვნები და გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტები. ფირმის ხმს-მ კვლავ უნდა უზრუნველყოს ეთიკური მოთხოვნების შესრულება, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტების გათვალისწინება, სათანადო ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე განსაზღვრული ხარისხის მიზნების საშუალებით.
- ხკს 1 მოიცავდა კონკრეტულ მოთხოვნებს ფირმის მიერ იმის დოკუმენტირებასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება პრობლემების გადაჭრა, როდესაც ფირმა მათ აღმოაჩენს. ხმს 1 მოიცავს პრინციპებზე დაფუძნებულ ახალ მოთხოვნებს, რომელიც ეხება ხმს-თან დაკავშირებული საკითხების დოკუმენტირებას.



თქვენი ფირმის პოლიტიკა ან/და პროცედურები, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას და მის გაგრძელებას, შეიძლება:

- განსაზღვრავდეს იმ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა, რომ შეგროვდეს გარიგების ხასიათისა და გარემოებების, ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკა ან პროცედურები შეიძლება ასევე გვთავაზობდეს ან განსაზღვრავდეს, თუ საიდან უნდა იქნას მოპოვებული ასეთი ინფორმაცია.
- განსაზღვრავდეს ფაქტორებს, რომლებიც გასათვალისწინებელია იმის დადგენისას, აქვს თუ არა ფირმას უნარი შეასრულოს გარიგება პროფესიული სტანდარტების და მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.
- განსაზღვრავდეს (ან კრძალავდეს) გარიგებების ტიპებს, რომლებიც შეიძლება შესრულდეს ფირმის მიერ და იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება აუკრძალოს ფირმას გარიგებების შესრულება გარკვეული ტიპის სუბიექტებისთვის. მაგალითად:
 - ფირმამ შეიძლება აკრძალოს მარწმუნებელი გარიგებების შესრულება გარკვეულ განსახილველ საგანთან მიმართებით, როდესაც ფირმას არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ამ საგანთან დაკავშირებული გარიგებების შესასრულებლად.
 - ფირმამ შეიძლება აკრძალოს მარწმუნებელი გარიგებების შესრულება, მაგალითად ფინანსური ანგარიშგების აუდიტი იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც საქმიანობენ გარკვეულ დარგებში (მაგ., სპეციფიკური დარგები რეგულაციების ან სირთულის მაღალი დონით) მაშინ, როდესაც ფირმას არ აქვს შესაბამისი რესურსები ან ცოდნა და გამოცდილება ამ დარგში მოქმედი სუბიექტებისთვის გარიგებების შესასრულებლად.



ფირმა იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, დათანხმდეს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობას ან კონკრეტულ გარიგებას ან გააგრძელოს თუ არა იგი. ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად, გარიგების პარტნიორმა უნდა დაადგინოს, რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები დაცულია და ფირმის მიერ გამოტანილი დასკვნები შესაფერისია.

ხმსს 1-ის 34(დ) პუნქტი მოიცავს კონკრეტულ საპასუხო ზომას იმ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმების ან მისი გაგრძელების პოლიტიკაში ან პროცედურებში. (იხილეთ [„ა“ დანართი](#) კონკრეტული საპასუხო ზომების შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციისთვის). კონკრეტული საპასუხო ზომები ეყრდნობა არსებულ ხკსს 1-ის მოთხოვნებს და არ უნდა საჭიროებდეს მნიშვნელოვან გადახედვას.

დამკვეთთან ურთიერთობასა და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმების და მათი გაგრძელების პროცესში ფირმების დასახმარებლად, „ვ“ დანართში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ფირმამ საკუთარი

პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებისას. [„ვ“ დანართის](#) განხილვისას, თქვენ ასევე დაინახავთ ეთიკური მოთხოვნებისა და გარიგების შესრულების კომპონენტების გადაკვეთას დათანხმების/გაგრძელების გადაწყვეტილებებთან, ასევე პოლიტიკასა და პროცედურებთან. ყოველთვის არ არსებობს პირდაპირი (ერთი-ერთზე) კავშირი ხარისხის რისკსა და საპასუხო ზომას შორის. მნიშვნელოვანი იქნება, რომ თქვენი ხმს-ის ფარგლებში დააფიქსიროთ, თუ სად არის დოკუმენტირებული პოლიტიკა ან/და პროცედურა, რათა ხარისხის ყველა გამოვლენილი რისკი იყოს გათვალისწინებული.

ეს კომპონენტი წარმოდგენილი იყო ამ სერიის [პირველ ნაწილში](#). თუ გჭირდებათ მეტი ინფორმაცია ამ კომპონენტთან დაკავშირებით, გირჩევთ, გადახედოთ IAASB-ის ზემოხსენებულ სახელმძღვანელოს და თვითონ სტანდარტს.

ეს კომპონენტი კიდევ ერთხელ განხილულია [„გ“ დანართში](#) წარმოდგენილ შემთხვევის ანალიზში.

გარიგების შესრულება

რა კომპონენტია ეს?

გარიგების შესრულება. ეს კომპონენტი ეხება ხარისხიანი გარიგებების შესრულებას, მათ შორის იმას, რომ:

- გარიგების გუნდ(ებ)ს ან ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს გაცნობიერებული აქვთ და ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ გარიგებებთან, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, გარიგების პარტნიორების საერთო პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მართვასა და გარიგების ხარისხის უზრუნველყოფაზე და მათ საკმარის და ადეკვატურ ჩართულობაზე გარიგებაში მთელი გარიგების მიმდინარეობისას.
- როდესაც ეს შესაფერისია, გარიგების გუნდების ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის პროცესის ხასიათი, ვადები და მოცულობა ადეკვატურია და ეყრდნობა კონკრეტული გარიგების ხასიათსა და გარემოებებს და ასევე რესურსებს, რომლებიც განაწილებული იყო გარიგების გუნდებზე ან ხელმისაწვდომი გახდა მათთვის, ხოლო გარიგების გუნდის ნაკლებად გამოცდილი წევრების მიერ შესრულებული სამუშაოს მართვას, ზედამხედველობასა და მიმოხილვას ახორციელებენ გარიგების გუნდის გამოცდილი წევრები.

- გარიგების გუნდები მიმართავენ სათანადო პროფესიულ განსჯას და მოქმედებენ პროფესიული სკეპტიციზმით, როდესაც ეს აუცილებელია გარიგების ტიპიდან გამომდინარე.
- რთულ ან სადავო საკითხებთან დაკავშირებით ტარდება კონსულტაციები და გამოტანილი შეთანხმებული დასკვნები პრაქტიკაში რეალიზდება.
- ინფორმაცია აზრთა სხვადასხვაობის შესახებ გარიგების გუნდის წევრებს შორის, ან გარიგების გუნდსა და გარიგების ხარისხის მიმოხილველს ან იმ პირებს შორის, რომლებიც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში, მიეწოდება ფირმას და საკითხი გადაიჭრება.
- გარიგების დოკუმენტაციის დაკომპლექტება დროულად ხდება გარიგების ანგარიშის დათარიღების შემდეგ და სათანადოდ ინახება ფირმის საჭიროებისა და კანონმდებლობის, სათანადო ეთიკური მოთხოვნების ან პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

[ამ კომპონენტის ხარისხის მიზნებისთვის იხილეთ ხმს 1-ის 31-ე პუნქტი]

IAASB-ის ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როდესაც ადგენთ საჭიროა თუ არა ახალი საპასუხო ზომების განსაზღვრა ან როდესაც ასრულებთ „ხარვეზების ანალიზს“ თქვენს ფირმასთან მიმართებით:

ქვემოთ შეჯამებულია თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 გარიგების შესრულების მოთხოვნების თვალსაზრისით აქამდე არსებულ სტანდარტთან შედარებით:



- შეიცვალა იმგვარად, რომ შეესაბამება პრინციპებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს ხარისხის ისეთი მიზნების დადგენისას, რომლებიც ეხება გარიგების შესრულებას. პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნები კვლავ მოიცავს კონსულტაციის, აზრთა სხვადასხვაობის და გარიგების დოკუმენტაციის დაკომპლექტებისა და შენახვის საკითხებს.
- ახალი მოთხოვნა, რომელიც ეხება გარიგების გუნდების პასუხისმგებლობებს გარიგებებთან დაკავშირებით, მათ შორის გარიგების პარტნიორის საერთო პასუხისმგებლობას გარიგების ხარისხის მართვასა და გარიგების ხარისხის უზრუნველყოფაზე და მის საკმარის და ადეკვატურ ჩართულობაზე გარიგებაში მთელი გარიგების მიმდინარეობისას.
- გაუმჯობესებული მოთხოვნა, რომელიც ეხება გარიგების გუნდების ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვას, რომელიც ფოკუსირებულია იმაზე, თუ რა არის ადეკვატური გარიგებების ხასიათისა და გარემოებებიდან, ასევე იმ რესურსებიდან გამომდინარე, რომლებიც განაწილებული იყო გარიგების გუნდებზე.
- ახალი მოთხოვნა, რომელიც ეხება გარიგების გუნდების მიერ შესაბამისი პროფესიული განსჯის და, როდესაც ეს აუცილებელია გარიგების ტიპიდან გამომდინარე, პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენებას.
- გარიგების ხარისხის მიმოხილვებთან დაკავშირებული მოთხოვნები გადატანილია ხმს 1-სა და ხმს 2-ში (დამატებითი დეტალები იხილეთ კონკრეტული საპასუხო ზომების განყოფილებაში).

არსებული ხკს 1-ის ქვემოთ წარმოდგენილი მოთხოვნები ხმს 1-ში ასახულია შემდეგნაირად:

- ხკს 1 მოიცავდა უფრო კონკრეტულ მოთხოვნებს კონსულტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ საკითხებს, რომ ფირმას უნდა ჰქონოდა რესურსები კონსულტაციის წარმოებისთვის. ფირმის ხმს კვლავ უნდა ეხებოდეს კონსულტაციებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფას, რესურსების კომპონენტის საშუალებით.
- ხკს 1 მოიცავდა უფრო კონკრეტულ მოთხოვნებს კონსულტაციებსა და აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებული საკითხების დოკუმენტირების შესახებ. დოკუმენტირების საკითხი გათვალისწინებულია პრინციპებზე დაფუძნებულ იმ მოთხოვნებში, რომლებიც დოკუმენტირებას ეხება.

გასათვალისწინებელი საკითხები
მცირე ფირმებისთვის

IAASB-ის [ხმსს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელო](#) გარიგების შესრულების შესახებ მოიცავდა შემდეგ მოსაზრებებს მცირე ან ნაკლებ კომპლექსური ფირმებისთვის:

მცირე ან ნაკლებ კომპლექსურ ფირმაში:

- შესაძლოა გარიგების პარტნიორის გარდა არ იყვნენ გარიგების გუნდის სხვა წევრები (მაგ., ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში). ასეთ შემთხვევებში, ხარისხის მიზნები, რომლებიც ეხება ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მიმოხილვას, შეიძლება არ იყოს რელევანტური. ანალოგიურად, ფირმის ხარისხის რისკები, რომლებიც უკავშირდება გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას გარიგების ხარისხის მართვაზე და გარიგების ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე გარიგებაში საკმარისად და ადეკვატურად ჩართულობაზე, შეიძლება შეფასდეს როგორც საკმაოდ დაბალი.
- ფირმას შეიძლება არ ჰყავდეს შიდა პერსონალი, რომელსაც აქვს კონსულტაციების გასაწევად საჭირო კომპეტენცია და შესაძლებლობები. ფირმამ შეიძლება რთულ ან სადავო საკითხებზე კონსულტაციებისთვის შესაფერისად მიიჩნიოს მომსახურების პროვაიდერის გამოყენება.
- შეიძლება რთული აღმოჩნდეს ფირმაში ისეთი პირების ყოლა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე, რადგან ეს შეიძლება კონფლიქტის წყაროდ იქცეს და პერსონალმა სადამსჯელო ზომების შიშის გამო შესაძლოა თავიცი კი შეიკავოს ამ განსხვავებების გამჟღავნებისგან. ფირმამ შეიძლება შესაფერისად მიიჩნიოს მომსახურების პროვაიდერის გამოყენება განსხვავებული მოსაზრებების მიღების ან აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად.

გარიგების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული არაერთი პოლიტიკა და პროცედურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს გარიგების სახელმძღვანელოში ან ფირმის მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ რესურსებში (ანუ, საკონტროლო სიები გარიგების მიხედვით და ა.შ.). ამ შემთხვევაში, საჭირო იქნება საკონტროლო სიების განახლება ისე, რომ მასში აისახოს ხარისხის მართვის სტანდარტების შესაბამისი საკითხები. წინამდებარე ნაწილში ამ კომპონენტს უფრო დეტალურად აღარ შევხებით, თუმცა მას კვლავ განვიხილავთ ამ სერიის მე-3 ნაწილში.

ხმსს 1-ში განხილული ერთ-ერთი სფერო გარიგების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება შესაფერისი იყოს ზოგიერთი მცირე ფირმისთვის, არის ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და ტექნიკების (აიტ-ები) გამოყენება. თვით ინსტრუმენტები ტექნოლოგიურ რესურსებია, თუმცა მათ აქ იმითმ განვიხილავთ, რომ ისინი გარიგებების შესრულებისას გამოიყენება.



ამ თემასთან დაკავშირებით ქვემოთ წარმოდგენილი განხილვა მოცემული იყო IAASB-ის [ხმსს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#). შესაძლოა მითითებული რესურსები თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს:

გარიგების გუნდებმა გარიგების პროცესში აუდიტის პროცედურების შესრულებისას შეიძლება აიტ-ები გამოიყენონ. ზოგიერთ შემთხვევაში, აიტ-ები შეიძლება უზრუნველყოფილი ან დამტკიცებული იყოს ფირმის მიერ, ან სხვა შემთხვევებში, აიტ-ები შეიძლება მოპოვებული იქნეს გარიგების გუნდის მიერ. ორივე შემთხვევაში, ფირმის ხმს უნდა განსაზღვრავდეს რამდენად შესაფერისია ფირმისთვის ამ თუ იმ აიტ-ის გამოყენება, მაშინაც კი, თუ ის გარიგების გუნდის მიერ არის მოპოვებული. მაგალითად, ხმსს 1-ის გ101 პუნქტი განმარტავს, რომ ფირმას შეუძლია:

- სპეციალურად აკრძალოს აიტ-ის ან მისი გარკვეული ფუნქციების გამოყენება გარკვეულ დრომდე, სანამ არ დადგინდება, რომ ისინი სათანადოდ მუშაობს და არ დამტკიცდება, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება ფირმაში.
- შემოიღოს ისეთი გარემოებისთვის განკუთვნილი პოლიტიკა ან პროცედურები, როდესაც გარიგების გუნდი იყენებს აიტ-ს, რომელიც ფირმას არ დაუმტკიცებია. ამგვარი პოლიტიკა ან პროცედურები შესაძლოა გარიგების გუნდს ავალდებულებდეს, რომ აიტ-ის გარიგებაში გამოყენებამდე, კონკრეტული საკითხების განხილვის შედეგად (მაგ., მონაცემების შეყვანა, როგორც მუშაობს აიტ, აღწევს თუ არა აიტ-ის გამოყენებით მიღებული შედეგები დასახულ მიზნებს და ა.შ.), დაადგინოს, გამოსაყენებლად შესაფერისია თუ არა მოცემული პროგრამა.

IAASB-მა გამოსცა [არასავალდებულო დამხმარე მასალა აუდიტორებისთვის აიტ-ების გამოყენების დოკუმენტებისასთან დაკავშირებით](#).

ეს სახელმძღვანელო მოიცავს იმას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გარიგების დოკუმენტაციაზე იმ გარემოებამ, როდესაც ფირმას დამტკიცებული აქვს აიტ-ი, იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც აიტ-ი ფირმის მიერ განხორციელებულ დამტკიცების პროცესს არ დაქვემდებარება.

IAASB-მა ასევე გამოსცა [არასავალდებულო დამხმარე მასალა იმ რისკების შესახებ, რომელსაც წარმოქმნის აიტ-ის გამოყენებისას ტექნოლოგიებზე ზედმეტი დამოკიდებულება და სუბიექტის სისტემების მიერ შექმნილი ინფორმაციის გამოყენება](#).

ეს სახელმძღვანელო მოიცავს რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ფირმები დაეხმარონ გარიგების გუნდებს ავტომატიზაციის მიკერძოებულობასთან/ტენდენციურობასთან და აიტ-ების გამოყენებისას ტექნოლოგიებზე ზედმეტი დამოკიდებულების რისკებთან გამკლავებაში.

შეხსენება: ელექტრონული ცხრილების აიტ-ის სახით გამოყენებამ შეიძლება ხარისხის რისკები წარმოშვას. პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ფორმატის, ფორმულებისა და მთლიანობის შემოწმებას ყოველი გამოყენებისას, შეიძლება შესაფერისი იყოს. რისკების წარმოშობის აღბათობა განსაკუთრებით მაღალია, როდესაც ელექტრონული ცხრილები უფრო კომპლექსურია, ასევე როდესაც შესაძლებელია მათი გაზიარება ან ასლის გაკეთება (კოპირება).

გარიგების ხარისხის მიმოხილვები

გარიგების შესრულებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც მცირე ფირმებს ხშირად უქმნის პრობლემებს, არის გარიგების ხარისხის მიმოხილვის (გზმ) მოთხოვნა.

ხმს 1 ეხება ისეთ გარიგებებს, რომლებისათვისაც გარიგების ხარისხის მიმოხილვები აუცილებელია. [ხმს 2, გარიგების ხარისხის მიმოხილვა](#), კი ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვების დანიშვნას და უფლებამოსილების მინიჭების კრიტერიუმებს, ასევე გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულებასა და დოკუმენტირებას.



ძალაში შესვლის თარიღი:

- 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და მიმოხილვისთვის.
- სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ.

შესაბამისი განმარტებები

- გარიგების ხარისხის მიმოხილვა (გზმ) – გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება გარიგების ხარისხის მიმოხილველის მიერ, რომელიც დასრულდა არაუგვიანეს გარიგების დასკვნის (ანგარიშის) თარიღისა.
- გარიგების ხარისხის მიმოხილველი – პარტნიორი, ფირმაში მომუშავე სხვა პირი ან გარე პიროვნება, რომელიც ფირმის მიერ დანიშნულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩასატარებლად. [შენიშვნა: გარიგების ხარისხის მიმოხილველი არ არის გარიგების გუნდის წევრი]
- გარიგების გუნდი - კონკრეტული გარიგების შემსრულებელი ყველა პარტნიორი და თანამშრომელი, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც პროცედურებს ატარებს მოცემულ გარიგებასთან დაკავშირებით, გარდა გარე ექსპერტებისა და დამკვეთის შიდა აუდიტის განყოფილების თანამშრომლებისა, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევენ გარიგების გუნდს გარიგების შესრულებისას.

გზმ-ს დაქვემდებარებული გარიგებები

ხმს 1-ის 34(ვ) პუნქტში კონკრეტული საპასუხო ზომები მოცემულია შემდეგნაირად:

- ფირმა აწესებს ისეთ პოლიტიკას ან პროცედურებს, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებას ხმს 2-ის შესაბამისად და მოითხოვს გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებას:
- (i) საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის;
 - (ii) იმ სუბიექტების აუდიტის ან სხვა გარიგებებისთვის, რომლებისთვისაც გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება კანონმდებლობით მოითხოვება;
 - (iii) იმ სუბიექტების აუდიტის ან სხვა გარიგებებისთვის, რომლებისთვისაც ფირმა ადგენს, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება მიზანშეწონილია ხარისხის ერთ ან რამდენიმე რისკზე რეაგირების მიზნით.

ხმს 1-ის გ133 პუნქტში აღნიშნულია:

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება შესაძლოა კანონმდებლობით მოითხოვებოდეს, მაგალითად, იმ სუბიექტების აუდიტის გარიგებისთვის, რომლებიც:

- არიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირები კონკრეტული იურისდიქციის განმარტების მიხედვით;
- საქმიანობენ სახელმწიფო სექტორში ან სახელმწიფოს მიერ ფინანსდებიან, ან საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული სუბიექტები არიან;
- საქმიანობენ გარკვეულ დარგებში (მაგ., საფინანსო დაწესებულებები, როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები);
- აკმაყოფილებენ აქტივებისთვის დადგენილ გარკვეულ ზღვარს; ან
- იმყოფებიან სასამართლოს ან სასამართლო პროცესის მართვის ქვეშ (მაგ., ლიკვიდაცია).

მცირე ფირმისთვის ყველაზე შესაფერისი კონკრეტული საპასუხო ზომაა გქონდეთ ისეთი პოლიტიკა ან პროცედურა, რომელიც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ რომელი გარიგებისთვის შეიძლება იყოს გარიგების ხარისხის მიმოხილვა სათანადო საპასუხო ზომა.

როგორც მცირე ფირმას, თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ არ დათანხმდეთ ისეთ დამკვეთებს, რომლებსაც სამართლებრივად მოეთხოვებათ გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება. თუმცა, გარიგების ხარისხის მიმოხილვა შეიძლება ხარისხის ერთ ან რამდენიმე რისკზე რეაგირებისთვის შესაფერისი საპასუხო ზომა იყოს შემდეგ სიტუაციებში:

- გარიგებები, რომლებსაც მაღალი დონის სირთულე ახასიათებს ან რომლებიც მაღალი დონის განსჯას საჭიროებს, როგორებიცაა:
 - ისეთი დარგის სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლის სააღრიცხვო შეფასებებთან, როგორც წესი, მაღალი დონის შეფასების განუსაზღვრელობაა დაკავშირებული (მაგ., ზოგიერთი მსხვილი საფინანსო დაწესებულება ან სამთო-მომპოვებელი დარგის სუბიექტი), ან სუბიექტების, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ისეთ პირობებთან ან მოვლენებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ექვის გამოწვევა მათი ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით.
 - მარწმუნებელი გარიგებები, რომელთა განსახილველი საგნის გასაზომად ან შესაფასებლად, შესაფერისი კრიტერიუმების გამოყენებით, აუცილებელია სპეციალიზებული უნარები და ცოდნა (მაგ., სათბურის გაზის ანგარიში, რომლის რაოდენობრივ მონაცემებთან მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობაა დაკავშირებული).
- გარიგებები, სადაც პრობლემები გამოვლინდა, მაგალითად აუდიტის გარიგებები, რომელთათვისაც განმეორებით ჩატარებული შიდა ან გარე ინსპექტირების შედეგად შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოსწორებული არ არის, ან არსებითი უზუსტობა არსებობს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ შესადარის ინფორმაციაში.
- გარიგებები, რომლებთან დაკავშირებითაც უჩვეულო გარემოებები გამოვლინდა ფირმის მიერ დათანხმებისა და გაგრძელების პროცედურების ჩატარებისას (მაგ., ახალი დამკვეთი, რომელსაც უთანხმოება ჰქონდა წინამორბედ აუდიტორთან ან მარწმუნებელი მომსახურების შემსრულებელ პრაქტიკოსთან).
- გარიგებები, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკოსის ანგარიშის წარდგენას ფინანსურ ან არაფინანსურ ინფორმაციაზე, რომლის ჩართვა მოსალოდნელია მარეგულირებელი ორგანოსთვის წარდგენილ ანგარიშში და შესაძლოა მოითხოვდეს მაღალი დონის განსჯას, როგორცაა, მაგალითად პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, რომელიც უნდა ჩაირთოს პროსპექტში.
- ახალდმოცენებული დარგების სუბიექტები ან ის სუბიექტები, რომლებთანაც ფირმას არა აქვს წინა წლების მუშაობის გამოცდილება.
- სუბიექტები, რომლებიც არ არიან საფონდო ბირჟაზე კოტირებული, მაგრამ შესაძლოა საზოგადოებრივი დაინტერესების პირები იყვნენ ან საზოგადოების წინაშე გააჩნდეთ ანგარიშვალდებულება, მაგალითად:
 - სუბიექტები, რომლებიც ფიდუციარული მართვის უფლებით ფლობენ მრავალრიცხოვანი დაინტერესებული მხარის, მათ შორის საფინანსო დაწესებულებების მნიშვნელოვანი მოცულობის აქტივებს, როგორიცაა ზოგიერთი ბანკი, სადაზღვევო კომპანია და საპენსიო ფონდი, რომლებისთვისაც გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა სავალდებულო კანონმდებლობის მიხედვით.

- სუბიექტები, რომლებსაც მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი აქვთ, ან რომელთა ხელმძღვანელობას ან მესაკუთრეებს აქვთ მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი.
- სუბიექტები, რომლებსაც მრავალრიცხოვანი და ფართო სპექტრის დაინტერესებული მხარეები ჰყავს.

გარდა ამისა, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად გარიგების შესრულების შესაძლებლობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს რესურსებზე ხელმისაწვდომობის არსებობის საკითხმა, მაგალითად, თუ საჭიროა გარიგების ხარისხის მიმოხილვა, ამ შემთხვევაში არის თუ არა თქვენს ფირმაში პირი, რომელიც აკმაყოფილებს ხმს 2-ის შესაბამისად მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან შესაბამისობის მოთხოვნებს, ან შეუძლია თუ არა ფირმას სხვა ფორმით მოიძიოს ასეთი პირი.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესაბამისობა

ფირმამ უნდა დააწესოს ისეთი პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც ადგენს კრიტერიუმებს გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილების მქონე პირთა შესარჩევად. ეს პოლიტიკა ან პროცედურები უნდა მოითხოვდეს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველი არ იყოს გარიგების გუნდის წევრი და:

- მას უნდა გააჩნდეს სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო და სათანადო უფლებამოსილება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩასატარებლად;
- უნდა იცავდეს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს, მათ შორის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილ საფრთხეებს; და
- უნდა იცავდეს საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ დებულებებს (თუკი ასეთი რამ არსებობს), რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილებას.

გარიგების ხარისხის მიმომხილველი, როგორც მომსახურების პროვაიდერი

მოუხედავად იმისა, რომ თქვენი ფირმა შესაძლოა გარიგების ხარისხის მიმოხილვის (გხმ) მიზნით მომსახურების პროვაიდერს იყენებდეს, კვლავ ფირმაა პასუხისმგებელი საკუთარ ხმს-ზე და გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებსა და პროცედურებზე. გარიგების ხარისხის მიმოხილვის განმახორციელებლად გარე პირის გამოყენება წარმოადგენს *მომსახურების პროვაიდერის სახით რესურსების გამოყენების ერთ-ერთ მაგალითს*. უნდა მომზადდეს გარიგების წერილი, რომელიც აჩვენებს, რომ სრულად გაცნობიერებულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ვადები, ხასიათი და მასშტაბი. მისი ხელმოწერა უნდა მოხდეს მანამ, სანამ დაიწყებთ გარიგების დაგეგმვას. გხმ-ის პროცესი და მიმომხილველი ხმს-ის ყველა შესაბამის პოლიტიკასა და პროცედურას ექვემდებარება. მაგალითად, საჭიროა დამოუკიდებლობის დასტურის მოპოვება.

კავშირი თქვენი ხმს-ის სხვა კომპონენტებთან

გხმ-თან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკა და პროცედურა ასევე დაკავშირებულია თქვენი ხმს-ის ისეთ კომპონენტებთან, როგორებიცაა გარიგების შესრულება და კომუნიკაცია.

რჩევა დაგეგმვასთან დაკავშირებით: თუ დამკვეთთან ურთიერთობაზე და გარიგებაზე დათანხმების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ფირმაში გაქვთ გაძლევთ საშუალებას მიიღოთ ისეთი დამკვეთები, რომლებსაც გარიგების ხარისხის მიმოხილვა მოეთხოვებათ, მაშინ თქვენ აუცილებლად უნდა დაიწყოთ ამასთან დაკავშირებით რესურსების დაგეგმვა.

ამ სერიის [„თ“ დანართში](#) მოცემულია საკონტროლო სიის ნიმუში, რომელშიც თქვენ ნახავთ გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებით შემოთავაზებულ პროცედურებს.

გარიგების შესრულების კომპონენტი

თქვენმა ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც შეეხება აზრთა სხვადასხვაობის საკითხს გარიგების გუნდის წევრებს შორის, ან გარიგების გუნდსა და გარიგების ხარისხის მიმომხილველს ან იმ პირებს შორის, რომლებიც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში, ასევე იმას თუ როგორ მიეწოდება ფირმას ეს საკითხი და როგორ გადაიჭრება ის.

კომუნიკაცია ფირმის ფარგლებში

იმისათვის, რომ ფირმა აღიარებდეს და განამტკიცებდეს პერსონალისა და გარიგების გუნდების პასუხისმგებლობას ინფორმაციის გაცვლაზე ფირმასთან და ერთმანეთთან, ფირმის ფარგლებში უნდა დაწესდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც საკომუნიკაციო არხების მეშვეობით კომუნიკაციის პროცესს ხელს შეუწყობს, მაგალითად: გარიგების გუნდებმა დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გარიგების ხარისხის მიმომხილველს ან პირს, რომელიც კონსულტაციას უწევს მათ.

შენიშვნა: IESBA-ის კოდექსის განახლება, რომელიც უკავშირდება გარიგების ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობას მოცემულია [„ბ“ დანართში](#).



გარიგების ხარისხის მიმოხილვა, მონიტორინგი და სხვა მიმოხილვები

შესაძლოა სასარგებლო იყოს სამი სხვადასხვა ტიპის „მიმოხილვის“ დამატებითი ახსნა-განმარტება:

- 1** გარიგების ხარისხის მიმოხილვა – როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული გარიგებებისთვის შესაძლოა რეგულაციის ან თქვენი ფირმის პოლიტიკის საფუძველზე მოითხოვებოდეს გარიგების ხარისხის ოფიციალური მიმოხილვა. გარიგების ხარისხის მიმოხილვა უნდა დასრულდეს ანგარიშის გამოქვეყნებამდე. ასევე გარიგების ხარისხის მიმომხილველი უნდა მონაწილეობდეს გარიგების დაგეგმვის პროცესში.
- 2** მონიტორინგი – ეს არის ანგარიშის გამოცემის შემდგომი სისტემატური მიმოხილვა თქვენი ხმს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. ეს საკითხი განხილული იქნება ამ სერიის მე-3 ნაწილში.
- 3** სხვა მიმოხილვები - ხარისხის რისკებზე რეაგირების მიზნით თქვენი ფირმის მიერ გატარებული საპასუხო ზომები შეიძლება მოიცავდეს ისეთ სხვა ტიპის მიმოხილვებსაც, რომლებიც გარიგების ხარისხის მიმოხილვის მოთხოვნის ფარგლებს მიღმაა. მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ფირმის საპასუხო ზომები შესაძლოა მოიცავდეს გარიგების გუნდის იმ პროცედურების მიმოხილვას, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან, ან სპეციალიზებული ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე პერსონალის ზოგიერთი მნიშვნელოვანი განსჯის მიმოხილვას. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა ჩატარდეს გარიგების ამგვარი სხვა ტიპის მიმოხილვაც და გარიგების ხარისხის მიმოხილვაც. (იხ. ხმს 1-ის გ135 პუნქტი) .

რესურსები

რა კომპონენტია ეს?

რესურსები. ეს კომპონენტი ეხება შესაბამისი რესურსების დროულად მოპოვებას, განვითარებას, გამოყენებას, შენარჩუნებას, განაწილებასა და გამოყოფას, რამაც უნდა უზრუნველყოს თქვენი ხმს-ის შექმნა, განხორციელება და ფუნქციონირება. ეს კომპონენტი მოიცავს სამი ტიპის რესურსს, რომლებიც საჭიროა ხმს-ის ფუნქციონირების ან/და გარიგებების შესრულებისთვის:

ადამიანური რესურსები*	შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსები*	შესაბამისი ინტელექტუალური რესურსები*
ხმსს 1-ის თანახმად, ტერმინი „ადამიანური რესურსები“ მოიცავს სხვადასხვა პირებს, რომლებიც შეიძლება ფირმამ გამოიყენოს ხმს-ის ფარგლებში ან გარიგებების შესრულების პროცესში. ტერმინი „პერსონალი“ ხმსს 1-ში აღნიშნავს პირებს ფირმის შიგნით. ხარისხის მიზნების მისაღწევად: • ხდება ისეთი პერსონალის დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია და შესაძლებლობები, რომ: - მუდმივად ხარისხიანი გარიგებები შესრულდეს, მათ შორის იმ გარიგებების შესაფერისი ცოდნა ან გამოცდილება, რომლებსაც თქვენი ფირმა ასრულებს; ან - შესრულდეს თქვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აქტივობები ან პასუხისმგებლობები. • პერსონალი ხარისხის მიმართ ერთგულებას წარმოაჩენს საკუთარი ქმედებებითა და ქცევით, თავისი როლის შესასრულებლად საჭირო კომპეტენციის სათანადო დონის განვითარებითა და შენარჩუნებით, ხოლო მათი ანგარიშვალდებულების განსაზღვრა ან აღიარება ხდება მათი მუშაობის დროული შეფასებით, ანაზღაურების, დაწინაურების პოლიტიკისა და სხვა წამახალისებელი საშუალებების გამოყენებით; • როდესაც თქვენს ფირმას არ გააჩნია საკმარისი ან სათანადო პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებას ან გარიგებების შესრულებას, პირები შეიძლება მოწვეულ იქნენ გარე წყაროებიდან (ე.ი. ქსელიდან, ქსელის სხვა ფირმიდან ან მომსახურების პროვაიდერიდან); • როდესაც ეს შესაფერისია, თითოეული გარიგებისთვის გარიგების გუნდში ინიშნებიან ისეთი წევრები, მათ შორის გარიგების პარტნიორი, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, ასევე საკმარისი დრო ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად; • თქვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში ფუნქციების შესასრულებლად უნდა დაინიშნონ ისეთი პირები, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, ასევე საკმარისი დრო დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად;	თქვენ შეგიძლიათ შესაბამისი ინტელექტუალური რესურსები მოიპოვოთ ან შექმნათ, დანერგოთ, ამუშაოთ და გამოიყენოთ თქვენი ფირმის ხმს-ის ფუნქციონირების, ასევე ხარისხიანი გარიგებების თანმიმდევრულად შესრულების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსები არის ის რესურსები, რომლებიც გამოიყენება: • თქვენი ფირმის ხმს-ის შექმნის, დანერგვის ან ფუნქციონირებისას; • გარიგების გუნდ(ებ)ის მიერ გარიგებების შესრულებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური რესურსები აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიური (სტ) აპლიკაციების ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფირმის მიერ გამოყენებული ყველა ტექნოლოგიური რესურსი არ შედის ხმს-ის მოქმედების სფეროში. ინტელექტუალური რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ტექნოლოგიური რესურსების მეშვეობით, მაგალითად, აუდიტის მეთოდოლოგია არის ინტელექტუალური რესურსი, რომელიც ჩაშენებულია სტ აპლიკაციაში, რომელიც აადვილებს სამუშაო დოკუმენტის ფაილის შექმნას. გარიგებების შესრულებისას გამოყენებული ავტომატიზებული ინსტრუმენტები და ტექნიკა (აიტ) ასევე წარმოადგენს ტექნოლოგიური რესურსების მაგალითს. (იხილეთ ზემოთ მოცემული განხილვა გარიგების შესრულების შესახებ.)	სათანადო ინტელექტუალურ რესურსებს მოიპოვებენ ან ქმნიან, ნერგავენ, ამუშავებენ და იყენებენ იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირება და გარიგებების თანმიმდევრულად შესრულება. ინტელექტუალური რესურსები უნდა შეესაბამებოდეს პროფესიულ სტანდარტებსა და სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს, სადაც ეს შესაფერისია. ხმსს 1-ის გ102 პუნქტში წარმოდგენილია ინტელექტუალური რესურსების შემდეგი მაგალითები: წერილობითი დამტკიცებული პოლიტიკა ან პროცედურები, მეთოდოლოგია, დარგის ან განსახილველი საგნისთვის შესაფერისი სპეციალური სახელმძღვანელოები/ინსტრუქციები, ბუღალტრული აღრიცხვის სახელმძღვანელოები, სტანდარტული დოკუმენტაცია ან ინფორმაციის წყაროებთან წვდომა (მაგ., ვებგვერდების გამოწერა, სადაც დეტალური ინფორმაციაა მოცემული სუბიექტების შესახებ ან სხვა ინფორმაცია, რომლებიც, როგორც წესი, გარიგებების შესრულებისას გამოიყენება).

* თქვენი ფირმა შესაძლოა ხმს-ის ფარგლებში ან გარიგებების შესრულებისას ადამიანური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსებისთვის შესაძლოა იყენებდეს მომსახურების პროვაიდერებს. ამიტომ ეს ასპექტი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხარისხის მიზნების განსაზღვრისას.

[ამ კომპონენტის ხარისხის მიზნებისთვის იხილეთ ხმსს 1-ის 32-ე პუნქტი.]

IAASB-ის [ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როდესაც ადგენთ საჭიროა თუ არა ახალი საპასუხო ზომების განსაზღვრა ან როდესაც ასრულებთ „ხარვეზების ანალიზს“ თქვენს ფირმასთან მიმართებით:

ქვემოთ შეჯამებულია თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 რესურსებთან დაკავშირებული მოთხოვნების თვალსაზრისით აქამდე არსებულ სტანდარტთან შედარებით:



- ახალი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ისეთ ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს ხმს-ის ფუნქციონირებას და გარიგებების შესრულებას.
- უფრო ვრცელი მოთხოვნები ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, კერძოდ:
 - ახალი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია გყავდეთ კომპეტენტური და მცოდნე ადამიანური რესურსები, რომლებიც შეძლებენ ხმს-ის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებას და პასუხისმგებლობების აღებას, და რომლებზეც გაანაწილებთ ხმს-ის ფარგლებში აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებულ როლებს;
 - ახალი მოთხოვნა გარე რესურსებიდან (მაგ., ქსელი, სხვა ქსელის ფირმა ან მომსახურების პროვაიდერი) პირების მოძიებასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ფირმას არ ჰყავს ხმს-ის ფუნქციონირებისთვის ან გარიგებების შესასრულებლად საჭირო პერსონალი; და
 - ახალი მოთხოვნა, რომელიც ეხება პერსონალის ერთგულებას ხარისხისადმი, მათ ანგარიშვალდებულებას ან აღიარებას დროული შეფასებების, კომპენსაციის, წინსვლის და სხვა სტიმულების გზით.
- ახალი მოთხოვნა მომსახურების პროვაიდერებთან მიმართებით კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ მომსახურების პროვაიდერების რესურსები შესაფერისი იყოს ხმს-ში გამოსაყენებლად და გარიგებების შესასრულებლად.

ხკს 1 გარიგების პარტნიორთან დაკავშირებით მოიცავდა უფრო სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ეხებოდა გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობების განსაზღვრასა და კომუნიკაციას, აგრეთვე გარიგების პარტნიორის ვინაობისა და როლის შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ეს საკითხები ხმს 1-ში შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი:

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია ხმს 1-ში გათვალისწინებულია შემდეგნაირად:
 - მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების აუდიტის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს მიეწოდოთ ინფორმაცია ხმს-ის შესახებ; და
 - პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება გარე მხარეების ინფორმირებას, როდესაც ეს შესაფერისია.
- გარიგების შესრულების კომპონენტი ეხება გარიგების გუნდების პასუხისმგებლობებს და ყურადღებას კონკრეტულად გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობაზე ამახვილებს.

ადამიანური რესურსების განაწილება

თქვენმა ფირმამ უნდა დაადგინოს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული ხარისხის მიზანი. მაგალითად, ხმს 1-ის 32(დ) პუნქტით განსაზღვრულია თუ როგორ უნდა დაინიშნონ გარიგების გუნდის წევრები, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, ასევე საკმარისი დრო ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად;

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს შესაძლოა მოიცავდეს ფირმის გარე პირების დანიშვნას, რომლებიც გარიგების ფარგლებში პროცედურებს ასრულებენ. მაგალითად, *ასს 600 (სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორის სამუშაოს ჩათვლით))*² ეხება ჯგუფის აუდიტთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს და მოიცავს მოთხოვნებსა და გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას, რომელიც შეეხება ჯგუფის აუდიტორის პასუხისმგებლობას კომპონენტის აუდიტორების ჩართულობისას. ხმს 1 ეხება კომპონენტის აუდიტორების შესაბამისობის, კომპეტენციისა და შესაძლებლობების საკითხებს. ეს თემა შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს მცირე ფირმებისთვის.

მცირე ფირმებმა შეიძლება უფრო მეტად მიმართონ გარე კონსულტაციებს რთულ ოპერაციებთან, კომპლექსურ სტ სისტემებთან, სპეციალიზებულ ან არასტანდარტულ სააღრიცხვო საკითხებთან, დამოუკიდებლობის ან ეთიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან და ა.შ. დაკავშირებით. ამ სერიის [„ზ“ დანართში](#) მოცემული მასალა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც შეგიძლიათ გარკვეულწილად შეცვალოთ და გამოიყენოთ ისეთი გარე რესურსების შესაძლო გამოყენების დოკუმენტირებისას, რომლებიც კონსულტაციის ხასიათის მიხედვით შეიძლება ადამიანურ ან ინტელექტუალურ რესურსებად ჩაითვალოს.

² გაითვალისწინეთ, რომ IAASB-მა [გამოსცა ასს 600 \(გადასინჯული\) - სპეციფიკური საკითხები - ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი \(კომპონენტის აუდიტორის სამუშაოს ჩათვლით\)](#) - რომელიც ძალაში შევა 2023 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისათვის.

ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები

თქვენმა ფირმამ უნდა დაადგინოს ტექნოლოგიურ რესურსებთან დაკავშირებული ხარისხის მიზანი. მაგალითად, ხმს 1-ის 32(ვ) პუნქტი ეხება ტექნოლოგიური რესურსების მოპოვებას ან შექმნას, დანერგვას, ამუშავებას და გამოყენებას, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირება და გარიგებების შესრულება.

გარდა ამისა, ხმს 1-ის 32(ზ) პუნქტი ეხება ინტელექტუალური რესურსების მოპოვებას ან შექმნას, დანერგვას, შენარჩუნებას და გამოყენებას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირება და მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესრულება, რაც შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებსა და შესაფერის საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში;

ხარისხის ეს მიზნები, მათთან დაკავშირებულ ხარისხის რისკებთან ერთად, შეიძლება შეტანილ იქნეს სამუშაო წიგნში, რომელიც ამ ნაწილის პირველ ნიმუშშია წარმოდგენილი. შემდეგი ნაბიჯი კი იქნება ისეთი საპასუხო ზომების შემუშავება, რომელიც კონკრეტულად თქვენს ფირმაზეა მორგებული.

მცირე ზომის ფირმის მიერ ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების გამოყენების პოლიტიკის მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი:

ფირმის მეთოდოლოგიის გამოყენება/ინტელექტუალური რესურსები

ყველა პარტნიორმა და თანამშრომელმა უნდა გამოიყენოს ფირმის მეთოდოლოგია და უზრუნველყოს აპლიკაციების განახლება, მათ შორისაა, და არა მარტო, სამუშაო დოკუმენტების ფაილის დასაგენერირებელი აპლიკაცია, საკონტროლო სიები და ა.შ.

ეს კომპონენტი განხილული იყო ამ სერიის პირველ ნაწილში. დამატებითი მითითებებისთვის, გირჩევთ იხილოთ IAASB-ის ზემოხსენებული სახელმძღვანელო და თავად სტანდარტი.



ინფორმაცია და კომუნიკაცია

რა კომპონენტია ეს?

ინფორმაცია და კომუნიკაცია: ეს კომპონენტი ეხება ხარისხის მართვის სისტემის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, გენერირებას ან გამოყენებას, ასევე ინფორმაციის დროულად მიწოდებას როგორც ფირმის შიგნით, ისე გარე მხარეებისთვის, საჭიროების შემთხვევაში.

[ამ კომპონენტის ხარისხის მიზნებისთვის იხილეთ ხმს 1-ის 33-ე პუნქტი და ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა.]

IAASB-ის [ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როდესაც ადგენთ საჭიროა თუ არა ახალი საპასუხო ზომების განსაზღვრა ან როდესაც ასრულებთ "ხარვეზების ანალიზს" თქვენს ფირმასთან მიმართებით:

ქვემოთ შეჯამებულია თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 ინფორმირებისა და კომუნიკაციის საკითხების მიმართ აქამდე არსებულ სტანდარტთან შედარებით:



- ახალი კომპონენტი ხმს 1-ში.
- ახალი და გაუმჯობესებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება ინფორმაციის მოპოვებას, გენერირებას ან გამოყენებას, ასევე ინფორმაციის მიწოდებას, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება. ახალი მოთხოვნები ეხება:
 - ფირმის საინფორმაციო სისტემას;
 - ფირმის კულტურას ინფორმირებისა და კომუნიკაციის კონტექსტში (ე.ი. ფირმის პერსონალის პასუხისმგებლობის აღიარება და განმტკიცება ფირმასთან და ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით);
 - ინფორმაციის გაცვლას ფირმასა და გარიგების გუნდებს შორის (შენიშვნა: ეს არის ახალი მოთხოვნა, რომელიც განსხვავდება ხკს 1-ის მოთხოვნისგან, რომელიც ეხებოდა ფირმის მხრიდან თავისი პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდებას);
 - კომუნიკაციას ფირმის ქსელის ფარგლებში, ასევე მომსახურების პროვაიდერებთან;
 - ხმს-თან დაკავშირებით სხვა სახის კომუნიკაციას გარე პირებთან, ე.ი. როდესაც ეს მოითხოვება კანონით, რეგულაციებით ან პროფესიული სტანდარტებით, ან საჭიროა იმისათვის, რომ გარე მხარეებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ ხარისხის მართვის სისტემაზე.

ხკს 1-ში კომუნიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები შეტანილი იყო სტანდარტის ზოგიერთ ელემენტში, მაგალითად, დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებული კომუნიკაცია და ინფორმირება გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობების შესახებ. ხმს 1-ის ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტი ეხება ამ კომუნიკაციის საჭიროებას პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტშია გათვალისწინებული.

ინფორმაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ხარისხის მიზანი

თქვენმა ფირმამ უნდა დაადგინოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტთან დაკავშირებული ხარისხის მიზანი, რომლებიც ეხება თქვენს ხმს-თან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას, შექმნასა და გამოყენებას, ამ ინფორმაციის დროულად გავრცელებას ფირმის ფარგლებში და ასევე გარე მხარეებისთვის მიწოდებას, რათა შესაძლებელი იყოს ხმს-ის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება. ხმსს 1-ის 33-ე პუნქტი მოიცავს შემდეგ მიზნებს:

ა) საინფორმაციო სისტემა ადგენს, აგროვებს, ამუშავებს და ინახავს როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან მიღებულ რელევანტურ და საიმედო ინფორმაციას, რომელიც განამტკიცებს ხარისხის მართვის სისტემას.

ბ) ფირმის კულტურა აღიარებს და განამტკიცებს ფირმასთან და ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლაზე პერსონალის პასუხისმგებლობას.

გ) რელევანტური და საიმედო ინფორმაციის გაცვლა ხდება მთელი ფირმის მასშტაბით და გარიგების გუნდებს შორის, მათ შორის:

(i) ინფორმაცია მიეწოდება პერსონალს და გარიგების გუნდებს და ამ ინფორმაციის ხასიათი, ვადები და მოცულობა საკმარისია იმისთვის, რომ მათ შეძლონ დაკისრებული პასუხისმგებლობების გაგება და შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში გარკვეული ფუნქციების ან გარიგებების შესრულებასთან; და

(ii) პერსონალი და გარიგების გუნდები ფირმას აწვდიან ინფორმაციას, როდესაც სამუშაოს ასრულებენ ხარისხის მართვის სისტემის ან გარიგებების ფარგლებში.

დ) რელევანტური და საიმედო ინფორმაცია მიეწოდება გარე მხარეებს, მათ შორის:


(i) ფირმა ინფორმაციას აწვდის თავის ქსელს ან ქსელში შემავალ სტრუქტურებს, ან მომსახურების პროვაიდერებს, თუ ასეთი არსებობს, რაც ქსელს ან მომსახურების პროვაიდერებს ქსელის მოთხოვნებთან ან ქსელის მომსახურებასთან ან მათ მიერ მოწოდებულ რესურსებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების შესრულების საშუალებას აძლევს; და

(ii) ინფორმაცია მიეწოდება გარე მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით ან პროფესიული სტანდარტებით მოითხოვება, ან გარე მხარეების დახმარების მიზნით, რათა მათ ნათელი წარმოდგენა შეიქმნან ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე.

მცირე ფირმის შემთხვევაში, კომუნიკაცია შესაძლებელია იყოს შედარებით არაფორმალური და ხორციელდებოდეს პერსონალთან და გარიგების გუნდებთან პირდაპირი განხილვების გზით. ხმსს 1 არ მოითხოვს, რომ ყველანაირი კომუნიკაცია ფორმალურად იყოს დოკუმენტირებული. ხშირად ეს პრაქტიკულად შეუძლებელიც კი არის. ფირმამ კომუნიკაცია დოკუმენტურად უნდა ასახოს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ხმსს 1-ის 57-59 პუნქტებში გათვალისწინებული დოკუმენტირების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ეს კომპონენტი წარმოდგენილი იყო ამ სერიის **პირველ ნაწილში**. თუ ამ კომპონენტთან დაკავშირებით დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები გჭირდებათ, გირჩევთ იხილოთ IAASB-ის ზემოხსენებული სახელმძღვანელო და თავად სტანდარტი.





ხმსს 1 ადგენს კონკრეტულ საპასუხო ზომებს, რომლებიც ყველა ფირმამ უნდა შეიტანოს თავის ხმს-ში. შეგიძლიათ გამოიყენოთ აქ წარმოდგენილი შემაჯამებელი ცხრილი, რათა დარწმუნდეთ, რომ ხმს-ში ასახული გაქვთ ხმსს-ით მოთხოვნილი კონკრეტული საპასუხო ზომები.

ამ შეჯამებიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა კონკრეტული საპასუხო ზომა ვრცელდება სხვადასხვა ზომისა და სირთულის ფირმაზე. ამ შემთხვევაში მთავარია, მოახდინოთ ამ საპასუხო ზომების მასშტაბირება თქვენი ფირმის ხასიათისა და გარემოებების შესაბამისად.

		ინდ. პრაქტიკოსი თანამშრომლების გარეშე	ინდ. პრაქტიკოსი თანამშრომლებით	ფირმა 2-5 პარტნიორით და თანამშრომლებით
სათანადო ეთიკური მოთხოვნები				
1.	ფირმა აწესებს პოლიტიკას ან პროცედურებს: (i) სათანადო ეთიკური მოთხოვნების მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოსავლენად, შესაფასებლად და მათზე რეაგირებისთვის; და (ii) სათანადო ეთიკური მოთხოვნების დარღვევების გამოსავლენად, ინფორმირებისთვის, შესაფასებლად, ანგარიშის წარსადგენად და ასევე ამ დარღვევების გამომწვევ მიზეზებსა და დარღვევით განპირობებულ შედეგებზე სათანადო რეაგირების მიზნით საპასუხო ზომების დროულად გასატარებლად. (ხმსს 1, 34(ა))	დიახ	დიახ	დიახ
2.	ბ) ფირმა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც მოიპოვებს დოკუმენტურ დასტურს დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის შესახებ ყველა იმ პერსონალისგან, რომელსაც სათანადო ეთიკური მოთხოვნებით დამოუკიდებლობა მოეთხოვება. (ხმსს 1, 34 (ა)) („დ“ დანართში იხილეთ დასტურის დოკუმენტირების მაგალითი) *ინდივიდუალურმა პრაქტიკოსმა, რომელსაც არ ჰყავს თანამშრომლები, არ უნდა მოიპოვოს დასტური, თუმცა შესაბამისობა უნდა ასახოს დოკუმენტურად ნაკლებად ფორმალური გზით.	არ არის შესაფერისი*	დიახ	დიახ
გარიგების შესრულება - საჩივრები და ბრალდებები				
3.	ფირმა აწესებს პოლიტიკას ან პროცედურებს ისეთი საჩივრებისა და ბრალდებების მიღების, მოკვლევისა და გადაჭრისთვის, რომლებიც ეხება იმას, რომ სამუშაო არ შესრულდა: - პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ან - არ შესრულდა ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც დაწესებული იყო მათი ხმს-ის შესაბამისად. (ხმსს 1, 34(გ))	დიახ	დიახ	დიახ

დანართი ა:
კონკრეტული
საკასუხო ზომები
(გაგრძელება)

დამკვეთზე და გარიგებაზე დათანხმება				
4.	ფირმა აწესებს ისეთი გარემოებებისთვის განკუთვნილ პოლიტიკას ან პროცედურებს, როდესაც: (i) ფირმისთვის, მას შემდეგ, რაც ჩაატარებს დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმების, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელების პროცედურებს, ცნობილი ხდება ისეთი ინფორმაცია, რაც დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე უარის თქმას გამოიწვევდა, თუ ეს ინფორმაცია მისთვის ცნობილი იქნებოდა მანამ, სანამ დაეთანხმებოდა ან გააგრძელებდა დამკვეთთან ურთიერთობას ან კონკრეტულ გარიგებას; ან (ii) ფირმას კანონმდებლობა ავალდებულებს ამა თუ იმ დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას. (ხმსს 1, 34(დ))	დიახ	დიახ	დიახ
კომუნიკაცია				
5.	ფირმა აწესებს ისეთ პოლიტიკას ან პროცედურებს, რომლებიც: (i) საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის იმის შესახებ, ხარისხის მართვის სისტემა როგორ უზრუნველყოფს მუდმივად ხარისხიანი აუდიტის ჩატარებას; (ii) ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სხვა მხრივ არის მიზანშეწონილი ინფორმაციის მიწოდება გარე მხარეებისთვის ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შესახებ; და (iii) ეხება ინფორმაციას, რომელიც იმ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს ფირმამ, როდესაც გარე მხარეებს, აწვდის ინფორმაციას 34 (ე)(i) და 34 (ე)(ii) პუნქტების შესაბამისად, მათ შორის ინფორმაციის ხასიათს, ვადებსა და მოცულობას და ინფორმირების ფორმას. (ხმსს 1, 34(ე))	დიახ	დიახ	დიახ
გარიგების ხარისხის მიმოხილვები				
6.	ფირმა აწესებს ისეთ პოლიტიკას ან პროცედურებს, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებას ხმსს 2-ის შესაბამისად და მოითხოვს გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებას: (i) საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის; (ii) იმ სუბიექტების აუდიტის ან სხვა გარიგებებისთვის, რომლებისთვისაც გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება კანონმდებლობით მოითხოვება; და (iii) იმ სუბიექტების აუდიტის ან სხვა გარიგებებისთვის, რომლებისთვისაც ფირმა ადგენს, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება მიზანშეწონილია ხარისხის ერთ ან რამდენიმე რისკზე რეაგირების მიზნით. (ხმსს 1, 34 (ვ))	დიახ	დიახ	დიახ

დანართი ბ:
ცვლილებები
პროფესიონალი
ბუღალტრების
საერთაშორისო
ეთიკის კოდექსში
(მათ შორის,
დამოუკიდებლობის
საერთაშორისო
სტანდარტებში)

როდესაც 2020 წლის დეკემბერში ხარისხის მართვის სტანდარტები გამოქვეყნდა, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IESBA) დაადგინა, რომ *პროფესიონალი ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის კოდექსში (მათ შორის, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებში)* (IESBA კოდექსი) საჭირო იყო შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

IESBA კოდექსის 2022 წლის გამოცემა 2022 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა. იგი მოიცავდა ქვემოთ მოცემულ ცვლილებებს, რომლებიც ძალაში 2022 წლის დეკემბერში შევიდა:

- ცვლილებები არამარწმუნებელ მომსახურებებთან და საზღაურთან დაკავშირებულ დებულებებში;
- ცვლილებები, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველისა (გხმ) და სხვა შესაბამისი მიმომხილველების ობიექტურობას;
- შესაბამისი ცვლილებები ხარისხის მართვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, IESBA კოდექსის 2022 წლის გამოცემა მოიცავს IESBA-ს მიერ დამტკიცებულ შესწორებულ განმარტებას ტერმინისთვის - „საზოგადოებრივი დაინტერესების პირი“ (სდპ), რომელიც 2024 წლის დეკემბერში შევა ძალაში.

ხარისხის მართვასთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- ცვლილებების შედეგად IESBA კოდექსში ხკს 1-ის ნაცვლად მითითებები ხმს 1-ზეა გაკეთებული;
- ზოგიერთი ცნება და ტერმინი განახლდა იმგვარად, რომ ისინი ხმს 1-ს შეესაბამებოდეს. მაგალითად:
 - ამოღებულია „პოლიტიკებსა და პროცედურებზე“ მითითება, სანაცვლოდ მითითებები გაკეთებულია ხმს-ის მოთხოვნაზე, რომელიც „ხმს-ის შექმნას, დანერგვას და ფუნქციონირებას“ ეხება;
 - დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკებსა და პროცედურებზე უბრალო მითითების ნაცვლად, დამატებულია ხმს-თან დაკავშირებული მითითებები და ახსნილია თუ, როგორ ეხება ის „დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას“.
 - ტერმინი გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა“ შეიცვალა ტერმინით „გარიგების ხარისხის მიმოხილვა“.

ტერმინი	ცვლილება
გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა (შეიცვალა გარიგების ხარისხის მიმოხილვით)	არსებული: პროცესი, რომლის მიზანია, დასკვნის შედგენამდე ან შედგენისთვის ობიექტურად შეფასდეს გარიგების გუნდის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი განხილვები და გარიგების დასკვნის შესადგენად გამოტანილი დასკვნები. ახალი: გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება გარიგების ხარისხის მიმომხილველის მიერ, რომელიც დასრულდა არაუგვიანეს გარიგების დასკვნის თარიღისა.
გარიგების ხარისხის მიმომხილველი	ახალი: პარტნიორი, ფირმაში მომუშავე სხვა პირი ან გარე პირი, რომელიც ფირმის მიერ დანიშნულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩასატარებლად.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ობიექტურობა

გამოქვეყნდა ასევე ცვლილებების დოკუმენტი, რომელიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველის (გხმ) და სხვა შესაბამისი მიმომხილველების ობიექტურობას. ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი ავსებს ხმს 2-ით დადგენილ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შემსრულებელი პირი. განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებულია ობიექტურობის კრიტიკულ მნიშვნელობაზე.


სხვა საკითხებთან ერთად, სახელმძღვანელო დოკუმენტში:

- გამახვილებულია ყურადღება იმის აუცილებლობაზე, რომ უნდა მოხდეს ობიექტურობის ფუნდამენტურ პრინციპთან შესაბამისობის მიმართ შემქნილი ისეთი საფრთხეების გამოვლენა, შეფასება და მათზე რეაგირება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას, როდესაც პირი კონკრეტული გარიგების ხარისხის მიმოხილველად ინიშნება.
- პირდაპირ ეხება და ავსებს ხმს 2-ის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ფირმამ

უნდა დააწესოს ორწლიანი აკრძალვის პერიოდი, რის შემდეგაც გარიგების პარტნიორს შეეძლება იმავე გარიგებაზე გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლი შეასრულოს.

- ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ხმს 2-ით დადგენილი აკრძალვის პერიოდს ორმხრივი მიზანი აქვს – ობიექტურობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვა და მაღალი ხარისხის გარიგებების უზრუნველყოფა.

ამ დოკუმენტით შეიძლება ასევე იხელმძღვანელოთ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი ინიშნება შესრულებული სამუშაოს მიმომხილველად, როგორც დამცავი ზომა, რომელიც უზრუნველყოფს ეთიკის ფუნდამენტური პრინციპების ან დამოუკიდებლობის მიმართ გამოვლენილ საფრთხეებზე რეაგირებას. ეს განახლებებიც ძალაში შედის 2022 წლის დეკემბერში.



გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აქ წარმოდგენილი შემთხვევის ანალიზი მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათისაა. მონაცემები, ანალიზი და კომენტარები არ მოიცავს ყველა იმ გარემოებასა და გასათვალისწინებელ საკითხს, რომელთან შეხებაც ფირმას კონკრეტულ სიტუაციაში მოუწევს. როგორც ყოველთვის, თქვენ უნდა მიმართოთ პროფესიულ განსჯას, თუ ამ შემთხვევის ანალიზის გამოყენებას გადაწყვეტთ.

შემთხვევის ანალიზი: შესავალი

შემთხვევის ანალიზი თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში მცირე და საშუალო ფირმებისთვის. ამ სერიაში ხელახლა განვიხილავთ მოცემული შემთხვევის ანალიზს, იმის საჩვენებლად თუ როგორ შეიძლება ხკსს 1-დან ხმსს 1-ზე გადასვლა. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული შემთხვევის ანალიზი თავდაპირველად ხკსს 1-ის დანერგვის საილუსტრაციოდ მომზადდა, ამჯერად გადავწყვიტეთ შეგვეცვალა გარკვეული ფაქტები და გაგვეკეთებინა გარკვეული განსხვავებული დაშვებები, ამიტომ არ არის საჭირო მკითხველი თავდაპირველ შემთხვევას გაეცნოს. თუმცა, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფირმამ უკვე დანერგა ხკსს 1 და ახლა ხმსს 1-ის დანერგვას გეგმავს.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია გამოგონილი ინდივიდუალური პრაქტიკოსის – მარსელ მუნის – შესახებ, რომელიც „მ.მ და პარტნიორების“ სახელით საქმიანობს.

„მ.მ და პარტნიორები“

ზოგადი

მარსელ მუნი ინდივიდუალური პრაქტიკოსია, რომელიც საქმიანობს „მ.მ და პარტნიორების“ სახელით და ჰყავს ოთხი თანამშრომელი:

- დებორა დე ალესანდრო, რომელსაც ფირმაში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება აქვს და იმედოვნებს, რომ მალე მიიღებს პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციას;
- ბობ მორტონი, ბუღალტერი, რომელსაც ერთწლიანი გამოცდილება აქვს და ფირმაში ოთხი თვის წინ დაიწყო მუშაობა;
- ორი სტუდენტი, რომლებიც ახლახან ჩაირიცხნენ პროფესიონალი ბუღალტრის სასწავლო პროგრამაზე და ფირმაში ახლახან დაიწყეს მუშაობა.

ფირმა ძირითადად ასრულებს მიმოხილვის გარიგებებს (რომელთაგან ზოგიერთი ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთანაა დაკავშირებული), რამდენიმე მცირე საწარმოს აუდიტს და სამი საშუალო ზომის საწარმოს აუდიტს. გარდა ამისა, ფირმა ატარებს რამდენიმე მცირე აუდიტს და სამ საშუალო ზომის აუდიტს. ყველაზე მნიშვნელოვანი დამკვეთები კი არიან: საპენსიო სახლი, ადგილობრივი სახელმწიფო უწყება და ქალაქში მოტოციკლების უმსხვილესი დილერი.

ადგილობრივი სახელმწიფო უწყება უახლოეს პერიოდში უწყების მაღალი რანგის ხელმძღვანელების მიმართ კორუფციის ბრალდების საფუძველზე საზოგადოებაში უარყოფითი რეპუტაციით სარგებლობს. მარსელი უკვე მრავალი წელია იცნობს ამ ხელმძღვანელებს და დარწმუნებულია, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა. საპენსიო სახლს მთელი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ არ გადაუხდია გასული წლის აუდიტის საზღაური, ხოლო ფირმას უკვე მალე მოუწევს საველე სამუშაოების დაგეგმვა.

მარსელი 48 წლისაა და ფირმა 15 წლის წინ დააარსა თანამშრომლების გარეშე. წლების განმავლობაში ფირმის დამკვეთთა ბაზა, შემოსავლები და თანამშრომელთა რაოდენობაც თანდათან გაიზარდა. მარსელი ენერგიული პიროვნებაა, რომელიც ცდილობს ოფისში მუშაობა საინტერესო გახადოს.

ის შესანიშნავი მარკეტოლოგია და ყველგან, სადაც მიდის, ფირმას აქტიურ პოპულარიზებას უწევს. მარსელი კარგ შემოსავალს იღებს და უახლოეს მომავალში კარიერის დასრულებას არ გეგმავს. ის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული და ფიქრობს, რომ ხმს-ის დანერგვა დაეხმარება სტრუქტურირებულად და დოკუმენტურად უზრუნველყოს ფირმაში რისკების შეფასების ის პროცესი, რომელსაც აქამდე არაოფიციალურად ატარებდა.

ხკსს 1-ის დანერგვისას ფირმამ შექმნა ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელო ეფუძნებოდა დოკუმენტს, სათაურით „ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუში: ინდივიდუალური პრაქტიკოსი (რომელიც მოცემულია IFAC-ის [ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში მცირე და საშუალო პრაქტიკოს ფირმებისთვის](#)) (მესამე გამოცემა)“. თუმცა მასში მინიმალური ცვლილებები და განახლებები შევიდა და პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენებოდა. ამჟამად სახელმძღვანელო უბრალოდ „თაროზეა შემოდებული“.

მარსელი აცნობიერებს, რომ მისი ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ფირმაში ხარისხის მართვის კულტურის დანერგვას. თუმცა, მას ამ დრომდე არ დაუწერია განვითარების ოფიციალური გეგმა. მაგალითად, მარსელი და მისი თანამშრომლები არ არიან ჩართულნი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რეგულარულ აქტივობებში. ისინი მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობის განახლებებს ეცნობიან. არ დასტურდება, რომ თანამშრომლები იცნობენ IESBA კოდექსს.

ასევე ეთიკის საკითხებზე ღია დისკუსია იშვიათად მიმდინარეობს. მარსელი მიიჩნევს, რომ საჭიროა ფირმისთვის მისიის განსაზღვრა. მას სურს ამ საკითხში გაითვალისწინოს თანამშრომლების მოსაზრებები, ასევე მათთან განიხილოს პირადი და პროფესიული მიზნები.

მარსელს გარკვეულწილად ეშინია, რომ ფირმის უწყვეტი ფუნქციონირება შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს, თუ მას რაიმე შეემთხვევა, რადგან ამჟამად არავინ არის ისეთი, ვინც მის არყოფნაში ფირმის მართვის პასუხისმგებლობას აიღებს.

მარსელი ხშირად ეძებს ფირმის ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მას სჯერა, რომ ხმს-ის დანერგვა ხელს შეუწყობს ფირმის რეპუტაციის ამაღლებას მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, რაც პროფესიონალ ბუღალტერთა ფირმის მარკეტინგული უპირატესობა გახდება.

დაგეგმვის პროცესი ფირმაში

მარსელი ყოველწლიური გეგმების შედგენის მიზნით წელიწადში ერთ დღეს გამოყოფს, თუმცა იგი აქამდე მხოლოდ საოპერაციო და ფინანსურ ფაქტორებზე ამახვილებდა ყურადღებას. იგი არ ეხებოდა ფირმის განვითარების სტრატეგიულ გეგმებს. მიუხედავად იმისა, რომ მარსელი ითვალისწინებდა ფირმის დამკვეთებთან დაკავშირებულ რისკებს, იგი არასოდეს ასახავდა დოკუმენტურად რისკების შეფასების პროცესს და მხოლოდ გარიგებაზე დათანხმების/გაგრძელების საკონტროლო სიას იყენებდა.

როგორც აღინიშნა, დაგეგმვის პროცესი მოიცავს ერთ დღეს, როდესაც მარსელი გასულ წელს აანალიზებს და ამზადებს მარტივ ბიუჯეტს. ბიუჯეტი, როგორც წესი, გასული წლის მონაცემებს ეფუძნება და მისი კორექტირება მხოლოდ არსებულ დამკვეთთა მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით ხდება. მასში ასევე გათვალისწინებულია კაპიტალის მოთხოვნები, თანამშრომელთა ხარჯები და საოფისე დანახარჯები. ვინაიდან ქალაქში არსებული კონკურენტი ფირმები აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებებს ნაკლებად ასრულებენ, მარსელი მიიჩნევს, რომ ეს არის შესაძლებლობა გაზარდოს საკუთარი ფირმის წილი მარწმუნებელი მომსახურების ბაზარზე. მარსელმა შემოსავლის სტრატეგიაზე საუბარი დებორასთან დაიწყო, რადგან მას უფრო მეტი გამოცდილება უგროვდება და ისინი ერთად გეგმავენ თანამშრომელთა რაოდენობასა და რესურსებთან (მაგალითად, ტექნიკური აღჭურვილობის, ტექნოლოგიებისა და საოფისე ავეჯის საჭიროებებს მომდევნო წლისთვის) დაკავშირებულ საკითხებს.

ადამიანური რესურსები

დასაქმების პროცესი არაფორმალურია. როდესაც რომელიმე თანამშრომელი გააჟღერებს, რომ ფირმიდან წასვლას აპირებს, მარსელი ან ვაკანსიას აცხადებს, ან ათვალიერებს ახლახან მიღებულ რეზიუმეებს იმ კანდიდატებისგან, ვინც სამუშაოს ეძებს. პოტენციურ კანდიდატთან გასაუბრებას თავად ატარებს და შემდგომ იღებს მისი დასაქმების გადაწყვეტილებას. მარსელი ცდილობს, გადაამოწმოს კანდიდატების რეკომენდაციები და კვალიფიკაცია, მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ ახერხებს, რადგან დამკვეთებთან შეხვედრები და გარიგებები მის დროსა და ყურადღებას მოითხოვს. მარსელს დებორა ეხმარება თანამშრომელთა განრიგის შედგენაში, როდესაც დროშია წინააღმდეგობა, შედარებით ნაკლებ დატვირთულ თანამშრომლებს აბარებს საქმეს.

ფირმას გამოწერილი აქვს სფეროსთან დაკავშირებული რესურსების ბიბლიოთეკა, მათ შორის აუდიტისა და მიმოხილვის სახელმძღვანელო, რომელიც სტანდარტული ნიმუშების მაგალითებს მოიცავს.

ფირმას აქამდე არასოდეს მიუღია საჩივრები ან ბრალდებები. დამკვეთთა უმრავლესობა კმაყოფილია ფირმის მომსახურებით.



ხმს-ზე გადასვლასთან დაკავშირებული დაკვირვებები

მარსელი მზადაა ცვლილებებისთვის და ხმს-ის შესაძლო სარგებელი კარგად აქვს გაცნობიერებული. ხმსს 1-ის დასაწერად საჭიროა მარსელმა ხმს-ის ფარგლებში ოფიციალურად განახორციელოს რისკების შეფასების პროცესი, რათა უზრუნველყოს ხარისხის უწყვეტობა და ფირმის სპეციფიკურ რისკებზე სათანადო რეაგირება. ეს პროცესი მოითხოვს ხედვის/პერსპექტივის ცვლილებას, რაც უკვე განვიხილეთ ამ სერიის **პირველ ნაწილში**. ხმს-ის სარგებლის ზოგადი მიმოხილვა საუკეთესო დასაწყისი იქნება.

შემდეგი ნაბიჯი კი ფირმის სტრატეგიის შეფასებაა, რაც შესაძლოა SWOT-ანალიზის (ძლიერი მხარეების/სუსტი მხარეების/შესაძლებლობების/საფრთხეების ანალიზის) გამოყენებას მოიცავდეს. დებორას, როგორც ფირმის ყველაზე გამოცდილი თანამშრომლის, ჩართვა ხმს-ის განვითარების პროცესში სასარგებლო იქნება. ამ დოკუმენტში განხილული პროექტის გეგმა მარსელს საწყის ეტაპზე დახმარებას გაუწევდა. მარსელს ასევე შეუძლა განიხილოს ბაზარზე არსებული სპეციალიზებული ინსტრუმენტების შეძენის საკითხი, აგრეთვე შესაბამის პირებთან და კოლეგებთან კონსულტაციების გავლა დანერგვის პროცესის გასამარტივებლად.

მარსელმა შესაძლოა მოისურვოს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შეიტანოს საჭირო ცვლილებები თავისი ფირმის პოლიტიკაში/პროცედურებში და პროცესებში ისე, რომ არა მხოლოდ ხარისხის მართვის სტანდარტების მოთხოვნები დააკმაყოფილოს, არამედ გააუმჯობესოს ფირმის ეფექტიანობაც. ეს შეიძლება ნიშნავდეს ტექნოლოგიების (რესურსები) უფრო ფართოდ გამოყენებას ან ფირმისთვის ნაკლებად მომგებიან დამკვეთებთან ურთიერთობის გადახედვას (გარიგებაზე დათანხმება/ გაგრძელება). გარდა ამისა, მარსელმა შესაძლოა განიხილოს ხმს-თან დაკავშირებული გარკვეული პასუხისმგებლობების დებორაზე გადანაწილება, თუმცა ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა მაინც მარსელს დაეკისრება.

მარსელის მიერ აქამდე შემუშავებული ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო ხმს 1-ის ხარისხის მიზნებზე არ იქნებოდა დაფუძნებული. არსებული პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის ის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხარისხის კონტროლის წინა სახელმძღვანელოშია მოცემული, შეიძლება ეხებოდეს კიდევ მარსელის მიერ გამოვლენილ ხარისხის რისკებს. მარსელს შეუძლია ყურადღება ხკს 1-სა და ხმს 1-ს შორის არსებულ შემდეგ მსგავსებებზე გაამახვილოს:

ხკს 1-ში მოცემულია ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ამიტომ გარკვეული როლები და პასუხისმგებლობები შეიძლება უკვე დოკუმენტურად იყოს ასახული არსებულ სახელმძღვანელოში, მაგრამ ეს ვერ იქნება ხმს 1-ის მმართველობისა და ხელმძღვანელობის ხარისხის მიზნების მსგავსად სრულყოფილი.

ხმს 1-ში წარმოდგენილი რისკის შეფასების პროცესი სიახლეა!

სათანადო ეთიკური მოთხოვნები შეიძლება მსგავსი იყოს, მაგრამ ყველა პოლიტიკა და პროცედურა უნდა შეფასდეს ხმს 1-ის ხარისხის მიზნების გათვალისწინებით.

ასევე მსგავსია გარიგებაზე დათანხმებასა და მის გაგრძელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, თუმცა ყველა პოლიტიკა და პროცედურა მაინც უნდა შეფასდეს ხმს 1-ის ხარისხის მიზნების გათვალისწინებით.

ხკს 1 ფოკუსირებული იყო ადამიანურ რესურსებზე, ხოლო ხმს 1 ეხება მომსახურების პროვაიდერებს, ტექნოლოგიურ, ინტელექტუალურ და ადამიანურ რესურსებს და უფრო დეტალურად განიხილავს მომსახურების პროვაიდერების როლს. აქედან გამომდინარე, ხდება ახალი რისკების გამოვლენა, რაც თავის მხრივ ახალ პოლიტიკას ან/და პროცედურებს მოითხოვს.

ასევე მსგავსი შეიძლება იყოს გარიგების შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, თუმცა ამ შემთხვევაშიც პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება უნდა მოხდეს ხმს 1-ის ხარისხის მიზნების გათვალისწინებით.

მონიტორინგის ზოგიერთი ღონისძიებაც შეიძლება მსგავსი იყოს, თუმცა პოლიტიკა და პროცედურები ასევე ხმს 1-ის ხარისხის მიზნების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. ამასთანავე, რემედიაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები გაცილებით სრულყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან ის განსაზღვრავს ხმს-ის იტერაციულ ხასიათს. ეს საკითხი უფრო დეტალურად განხილულია ამ სერიის მესამე ნაწილში.

მას შემდეგ, რაც მარსელმა პირველად გაიგო ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების შესახებ, მან დებორას სთხოვა, განეხილა მოთხოვნები და მოემზადებინა რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს ფირმამ. მარსელმა აღნიშნა, რომ სურდა დანერგვის პირველ წელს მინიმალური ცვლილებები გაეკეთებინათ.

განსახორციელებელი ნაბიჯები

ამ ნაწილში განხილულია ერთი შესაძლო მიდგომა, რომელიც მარსელს შეუძლია ფირმაში ხმს-ის შექმნისა და დანერგვის პროცესში გამოიყენოს. კერძოდ, ამ სერიაში წარმოდგენილი ეტაპების გავლით:

ნაბიჯი 1: პროექტის ხელმძღვანელის დანიშვნა

- სავარაუდოდ, ეს იქნება მარსელი, რომელსაც დახმარებას გაუწევს დებორა.

ნაბიჯი 2: მომზადება

- წინასწარ წასაკითხი მასალები და მომზადება – სავარაუდოდ, ეს უკვე დასრულებული უნდა იყოს.

ნაბიჯი 3: გონებრივი იერიში ხარისხის მიზნების შესახებ და რისკების შეფასება

- პირველი შეხვედრის ორგანიზება, როგორც ეს ამ სერიის პირველ ნაწილშია აღწერილი, სულ მცირე დებორას მონაწილეობით, თუმცა სხვა თანამშრომლების ჩართვამ შესაძლოა დამატებითი მოსაზრებების წარმოდგენის შანსი გაზარდოს.

ნაბიჯი 4: როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება

- მეორე შეხვედრის ორგანიზება, როგორც ეს ამ სერიის პირველ ნაწილშია აღწერილი, სულ მცირე დებორას მონაწილეობით და საჭიროების შემთხვევაში, იმ თანამშრომლების ჩართულობით, რომლებიც მესამე ნაბიჯის განხორციელების პროცესში მონაწილეობდნენ. მარსელს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ფირმის ხარისხზე. ამ სცენარის გათვალისწინებით ასევე მას ეკისრება პასუხისმგებლობა ხმს-ის ყველა საოპერაციო ასპექტზე. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ, როგორ შეიძლება ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს გამოყენება ამ ეტაპზე.

ნაბიჯი 5: ინფორმაციის შეგროვება

- აღწერეთ ყველა არაფორმალური პოლიტიკა და პროცედურა, ასევე თავი მოუყარეთ ყველა სახელმძღვანელოს, მათ შორის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს. შეადარეთ ისინი გამოვლენილ ხარისხის მიზნებთან, რათა გაიგოთ ფირმის სპეციფიკის გათვალისწინებით რა მიმართულებით არის საჭირო ახალი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება. განიხილეთ ამ ნაწილში წარმოდგენილი სამუშაო წიგნის ფორმატის გამოყენების შესაძლებლობა.

ნაბიჯი 6: საპასუხო ზომების შემუშავება

- გამართეთ (ამ სერიის პირველ ნაწილში აღწერილი) მესამე შეხვედრა. სასურველია ამ შეხვედრას სულ მცირე დებორა ესწრებოდეს. მე-5 ეტაპის გავლის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, გამოიყენეთ არსებული პოლიტიკა, შეცვალეთ ის საჭიროებისამებრ და ამის საფუძველზე შეიმუშავეთ ახალი და პრაქტიკული პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებაში დაგეხმარებათ. ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითები, რომელიც გაჩვენებთ თუ რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს სამუშაო წიგნის გამოყენებამ.

ნაბიჯი 7: ხმს-ის დოკუმენტირება და კომუნიკაცია

- გამართეთ (ამ სერიის პირველ ნაწილში აღწერილი) მეოთხე შეხვედრა, რომელსაც ყველა თანამშრომელი დაესწრება. ამ შეხვედრის მიზანია მათ მიაწოდოთ ინფორმაცია ფირმის პოლიტიკის შესახებ და ჩაუტაროთ ტრენინგი. ქვემოთ მოცემულ 1-ელ მაგალითში ნახავთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყოთ ეს პროცესი და როგორ შეიძლება ისარგებლოთ ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელოთი. ეს არის მიმართულება, სადაც მარსელს შეუძლია ხმს-ის დანერგვის გამოცდილების მქონე გარე კონსულტანტის დახმარება გამოიყენოს.

საჭიროა თუ არა სახელმძღვანელო?

პოლიტიკებისა და პროცედურების დოკუმენტაცია შეიძლება იყოს სამუშაო წიგნები ან ისეთი სახელმძღვანელო, რომელსაც თანამშრომლებს გაუზიარებთ. ინდივიდუალურმა პრაქტიკოსმა, რომელსაც თანამშრომლები არ ჰყავს, ფირმის პოლიტიკის დოკუმენტირებისთვის შეიძლება უფრო ეფექტურად მიიჩნიოს ის სამუშაო წიგნები, რომლებიც ხმს-ის შექმნისა და განვითარებისთვის გამოიყენა. ხოლო ინდივიდუალურ პრაქტიკოსს, რომელსაც თანამშრომლები ჰყავს, მაგალითად, მარსელს, შეუძლია პოლიტიკები და პროცედურები ოფიციალურად ასახოს სახელმძღვანელოში და ასე გაუზიაროს თანამშრომლებს.

შემთხვევის ანალიზი – მაგალითი 1, როლებისა და პასუხისმგებლობების, ასევე პოლიტიკებისა და პროცედურების დოკუმენტირება

აქ წარმოდგენილი მაგალითი და ფორმულირება ეფუძნება IFAC-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტში (მცირე და საშუალო ფირმების ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო (მესამე გამოცემა)) მოცემულ ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუშს ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის. ზოგიერთმა შეიძლება ამჯობინოს შეცვალოს არსებული ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო და ეს შეცვლილი ვერსია ფირმის პოლიტიკებისა და პროცედურების დოკუმენტირებისა და მასზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით გამოიყენოს.

ინდ. პრაქტიკოსი = ინდივიდუალური პრაქტიკოსი [ამ მაგალითის საკუთარ ფირმაზე მორგების მიზნით, მარსელმა უნდა ჩაანაცვლოს ის დეტალები, რომლებიც კონკრეტულად მას და მის ფირმას ეხება (მაგალითად, მარსელ მუნი და მ.მ და პარტნიორები)]

ინდ. პრაქტიკოსისა და თანამშრომლების ზოგადი როლები და პასუხისმგებლობები

ინდ. პრაქტიკოსი ფლობს საბოლოო უფლებამოსილებას და ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

ინდ. პრაქტიკოსის მთავარი გზავნილი არის ხარისხისადმი ერთგულება და იმ თანამშრომლების წახალისება და აღიარება, რომლებიც ასევე ავლენენ ხმს-ის პრინციპების ერთგულებასა და მათთან შესაბამისობას.

ინდ. პრაქტიკოსს და ყველა თანამშრომელს, სხვადასხვა ხარისხით, ეკისრება პასუხისმგებლობა ხმს-ის განხორციელებაზე.

ინდ. პრაქტიკოსი და მისი თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი პოლიტიკები და პროცედურები:

1. ეთიკური ქცევისა და მომსახურების ხარისხის პრიორიტეტად მიჩნევა. კომერციულმა მიზნებმა უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.
2. IESBA-ის კოდექსის (ან/და წევრი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსების) წაკითხვა, გაგება და დაცვა.
3. ინდ. პრაქტიკოსისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობების გაცნობიერება, რაც გულისხმობს დამოუკიდებლობის საფრთხეების გამოვლენას, გამჟღავნებასა და დოკუმენტირებას, ასევე გამოვლენილი საფრთხეების შეფასებისა და მართვის შესაბამისი პროცესის განხორციელებას.
4. იმ გარემოებების თავიდან აცილება, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს (ან შექმნას ამის შთაბეჭდილება) დამოუკიდებლობის კომპრომეტირება.
5. უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა, მათ შორის, მტკიცებულების სახით შესაბამისი ჩანაწერების წარმოება.
6. პროფესიის, ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ჩარჩოსა და მარწმუნებელი სტანდარტების (მაგალითად, ფასს სტანდარტები, ასს-ები), ინფორმაციის გამჟღავნებისა და აღრიცხვის პრაქტიკების, ხარისხის მართვის სტანდარტებისა და პრაქტიკის, ფირმის სტანდარტების, ასევე შესაბამისი დარგობრივი და დამკვეთისთვის სპეციფიკური განახლებების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.
7. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, ინდ. პრაქტიკოსისა და თანამშრომლებისთვის დახმარების თავაზიანად გაწევა, რათა მათ საერთო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების გზით შეძლონ დამკვეთათათვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.
8. დროის აღრიცხვა (რეგულარულად აღრიცხვა ინდ. პრაქტიკოსის დროისა და გადახდის სისტემაში), რათა სწორად აღირიცხოს გარიგებებზე და საოფისე საქმიანობაზე დახარჯული დრო (როგორც ანაზღაურებად, ასევე არანაზღაურებად საქმიანობაზე).

თუ აუცილებელია ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელოს გამოიყენება, სასარგებლო იქნება პოლიტიკების/პროცედურების დაკავშირება (ტეგირება) იმ შესაბამის ხარისხის რისკ(ებ)თან, რომლებსაც ისინი ეხება.

9. საოფისე და კომპიუტერული ტექნიკის (მათ შორის ქსელური და საკომუნიკაციო რესურსების) და სხვა საერთო აქტივების დაცვა, სათანადოდ გამოყენება და ტენიკური უზრუნველყოფა. ეს მოიცავს ინდ. პრაქტიკოსის ტექნოლოგიური რესურსების მხოლოდ შესაბამისი საქმიანი მიზნებისთვის გამოყენებას ეთიკის, დამკვეთის კონფიდენციალურობისა და პირადი მონაცემების დაცვით.

10. ინდ. პრაქტიკოსისა და დამკვეთის მონაცემების, ბიზნესსაქმიანობასთან და დამკვეთთან დაკავშირებული ინფორმაციის, ასევე პირადი ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა [იხილეთ კონფიდენციალურობის განაცხადი – [დანართი ე](#)].

11. ფირმის მიერ შექმნილი, ელექტრონული ფორმით შენახული დამკვეთისა და ფირმის ინფორმაციის შენახვის უზრუნველყოფა ინდ. პრაქტიკოსის ქსელში, ინფორმაციის შენახვის შესაბამისი პროცედურების დაცვით.

12. ნებისმიერი მნიშვნელოვანი დარღვევის შესახებ ინდ. პრაქტიკოსისთვის ინფორმაციის მიწოდება. ეს დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს ხმს-ს, მათ შორის ეთიკას, დამოუკიდებლობას, კონფიდენციალურობას ან რესურსების არასათანადოდ გამოყენებას.

13. დამკვეთთან ყველა მნიშვნელოვანი კონტაქტის დოკუმენტირება და შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, როდესაც მოხდება პროფესიული რჩევის გაცემა ან მოთხოვნა.

14. ყველა მნიშვნელოვანი კონსულტაციის, განხილვის, ანალიზის, მოგვარების გზის და დასკვნის დოკუმენტირება და მათზე ჩანაწერების წარმოება. ისინი შეიძლება უკავშირდებოდეს დამოუკიდებლობის საფრთხეების მართვას, რთულ ან სადავო საკითხებს, აზრთა სხვადასხვაობას და ინტერესთა კონფლიქტებს.

15. ინდ. პრაქტიკოსის მიერ შემუშავებული სტანდარტული პრაქტიკის დაცვა, რომელიც ეხება სამუშაო საათებს, შესრულებული სამუშაოს შედეგებს, ადგილზე ყოფნას, ადმინისტრირებას, ვადების დაცვას და ხარისხის მართვას.

[შეიტანეთ მასში დამატებითი პოლიტიკები და პროცედურები, რომელთა შემუშავება რისკების შეფასების საფუძველზე საჭირო ან სასურველია.]

შემთხვევის ანალიზი – მაგალითი 2, რისკების შეფასება

ამ მაგალითში განხილულია სათანადო ეთიკური მოთხოვნების და გარიგებაზე დათანხმებისა და მისი გაგრძელების კომპონენტები. 1-ელ ნიმუშში ნაჩვენებია რისკების შეფასების პროცესის გამოყენების მაგალითი.

ამ მაგალითში წარმოდგენილია სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარისხის მიზანი ხმს 1-ის მიხედვით და, ფირმის შესახებ არსებული ფაქტების გათვალისწინებით, გამოტანილია დასკვნა, რომ არსებობს ხარისხის რისკი (ხრ #3).



ნიმუში 3 - შემთხვევის ანალიზი - სათანადო ეთიკური მოთხოვნები						
ხარისხის მიზანი	ფირმის ხასიათი და გარემოებები	რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას?	წარმოაქმნის ალბათობა (მ,ს,დ)	უარყოფითი გავლენა (მ,ს,დ)	დასკვნა: ხარისხის რისკი (ხრ) დიახ/არა (პროფესიული განსჯა)	ხარისხის რისკი
ნიმუში 3. სათანადო ეთიკური მოთხოვნები						
ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის შემდეგი მიზნები, რომლებიც განკუთვნილია პასუხისმგებლობების შესასრულებლად სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად: ა) ფირმას და მის პერსონალს: (i) ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე; და (ii) ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე. ბ) სხვებს, მათ შორის მომსახურების პროვაიდერებს, რომლებსაც ეხებათ ის სათანადო ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე: (i) ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც მათ ეხება; და (ii) ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე. (ხმს-ის 30-ე პუნქტი)	მარსელი, როგორც ინდივიდუალური პრაქტიკოსი, მუდმივად ცდილობს ფირმის განვითარებას მარწმუნებელი მომსახურების ბაზარზე წილის გასაზრდელად. ის დათანხმდა და გააგრძელა ურთიერთობა ისეთ დამკვეთებთან: • რომლებთანაც ოჯახის წევრები/მეგობრები არიან დაკავშირებული • რომლებმაც საზღაური დროულად არ გადაიხადეს	შესაძლოა ფირმა ისეთი ხარისხის რისკის წინაშე დადგეს, რაც შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას უკავშირდება, როდესაც: • ფირმამ შეიძლება დაარღვიოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები.	მ	მ	დიახ	ხრ3

ამ მაგალითში წარმოდგენილია დამკვეთთან ურთიერთობაზე და გარიგებაზე დათანხმებასა და მის გაგრძელებასთან დაკავშირებული ხარისხის მიზანი ხმს 1-ის მიხედვით. ფირმის შესახებ არსებული ფაქტების გათვალისწინებით, გამოტანილია დასკვნა, რომ არსებობს ხარისხის რისკი (ხრ #5).



ნიმუში 4 - შემთხვევის ანალიზი: დათანხმება და გაგრძელება						
ხარისხის მიზანი	ფირმის ხასიათი და გარემოებები	რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას?	წარმოაქმნის ალბათობა (მ,ს,დ)	უარყოფითი გავლენა (მ,ს,დ)	დასკვნა: ხარისხის რისკი (ხრ) დიახ/არა (პროფესიული განსჯა)	ხარისხის რისკი
3. დათანხმება და გაგრძელება						
ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის შემდეგი მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასთან, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებასთან: ა) ფირმის განსჯა იმის თაობაზე, უნდა დაეთანხმოს თუ არა ურთიერთობას დამკვეთთან ან კონკრეტულ გარიგებას, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა დამკვეთთან ან კონკრეტული გარიგება ადეკვატურია და ეყრდნობა თუ არა: (i) ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია გარიგების ხასიათისა და გარემოებების და ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ და საკმარისია ამგვარი განსჯის გასამყარებლად; და (ii) ფირმის შესაძლებლობას, შეასრულოს მოცემული გარიგება პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად; ბ) ფირმის ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები არ გამოიწვევს არაადეკვატურ დასკვნას იმის თაობაზე, ფირმა უნდა დაეთანხმოს თუ არა ურთიერთობას დამკვეთთან ან კონკრეტულ გარიგებას, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა დამკვეთთან ან კონკრეტული გარიგება. (ხმს-ის 30-ე პუნქტი)	მარსელი, როგორც ინდივიდუალური პრაქტიკოსი, მუდმივად ცდილობს ფირმის განვითარებას მარწმუნებელი მომსახურების ბაზარზე წილის გასაზრდელად. ის დათანხმდა და გააგრძელა ურთიერთობა ისეთ დამკვეთებთან: - რომლებთანაც ოჯახის წევრები/მეგობრები არიან დაკავშირებული - რომელთა მაღალი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ არსებობს კორუფციასთან დაკავშირებული ბრალდებები - რომლებმაც საზღაური დროულად არ გადაიხადეს	შესაძლოა ფირმა ისეთი ხარისხის რისკის წინაშე დადგეს, რაც დამკვეთებთან ურთიერთობაზე/გარიგებაზე დათანხმებას უკავშირდება, როდესაც: - ფირმამ შეიძლება დაარღვიოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები - დამკვეთთა პატიოსნება და ეთიკური ღირებულებები ეჭვს იწვევს - ფირმას არ გააჩნია საკმარისი რესურსები გარიგების შესასრულებლად - მარსელის ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტი ზრდის თვალსაზრისით არ იწვევს ადეკვატურ დასკვნებს	მ	მ	დიახ	ხრ 5

ამ ნაწილის მე-2 ნიმუშში შემოთავაზებულია „ხარვეზების“ ანალიზი, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს მარსელისთვის იმის დასადგენად, ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში სად უნდა აისახოს არსებული პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაძლებელი იყოს იმის გამოვლენა, რა მიმართულებით არის საჭირო ახალი საპასუხო ზომები ან არსებულის გადასინჯვა. შემდეგი მაგალითში ნაჩვენებია ორი საილუსტრაციო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მარსელმა მე-2 ნიმუში გამოიყენოს.

ნიმუში 5 - საილუსტრაციო მაგალითი: ხარვეზების ანალიზი					
ფირმის ხასიათისა და გარემოებების გაცნობიერების, ასევე რისკ(ებ)ის აღბათობისა და შედეგების შეფასების შემდეგ, დოკუმენტურად ასახეთ ხარისხის რისკ(ებ)ი, რომლებიც 1-ელ ნიმუშში მოცემული შესაბამისი კომპონენტების მიხედვით იქნება დაყოფილი. გამოიყენეთ მე-2 ნიმუშში მოცემული მეთოდი არსებულ პოლიტიკაში ან/და პროცედურებში ხარვეზების გამოსავლენად.					
ხარისხის რისკი 1-ელი ნიმუშიდან	ხარისხის რისკი	საპასუხო ზომა (სზ)	საპასუხო ზომა - პოლიტიკა ან/და პროცედურა	დოკუმენტურად ასახეთ არსებული პოლიტიკა/ პროცედურა და მდებარეობა	„ხარვეზების“ ანალიზის შედეგი
ხრ 1	აღწერეთ ხარისხის რისკი	სზ1	შეავსეთ მონაცემები არსებული პოლიტიკიდან/პროცედურებიდან. შეცვალეთ საჭიროებისამებრ და დაამატეთ „ხარვეზების ანალიზის“ საფუძველზე დაწესებული ახალი პოლიტიკა.	მაგ., ადამიანური რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელო ან არსებული ხკ სახელმძღვანელო	დოკუმენტურად ასახეთ ის საპასუხო ზომები, რომლებიც საჭიროებენ დამატებას/გადახედვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წელს, როდესაც მისი დანერგვა ხდება.
ხრ 3 (ნიმუში 3 - შემთხვევის ანალიზი - სათანადო ეთიკური მოთხოვნები)	ხარისხის რისკი, როდესაც ფირმა ვერ აღწევს ხარისხის იმ მიზნებს, რომლებიც განკუთვნილია პასუხისმგებლობების შესასრულებლად სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული ხარისხის მიზნები მოიცავს შემდეგს: ა) ფირმას და მის პერსონალს: (i) ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე; და (ii) ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე. ბ) სხვებს, მათ შორის მომსახურების პროვაიდერებს, რომლებსაც ეხებათ ის სათანადო ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე: (i) ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც მათ ეხება; და (ii) ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც მათზე ვრცელდება.	სზ3	სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკები სავარაუდოდ ეფუძნება IFAC-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტში (მცირე და საშუალო ფირმების ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო (მესამე გამოცემა) მოცემულ ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუშს ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის. თუმცა იგი შეცვლილია მარსელის მიერ, ისე რომ მის მიზნებს მოერგოს. შესაბამისად, იგი უნდა შეივსოს ფაქტობრივად არსებული კონკრეტული პოლიტიკებით. მაგალითად: ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს მე-2 განყოფილებაში, სავარაუდოდ, მოცემული იყო შემდეგი პოლიტიკები, რომლებიც მნიშვნელოვან „ხარვეზს“ არ წარმოქმნიდა: 2. სათანადო ეთიკური მოთხოვნები (ინდ. პრაქტიკოსი (მარსელი)) ინდ. პრაქტიკოსი და მისი პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის სულ მცირე, IESBA-ის ეთიკის კოდექსი და ნებისმიერი დამატებითი ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნა. ინდ. პრაქტიკოსი აღიარებს ხელმძღვანელობის ეთიკური პრინციპების მნიშვნელობას და იღებს პასუხისმგებლობას მის უზრუნველყოფაზე. ინდ. პრაქტიკოსი მოელის, რომ ყველა თანამშრომელი იცნობდეს IESBA კოდექსის განახლებულ დებულებებს. ეს ნიშნავს, რომ ყველა თანამშრომელი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, პერიოდულად ეცნობოდეს IESBA-ის კოდექსის შინაარსს. ერთ-ერთი სათანადო ცვლილება იქნება, მაგალითად, მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებული მითითებების დამატება, თუ ეს შესაფერისია.	ხარისხის კონტროლის (ხკ) არსებული სახელმძღვანელო	არსებული პოლიტიკები/პროცედურები შეიძლება გამოსადეგი იყოს და „ხარვეზი“ არ გამოიწვიოს, თუმცა ხმს-ის მიზნებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი საპასუხო ზომის დამატება, ასევე ზოგიერთი საპასუხო ზომის გადახედვა და განახლება, შემდეგნაირად: 1. ისინი უნდა მიესადაგოს პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს ყველა სათანადო ეთიკურ მოთხოვნაზე (ე.ი. არა მხოლოდ დამოუკიდებლობაზე). 2. IESBA-ს კოდექსზე მითითებები უნდა გადამოწმდეს, რამდენად შეესაბამება ის IESBA-ის კოდექსის არსებულ ვერსიას და საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს მათი განახლებაც (როგორც ეს განხილულია ამ ნაწილის „ბ“ დანართში). 3. უნდა იქნეს უზრუნველყოფილი პოლიტიკისა და პროცედურების ისეთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომლებიც ეხება ფირმის გარე პირებს, როგორიცაა, მაგალითად, მომსახურების პროვაიდერები.

ხარისხის რისკი 1-ელი ნიმუშიდან	ხარისხის რისკი	საპასუხო ზომა	საპასუხო ზომა - პოლიტიკა ან/და პროცედურა	დოკუმენტურად ასახეთ არსებული პოლიტიკა/პროცედურა და მდებარეობა	„ხარვეზების“ ანალიზის შედეგი
ხრ 5 (ნიმუში 4 - შემთხვევის ანალიზი: დათანხმება და გაგრძელება)	ხარისხის რისკი, როდესაც ფირმა ვერ აღწევს ხარისხის იმ მიზნებს, რომლებიც უკავშირდება დამკვეთთან ურთიერთობასა და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმებას და მათ გაგრძელებას. აღნიშნული ხარისხის მიზნები მოიცავს შემდეგს: ა) ფირმის განსჯა იმის თაობაზე, უნდა დაეთანხმოს თუ არა ურთიერთობას დამკვეთთან ან კონკრეტულ გარიგებას, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა დამკვეთთან ან კონკრეტული გარიგება ადეკვატურია და ეყრდნობა თუ არა: (i) ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია გარიგების ხასიათისა და გარემოებების და ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ და საკმარისია ამგვარი განსჯის გასამყარებლად; და (ii) ფირმის შესაძლებლობას, შეასრულოს მოცემული გარიგება პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად; ბ) ფირმის ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები არ გამოიწვევს არაადეკვატურ დასკვნას იმის თაობაზე, ფირმა უნდა დაეთანხმოს თუ არა ურთიერთობას დამკვეთთან ან კონკრეტულ გარიგებას, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა დამკვეთთან ან კონკრეტული გარიგება.		დამკვეთთან ურთიერთობაზე და გარიგებაზე დათანხმებასა და მის გაგრძელებასთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკები სავარაუდოდ ეფუძნება IFAC-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტში (მცირე და საშუალო ფირმების ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო (მესამე გამოცემა) მოცემულ ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუშს ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის. თუმცა იგი შეცვლილია ისე, რომ მარსელის მიზნებს მოერგოს. შესაბამისად, იგი უნდა შეივსოს ფაქტობრივად არსებული კონკრეტული პოლიტიკებით. მაგალითად: ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს მე-3 განყოფილებაში, სავარაუდოდ, მოცემული იყო შემდეგი პოლიტიკები, რომლებიც მნიშვნელოვან „ხარვეზს“ არ წარმოქმნიდა: <i>3. დამკვეთთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება</i> <i>3.1 დათნხმება და გაგრძელება</i> <i>ინდ. პრაქტიკოსი მხოლოდ მაშინ უნდა დაეთანხმოს ახალ გარიგებებს ან გააგრძელოს არსებული გარიგებები და დამკვეთთან ურთიერთობები, თუ მას ამისთვის აქვს სათანადო შესაძლებლობები, მათ შორის დრო და რესურსები, ამასთანავე, თუ მას შეუძლია დააკმაყოფილოს ეთიკური მოთხოვნები, თუ მან გაითვალისწინა (პოტენციური) დამკვეთის პატიოსნება და არ აქვს არანაირი ინფორმაცია, რომელიც ამტკიცებს, რომ (პოტენციური) დამკვეთი პატიოსანი არ არის.</i> <i>ინდივიდუალურმა პრაქტიკოსმა გარიგებაზე დათანხმების ან მისი გაგრძელების გადაწყვეტილება უნდა დაადასტუროს და მას ხელი მოაწეროს ინდივიდუალური პრაქტიკოსის მიერ შემუშავებული პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.</i>		არსებული პოლიტიკები/პროცედურები შეიძლება გამოსადეგი იყოს და „ხარვეზი“ არ გამოიწვიოს, თუმცა ხმს-ის მიზნებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი საპასუხო ზომის დამატება, ასევე ზოგიერთი საპასუხო ზომის გადახედვა და განახლება, შემდეგნაირად: 1. ისინი უნდა მიესადაგოს პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის განსჯაზე უნდა დათანხმდეს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობებს ან კონკრეტულ გარიგებებს ან გააგრძელოს თუ არა ისინი. შემთხვევის ანალიზის პირველ მაგალითში შემოთავაზებული იყო შემდეგი ფორმულირება: „1. ეთიკური ქცევისა და მომსახურების ხარისხის პრიორიტეტად მიჩნევა. კომერციულმა მიზნებმა უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.“ 2. IESBA-ს კოდექსზე მითითებები უნდა გადამოწმდეს, რამდენად შეესაბამება ის IESBA-ის კოდექსის არსებულ ვერსიას და საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს მათი განახლებაც (როგორც ეს განხილულია ამ ნაწილის „ბ“ დანართში). 3. ახალი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მეტი ინფორმაციის მოპოვებას გარიგების ხასიათისა და გარემოებების, აგრეთვე დამკვეთის პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ. 4. ახალი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებს დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმების გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში.
			შენიშვნა: ზოგიერთი საპასუხო ზომა შეიძლება მიემართებოდეს მრავალ რისკს, და ზოგიერთი რისკი შეიძლება საჭიროებდეს მრავალ საპასუხო ზომას.		

მე-2 ნაწილის შემთხვევის ანალიზის შეჯამება

ამ ნაწილში შემოთავაზებული იყო მიდგომა, რომელიც მარსელს შეუძლია გამოიყენოს. ბოლო კომპონენტი განხილული იქნება მე-3 ნაწილში. ამ ეტაპისთვის მარსელთან დაკავშირებული პროცესი შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- მარსელმა წაიკითხა სტანდარტები და სტანდარტების გასაცნობად საჭირო სხვა რესურსები, მათ შორის IESBA-ის კოდექსის მიმოხილვა, როგორც ეს განხილულია ამ ნაწილის „ბ“ დანართში.
- როგორც ინდივიდუალურმა პრაქტიკოსმა, მარსელმა სრულად აიღო ხმს-ზე პასუხისმგებლობა და შეაჯამა მისი ფირმისთვის შესაფერისი ხარისხის მიზნები.
- დანერგვის პროექტისთვის მარსელმა მოიძია შეხედულებები თავისი ყველაზე მაღალი რანგის თანამშრომლისგან, დებორასაგან, რომელიც მას რისკების შეფასების პროცესში იდეების გენერირებაში დაეხმარა.
- მარსელმა თავი მოუყარა მიმდინარე პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომლებიც ხმს-ის შემუშავებაში დაეხმარებოდა. მან დაიწყო რისკების შეფასების პროცესი და პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება.

მარსელს, პროცესის დასაწყებად, შეეძლო გამოეყენებინა ამ ნაწილში წარმოდგენილი შემდეგი სახელმძღვანელო მითითებები:

- *ნიმუში 1*, რისკების შეფასების პროცესის შესაძლო ფორმატის სახით შემოთავაზებული იყო რისკების შეფასების *სამუშაო წიგნი*.
- *ნიმუში 2*, შემოთავაზებული იყო „*ხარვეზების ანალიზის შესაძლო ფორმატი*“. მარსელს შეეძლო ეს ფორმატი გამოეყენებინა იმ ანალიზის დოკუმენტურად ასახვისთვის, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტდა, თუ რისი დანერგვაა საჭირო ხმს-ში იმასთან შედარებით, რაც ამჟამად უკვე არსებობს მარსელის ფირმაში. (წარმოდგენილია მე-5 ნიმუშში)
- *შემთხვევის ანალიზი – მაგალითი 1*, ამ დანართში წარმოდგენილი იყო *როლებისა და პასუხისმგებლობების, აგრეთვე პოლიტიკებისა და პროცედურების დოკუმენტირების საკითხი*. გამოყენებული იყო მარსელის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს არსებული ფორმატი, რომელიც აჩვენებდა მმართველობისა და ხელმძღვანელობის საკითხის დოკუმენტირების ერთ შესაძლო საშუალებას, ასევე მოიცავდა პოლიტიკებისა და პროცედურების ნიმუშებს. ეს მაგალითი აჩვენებდა, თუ როგორ შეიძლება არსებული ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს გამოყენება. (ნაბიჯი 5)
- *შემთხვევის ანალიზი – მაგალითი 2, რისკების შეფასება და საპასუხო ზომები*. ამ მაგალითში გამოყენებულია სათანადო ეთიკური მოთხოვნების კომპონენტსა (ნიმუში 3) და გარიგებაზე დათანხმებისა და მისი გაგრძელების კომპონენტთან (ნიმუში 4) დაკავშირებული საკითხები.

ნიმუშები: შეჯამება

[ნიმუში 1](#) რისკების შეფასების სამუშაო წიგნის ნიმუში

[ნიმუში 2](#) ხარვეზების ანალიზის შესაძლო ფორმატი

[ნიმუში 3](#) შემთხვევის ანალიზი: სათანადო ეთიკური მოთხოვნები

[ნიმუში 4](#) შემთხვევის ანალიზი: დათანხმება და გაგრძელება

[ნიმუში 5](#) ხარვეზების ანალიზის საილუსტრაციო მაგალითი

დოკუმენტირების დამხმარე საშუალებები: შეჯამება

მარსელმა შეუძლია, საჭიროების მიხედვით და საჭირო ცვლილებებით, განიხილოს ამ ნაწილში წარმოდგენილი დოკუმენტირების დამხმარე საშუალებების გამოყენება. ეს დაეხმარება მას პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავებაში და ხმს-ის დოკუმენტურად ასახვაში. ეს საკითხი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- დამოუკიდებლობის დასტური ([„დ“ დანართი](#))
- დამკვეთებთან ურთიერთობასა და გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება ([„ვ“ დანართი](#))
- რესურსები და გარე კონსულტაციები ([„ზ“ დანართი](#))
- გარიგების ხარისხის მიმოხილვა ([„თ“ დანართი](#))

შემთხვევის ანალიზთან დაკავშირებული მითითებები: შეჯამება

მარსელ მუნი არის ინდივიდუალური პრაქტიკოსი, რომელიც საქმიანობს „მ.მ და პარტნიორების“ სახელით. მას ჰყავს ოთხი თანამშრომელი. ამ ნაწილში წარმოდგენილი იყო ის მიდგომა, რომელიც მარსელს ხმს-ის შექმნისა და დანერგვის პროცესში შეუძლია გამოიყენოს. აქ ასევე მოცემული იყო გარკვეული სახელმძღვანელო მითითებები და დოკუმენტირებისას გამოსადეგი ინსტრუმენტები. მაგალითად, ხმს-ის შექმნის პროცესში რისკების შეფასებისას, პროცესის ამ ნაწილის დოკუმენტირების ერთ-ერთი საშუალებაა [1-ელ ნიმუშში](#) წარმოდგენილი მიდგომაა - *რისკების შეფასების სამუშაო წიგნი*.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ამ ნაწილში განხილული ძირითადი სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც „მ.მ და პარტნიორების“ ხმს-ის თითოეულ კომპონენტს ეხება. ასევე წარმოდგენილია ხარისხის რამდენიმე რისკი, რაც აჩვენებს თუ როგორ შეიძლება მარსელმა ამ სერიის ეს ნაწილი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ცხადია, მარსელმა თავად უნდა შექმნას და განავითაროს საკუთარ ფირმაზე მორგებული ხმს. თუმცა ამ ცხრილში ასახულია ზოგიერთი ისეთი მითითება, რომელიც ამ ნაწილში თითოეული კომპონენტისთვის ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.


ხმს-ის კომპონენტი	ხარისხის შესაძლო რისკი	ამ ნაწილში წარმოდგენილი მითითებები და ინსტრუმენტები
მმართველობა და ხელმძღვანელობა	ხარისხის რისკი იმისა, რომ მარსელი, როგორც ფირმის ხელმძღვანელი, ყოველთვის ვერ აჩვენებს ხარისხისადმი ერთგულებას.	ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ მარსელისთვის ეს კომპონენტი შედარებით მარტივი იქნება, რადგან მმართველობა და ხელმძღვანელობა მარსელის აზროვნებითა და ქმედებებით გამოიხატება, რაც მის ხარისხისადმი ერთგულებას ასახავს. მარსელმა ასევე შეიძლება განიხილოს ხმს-ზე გარკვეული პასუხისმგებლობების დებორასთვის გადანაწილება, თუმცა საბოლოო პასუხისმგებლობა მაინც მას დაეკისრება. შემთხვევის ანალიზის – 1-ელ მაგალითში, რომელიც ეხება როლებისა და პასუხისმგებლობების, აგრეთვე პოლიტიკებისა და პროცედურების დოკუმენტირებას, წარმოდგენილია პოლიტიკებისა და პროცედურების ის მაგალითები, რომელთა მიმართებაშიც მარსელს შეუძლია გამოიყენოს ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელო ან მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. ეს მაგალითი წარმოდგენილია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება მარსელ მუნის შემთხვევა IFAC-ის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოდან მცირე და საშუალო პრაქტიკის ფირმებისთვის (მესამე გამოცემა), იყოს არსებული პოლიტიკებისა და პროცედურების წყარო. 1-ელ ნიმუშში მოცემული მაგალითები ინდივიდუალური პრაქტიკოსის ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელოდანაა. ეს მაგალითები ასევე აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთი პოლიტიკა ხარისხის ერთზე მეტ რისკს ეხებოდეს. მაგალითისთვის, ერთ-ერთი შემოთავაზებული პოლიტიკა 1-ელი მაგალითის მიხედვით, რომელიც ამ კომპონენტს შეესაბამება, არის შემდეგი: ეთიკური ქცევისა და მომსახურების ხარისხის პრიორიტეტად მიჩნევა. კომერციულმა მიზნებმა უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ხმს-ის კომპონენტი	ხარისხის შესაძლო რისკი	ამ ნაწილში წარმოდგენილი მითითებები და ინსტრუმენტები
სათანადო ეთიკური მოთხოვნები*	ხარისხის რისკი იმისა, რომ მარსელი და თანამშრომლები შესაძლოა სრულად არ იცნობდნენ IESBA-ის ეთიკის კოდექსს ან მისი გამოყენების პრინციპს, რამაც შეიძლება მოთხოვნებთან შესაბამისობის დარღვევა გამოიწვიოს.	როგორც ზემოთ აღინიშნა, შემთხვევის ანალიზის – 1-ელ მაგალითში, რომელიც ეხება როლებისა და პასუხისმგებლობების, აგრეთვე პოლიტიკებისა და პროცედურების დოკუმენტირებას, წარმოდგენილია პოლიტიკებისა და პროცედურების ის მაგალითები, რომელთა მიმართებაშიც მარსელს შეუძლია გამოიყენოს ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელო ან მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. მაგალითისთვის, ერთ-ერთი შემოთავაზებული პოლიტიკა 1-ელი მაგალითის მიხედვით, რომელიც ამ კომპონენტს შეესაბამება, არის შემდეგი: • IESBA-ის კოდექსის (ან/და წვერი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსების) წაკითხვა, გაგება და დაცვა. • ინდ. პრაქტიკოსისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობების გაცნობიერება, რაც გულისხმობს დამოუკიდებლობის საფრთხეების გამოვლენას, გამჟღავნებასა და დოკუმენტირებას, ასევე გამოვლენილი საფრთხეების შეფასებისა და მართვის შესაბამისი პროცესის განხორციელებას. • იმ გარემოებების თავიდან აცილება, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს (ან შექმნას ამის შთაბეჭდილება) დამოუკიდებლობის კომპრომეტირება. შემთხვევის ანალიზის – მე-2 მაგალითში, რომელიც ეხება რისკების შეფასებას, იდენტიფიცირებულია ამ კომპონენტთან დაკავშირებული ხარისხის მიზნები, შემდეგ მარსელის ფირმის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით გამოვლინდა სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული ხარისხის რისკი, როდესაც შესაძლოა ფირმამ დამოუკიდებლობის მოთხოვნები დაარღვიოს. ხმსს 1-ში მოცემულია კონკრეტული საპასუხო ზომა (მოთხოვნა), რომელიც ავალდებულებს ფირმას, რომ, წელიწადში ერთხელ მაინც, მთელი პერსონალისგან, ვისზეც სათანადო ეთიკური მოთხოვნები ვრცელდება, დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით დოკუმენტური დასტური მოიპოვოს. ამ ნაწილის „დ“ დანართი წარმოდგენილია იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ამ დასტურის დოკუმენტურად ასახვა. გარდა ამისა, ამ ნაწილში მოცემულია ისეთი პოლიტიკებისა და პროცედურების მაგალითები, რომელთა ცვლილებაც მარსელს შეუძლია, მათ შორისაა: • ყველა იმ რეგულაციის წაკითხვა, რომლებიც შესრულებულ გარიგებებს ეხება. • ფირმისა და დამკვეთების სამართლებრივი გარემოს შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნა. • შესაბამისი ეთიკის კოდექსის წაკითხვა და დაცვა, მათ შორის, მაგალითად, აკრძალული ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების დაცვა. • ფირმის დამკვეთთა სრული სიის გადახედვა, რათა სათანადოდ შეფასდეს შესაძლო ინვესტიციები/ურთიერთობები/ინტერესთა კონფლიქტები. • კონფიდენციალურობის მოთხოვნების დაცვა და კონფიდენციალურობის განაცხადის გამოყენება, რომლის დოკუმენტირების მაგალითი „ე“ დანართშია მოცემული. • ყველა აუცილებელი პროფესიული მოთხოვნისა და პროფესიული სტანდარტის დაცვა და მათი შეჯამებული მიმოხილვის ფირმისთვის წარდგენა. • კომპეტენციის შეფასება ნებისმიერი გარიგების შესრულებამდე ან მასში მონაწილეობამდე. • დამკვეთისგან საჩუქრებსა და სტუმარმასპინძლობაზე უარის თქმა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ღირებულება ტრივიალური და უმნიშვნელოა. <i>(ეს არის ისეთი პოლიტიკის მაგალითი, რომელიც, სავარაუდოდ, უფრო სპეციფიკურია, ვიდრე სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებები.)</i>

ხმს-ის კომპონენტი	ხარისხის შესაძლო რისკი	ამ ნაწილში წარმოდგენილი მითითებები და ინსტრუმენტები
დამკვეთთან ურთიერთობებზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება	ხარისხის რისკი, რომ მარსელი შეიძლება დათანხმდეს გარიგებებს ან დამკვეთებთან ურთიერთობას, როდესაც ხელმისაწვდომი არაა ინტელექტუალური ან ადამიანური რესურსები.	შემთხვევის ანალიზის – მე-2 მაგალითში, რისკების შეფასება, იდენტიფიცირებულია ხარისხის მიზნები და მარსელის ფირმის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, გამოვლენილია ამ კომპონენტთან დაკავშირებული ხარისხის რისკი. ეს ნაწილი ეხმარება მარსელს დამკვეთთან ურთიერთობაზე დათანხმებისა და მისი გაგრძელების პროცესში. მაგალითად, „ვ“ დანართში წარმოდგენილია საკონტროლო სია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ფირმის ფაქტებისა და გარემოებების შესაბამისად და ამ კომპონენტთან დაკავშირებით მასზე დაყრდნობით დოკუმენტურად აისახოს მარსელის ფირმის ხმსს 1-თან შესაბამისობა. გარდა ამისა, ამ ნაწილში მითითებულია, რომ მარსელს შეუძლია შეიმუშაოს პოლიტიკა ან/და პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს (ან კრძალავს) გარკვეული ტიპის გარიგებებზე დათანხმების საკითხს, მაგალითად: • ფირმამ შეიძლება აკრძალოს მარწმუნებელი გარიგებების შესრულება გარკვეულ განსახილველ საგანზე, როდესაც ფირმას არ გააჩნია შესაბამისი გამოცდილება ამ საგანზე გარიგებების შესასრულებლად. • ფირმამ შეიძლება აკრძალოს ისეთი მარწმუნებელი გარიგებების შესრულება, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც საქმიანობენ გარკვეულ დარგებში (მაგ., სპეციალიზებული დარგები რეგულაციების ან სირთულის მაღალი დონით), როდესაც ფირმას არ გააჩნია შესაბამისი რესურსები ან გამოცდილება ამ დარგებში მოქმედი სუბიექტებისთვის გარიგებების შესასრულებლად.
გარიგების შესრულება	ხარისხის რისკი, რომ ფირმის მიერ გამოყენებული სტანდარტიზებული საკონტროლო სიები დროულად არ ახლდება.	გარიგების შესრულებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების უმეტესობაში, დიდი ალბათობით ასახულია ის გარემოება, რომ მარსელის ფირმას გამოწერილი აქვს წვდომა აუდიტისა და მიმოხილვის სახელმძღვანელოზე ან ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ რესურსებზე. შესაბამისად, პოლიტიკითა და პროცედურებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი გამოწერის დოკუმენტაციისა და ნებისმიერი დაკავშირებული სახელმძღვანელოს (სტანდარტული ნიმუშების ჩათვლით) განახლება, ისე რომ მასში ხარისხის მართვის სტანდარტების შესაბამისი ინფორმაცია აისახოს. ამ ნაწილის გაცნობით მარსელს ეცოდინება, რომ თუ დამკვეთთან ურთიერთობაზე დათანხმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას ისეთ გარიგებას განიხილავს, რომელსაც შეიძლება გარიგების ხარისხის მიმოხილვა დასჭირდეს, მაშინ მას ამ ნაწილის „თ“ დანართის გამოყენებით შეუძლია ამ აქტივობისთვის შესაბამისი საკონტროლო სია შეიმუშაოს.

ხმს-ის კომპონენტი	ხარისხის შესაძლო რისკი	ამ ნაწილში წარმოდგენილი მითითებები და ინსტრუმენტები
რესურსები (მათ შორის ადამიანური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები)	ხარისხის რისკი, რომ მარსელი და მისი თანამშრომლები არ იცნობენ გარიგების სტანდარტების განახლებულ გამოცემებს.	როგორც ზემოთ განვიხილეთ, <u>შემთხვევის ანალიზის - 1-ელ მაგალითში</u>, როლებისა და პასუხისმგებლობების, ასევე პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტირება, წარმოდგენილია პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითები არსებული ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოდან, რომლებიც მარსელს შეუძლია გამოიყენოს ან შეცვალოს. საილუსტრაციოდ, შემთხვევის ანალიზის - 1-ელი მაგალითიდან შემოთავაზებული ერთი პოლიტიკა/პროცედურა, რომელიც შესაფერისია ამ კომპონენტისთვის, არის შემდეგი პოლიტიკა: • უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა, მათ შორის, მტკიცებულების სახით შესაბამისი ჩანაწერების წარმოება. • პროფესიის, ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ჩარჩოსა და მარწმუნებელი სტანდარტების (მაგალითად, ფასს სტანდარტები, ასს-ები), ინფორმაციის გამჟღავნებისა და აღრიცხვის პრაქტიკების, ხარისხის მართვის სტანდარტებისა და პრაქტიკის, ფირმის სტანდარტების, ასევე შესაბამისი დარგობრივი და დამკვეთისთვის სპეციფიკური განახლებების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. <i>ტექნოლოგიური/ინტელექტუალური რესურსები</i> მარსელმა ასევე შეიძლება განიხილოს ამ ნაწილში მოცემული მაგალითი, რომელიც ფირმის მიერ ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებას უკავშირდება: ფირმის მეთოდოლოგიის/ინტელექტუალური რესურსების გამოყენება ყველა პარტნიორმა და თანამშრომელმა უნდა გამოიყენოს ფირმის მეთოდოლოგია და უზრუნველყოს აპლიკაციების განახლება, მათ შორისაა, და არა მარტო, სამუშაო დოკუმენტების ფაილის დასაგენერირებელი აპლიკაცია, საკონტროლო სიები და ა.შ. მარსელს ასევე შეუძლია გამოიყენოს ამ ნაწილის <u>„ზ“ დანართი</u>, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება მოდიფიცირდეს და გამოყენებულ იქნას გარე რესურსების პოტენციური გამოყენების დოკუმენტურად ასახვის მიზნით. ეს რესურსები შეიძლება იყოს როგორც ადამიანური ან ინტელექტუალური რესურსები, კონსულტაციის ხასიათიდან გამომდინარე.
ინფორმაცია და კომუნიკაცია*	ხარისხის რისკი, რომ მარსელი დროულად არ მიაწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას ყველა შესაბამისი საკითხის შესახებ.	როგორც ამ ნაწილში განვიხილეთ, მარსელის ფირმაში კომუნიკაციას შესაძლოა უფრო არაფორმალური სახე ჰქონდეს და განხორციელდეს პერსონალთან და გარიგების გუნდებთან პირდაპირი განხილვების გზით. მარსელმა უნდა იცოდეს, რომ ხმსს 1-ში არ არსებობს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ყველა კომუნიკაცია ოფიციალურად უნდა იყოს დოკუმენტირებული. მარსელს მოუწევს მხოლოდ კომუნიკაციის იმ სახით დოკუმენტირება, რაც ხმსს 1-ის 57-59 პუნქტებით მოითხოვება.

*შეხსენება მარსელისთვის: ამ კომპონენტებისთვის ხმსს 1-ში მოცემულია კონკრეტული საპასუხო ზომები, ასევე ამ ნაწილის „ა“ დანართში შეტანილია შეჯამება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საბოლოო შემოწმებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ ხმსს 1-ით მოთხოვნილი კონკრეტული საპასუხო ზომები ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში გათვალისწინებულია.



ფირმა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც მოიპოვებს დოკუმენტურ დასტურს დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის შესახებ ყველა იმ პერსონალისგან, რომელსაც სათანადო ეთიკური მოთხოვნებით დამოუკიდებლობა მოეთხოვება. (ხმსს 1-ის 34(ბ) პუნქტი)

ეს კონკრეტული საპასუხო ზომა შეიძლება გატარდეს დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთი დოკუმენტური დასტურის შექმნით, რომელსაც ყოველ წელს გამოიყენებენ. აღნიშნულ დასტურის დოკუმენტს შეიძლება შემდეგი ფორმატი ჰქონდეს:

პარტნიორისა და თანამშრომლის დამოუკიდებლობა

[ფირმის ბლანკი]
[თარიღი]
[განკუთვნილია ფირმისთვის]

დამოუკიდებლობის დადასტურება

ვადასტურებ, რომ ჩემი ცოდნისა და რწმენის ფარგლებში, მე ვიცავ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის პოლიტიკასა და პროცედურებს, რომელიც მოიცავს დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით)* 4ა და 4ბ ნაწილებთან შესაბამისობას [გარდა „ა“ დანართში ჩამოთვლილი საკითხებისა].

თუ „ა“ დანართზე მითითება ამოღებულია:

ინიციალი:_____

სახელი:_____

პოზიცია:_____

თარიღი:_____

*დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები:

ნაწილი 4ა – დამოუკიდებლობა აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებებისთვის;

ნაწილი 4ბ – დამოუკიდებლობა აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებების გარდა სხვა მარწმუნებელი გარიგებებისთვის

„ა“ დანართი

პარტნიორისა და თანამშრომლის დამოუკიდებლობა


ჩამოთვალეთ და მოკლედ განმარტეთ ყველა იმ საკითხის არსი, რომელმაც თქვენი ცოდნისა და რწმენის ფარგლებში, შესაძლოა გავლენა იქონიოს დამოუკიდებლობაზე.

სიის შედგენისას გამოიყენეთ პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) 4ა და 4ბ ნაწილები.

თითოეულ პუნქტს გადახედავს გარიგების პარტნიორი. შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაცია იმის დასადგენად, თუ რა ზომების მიღებაა აუცილებელი, საჭიროებისამებრ.

ყველა გადაწყვეტილება და გასატარებელი ღონისძიებები სრულად უნდა იყოს დოკუმენტირებული.

აღწერა	დეტალურად აღწერეთ როგორ შეიძლება დამოუკიდებლობაზე გავლენის მოხდენა	გატარებული ღონისძიებები ან გამოყენებული დამცავი ზომები (თუ შესაძლებელია) საფრთხეების აღმოსაფხვრელად ან მისაღებ ღონემდე შესამცირებლად



დანართი ე: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება – კონფიდენციალურობის განაცხადი

კონფიდენციალურობის განაცხადის ქვემოთ მოცემული ნიმუში შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ დოკუმენტურად ასახოთ კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებული ხარისხის რისკების საპასუხო პოლიტიკის დანერგვის პროცესი. კონფიდენციალურობა არის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც აღწერილია პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსში (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებში).

[ნიმუში] კონფიდენციალურობის განაცხადი

[ფირმის ბლანკი]

სასურველია, თანამშრომელმა კონფიდენციალურობის განაცხადს ხელი დასაქმებისას მოაწეროს, ან ეს განაცხადი შეტანილ იქნეს თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების პირობებში. ასევე კარგ პრაქტიკად ითვლება კონფიდენციალურობის განაცხადზე ყოველ წელს ხელმოწერა, რაც მოთხოვნის არსებობის შეხსენებას ემსახურება.

გარდა ამისა, IESBA-ის კოდექსის მიხედვით ფირმის მიერ კონფიდენციალურობის ვალდებულების შესრულების მიზნით, გონივრული ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული, რათა ამ განაცხადზე ხელმოწერის ვალდებულება შეტანილ იქნეს შემდეგ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში: მომსახურების პროვაიდერები, ხარისხის მიმომხილველები, კონსულტანტები, რომლებსაც ფირმა მიმართავს სადავო ან რთულ საკითხებთან დაკავშირებით, ან სხვა პირები, მაგალითად, სტ (IT) კონსულტანტები. ამის ალტერნატივაა, თუ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება შეტანილი იქნება ხელშეკრულების/გარიგების წერილის პირობებში.

[ეს განაცხადი უკავშირდება კონფიდენციალურობას, როგორც ეს განხილულია შესაბამის ქცევის კოდექსში და არ ეხება პირადი ინფორმაციისა და კონფიდენციალურობის შესახებ სამართლებრივ მოთხოვნებს. ნებისმიერ ასეთ სამართლებრივ მოთხოვნასთან დაკავშირებით კი სასურველია იურიდიული კონსულტაციის მიღება.]

[თარიღი]

ქალბატონო/ბატონო [XXX]:

პროფესიონალი ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის კოდექსთან (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც უკავშირდება ჩვენს პროფესიულ პასუხისმგებლობებს და ჩვენი დამკვეთების დაცვას, აუცილებელია, რომ ჩვენი დამკვეთების საქმიანობა კონფიდენციალური დარჩეს.


კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას ჩვენი დამკვეთების შესახებ, რომელიც პირისთვის ცნობილი ხდება ფირმასთან მათი კავშირის შედეგად, თუ ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

გავცანი, გავიგე და ვეთანხმები ფირმის განაცხადს კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ, რომელიც ფირმის დამკვეთების საქმიანობას ეხება.

სახელი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____



მითითება IESBA-ის კოდექსზე (გაეცანით შესაბამის ეთიკურ მოთხოვნას)

პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსი (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) მოიცავს 114-ე ქვეგანყოფილებას, რომელიც ეხება კონფიდენციალურობის მოვალეობას. კერძოდ, მ114.1 მოითხოვს, რომ ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი, რომელიც ბუღალტერს ავალდებულებს, რომ დაიცვას პროფესიული და საქმიანი ურთიერთობის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. პროფესიონალმა ბუღალტერმა:

სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ დაუშვას ინფორმაციის უნებლიე გამჟღავნება, მათ შორის სოციალურ გარემოში და, განსაკუთრებით, მჭიდრო საქმიან ურთიერთობებში, ოჯახის წევრებთან ან ახლო ნათესავებთან.

ინფორმაციის კონფიდენციალურობა უნდა დაიცვას ფირმის ან დამქირავებელი ორგანიზაციის ფარგლებში.

უნდა დაიცვას ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობაც, რომელიც პოტენციურმა დამკვეთმა ან დამქირავებელმა ორგანიზაციამ გაუმხილა.

არ უნდა გაამჟღავნოს პროფესიული და საქმიანი ურთიერთობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ფირმის ან დამქირავებელი ორგანიზაციის გარეთ, სათანადო და კონკრეტული უფლებამოსილების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გამჟღავნების სამართლებრივი ან პროფესიული ვალდებულება ან უფლება, მათ შორის ურთიერთობების დასრულების შემდეგაც.

არ უნდა გამოიყენოს პროფესიული და საქმიანი ურთიერთობების დროს შეძენილი კონფიდენციალური ინფორმაცია პირადი გამორჩენისთვის, ბუღალტრის ან მესამე მხარის სასარგებლოდ.

უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პერსონალი და პირები, ვისგანაც რჩევასა და დახმარებას იღებს, იცავენ ბუღალტრის კონფიდენციალურობის მოვალეობას.



დანართი ვ:
დოკუმენტირების
დამხმარე საშუალება -
დამკვეთებთან
ურთიერთობაზე და
გარიგებებზე
დათანხმება და მათი
გაგრძელება

წინასწარი შეფასება

გაიმართა თუ არა განხილვა დამკვეთთან გარიგებაზე დათანხმებამდე მათი ისტორიის დადგენისა და შესაბამისი დოკუმენტების მიღების მიზნით? ეს უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ სქემას, საოპერაციო და ფინანსური შედეგებს ბოლო ორი ან სამი წლის განმავლობაში, ცვლილებებს ხელმძღვანელობაში, ოპერაციების სტრუქტურას და ნებისმიერ სხვა ფაქტორს, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს გარიგებაზე.

გარიგებ(ებ)ის ხასიათი:

მარწმუნებელი - აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება

მარწმუნებელი - მიმოხილვის გარიგება

დაკავშირებული მომსახურება - კომპილაციური გარიგება

დაკავშირებული მომსახურება - სხვა, მაგალითად, გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე

შეხსენება:

პროფესიული სტანდარტების განმარტება მოიცავს შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს:

პროფესიული სტანდარტები - აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სტანდარტები, როგორც განმარტებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის წინასიტყვაობაში“ და ასევე სათანადო ეთიკური მოთხოვნები. (ხმსს 1-ის 16(ე) პუნქტი)

ახალ დამკვეთთან გარიგებაზე პირველად დათანხმების შეფასების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები შეიძლება უფრო ვრცელი იყოს, ვიდრე არსებულ დამკვეთთან გარიგების გაგრძელების გადაწყვეტილების მიღებისას. განხილვის შედეგები შეიძლება ჩაიწეროს საკონტროლო სიაში (მაგალითად, როგორიც ქვემოთაა მოცემული), კითხვარის ფორმატში, ან შეჯამდეს მემორანდუმში.

საკონტროლო სიის ნიმუში - დამკვეთებთან ურთიერთობაზე და გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება

ხარისხის მიზანი

ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის შემდეგი მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასთან, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებასთან:

ა) ფირმის განსჯა იმის თაობაზე, უნდა დაეთანხმოს თუ არა ურთიერთობას დამკვეთთან ან კონკრეტულ გარიგებას, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა დამკვეთთან ან კონკრეტული გარიგება ადეკვატურია და ეყრდნობა თუ არა:

(i) ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია გარიგების ხასიათისა და გარემოებების და ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ და საკმარისია ამგვარი განსჯის გასამყარებლად; და

(ii) ფირმის შესაძლებლობას, შეასრულოს მოცემული გარიგება პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ფირმის ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები არ გამოიწვევს არაადეკვატურ დასკვნას იმის თაობაზე, ფირმა უნდა დაეთანხმოს თუ არა ურთიერთობას დამკვეთთან ან კონკრეტულ გარიგებას, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა დამკვეთთან ან კონკრეტული გარიგება.

(იხილეთ ხმსს 1-ის 30 და გ67-გ74 პუნქტები)

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები				
1. ფირმის ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები ხომ არ იწვევს პოტენციურ მიკერძოებულობას ან არაადეკვატურ დასკვნებს გარიგებაზე/ურთიერთობაზე დათანხმების ან მისი გაგრძელების გადაწყვეტილების მიღებისას? გასათვალისწინებელი საკითხები ზედმეტი ფოკუსირება ფირმის მომგებიანობაზე, ასევე გარიგებების შესრულების შედეგად მიღებული საზღაური გავლენას ახდენს ფირმის ფინანსურ რესურსებზე. - საზღაური მიმზიდველია/დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ეს საზღაური არ შეესაბამება გარიგებაზე ან დამკვეთთან ურთიერთობაზე დათანხმების ან გაგრძელების პოლიტიკას, რომელიც ფირმას აქვს (მაგ., როდესაც დამკვეთი არ არის პატიოსანი ან არ გააჩნია ეთიკური ღირებულებები). - გარიგებისთვის დაწესებული საზღაური დაბალია და არ არის საკმარისი გარიგების ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით. ამან შეიძლება შეზღუდოს ფირმის შესაძლებლობები, მოცემული გარიგება შეასრულოს პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. (ასევე იხილეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომლებიც ეხება დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ შესაძლო აკრძალვებს/საფრთხეებს).				
2. ხართ დარწმუნებული, რომ პოტენციურ დამკვეთს აქვს როგორც სურვილი, ისე შესაძლებლობა გადაიხადოს თქვენთვის მისაღები ოდენობის საზღაური?				
პოტენციური დამკვეთის მახასიათებლები და პატიოსნება				
3. იცნობთ დამკვეთს თქვენ, თქვენთვის სანდო დამკვეთები ან კოლეგები?				
4. ხართ დარწმუნებული, რომ არ არსებობს ისეთი მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც ეჭვს იწვევს პოტენციური დამკვეთის მფლობელების, საბჭოს წევრების ან ხელმძღვანელობის პატიოსნებაზე? კერძოდ, გონივრულობის ფარგლებში ხართ დარწმუნებული, რომ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთს არ აქვს ადგილი: ა) მსჯავრდება და მარეგულირებელი სანქციები, ბ) ეჭვი უკანონო ქმედებების ან თაღლითობის შესახებ, გ) მიმდინარე მოკვლევები, დ) ისეთ პროფესიულ ორგანიზაციებში წევრობა, რომლებიც კარგი სახელით არ სარგებლობენ, ე) უარყოფითი საჯარო რეპუტაცია, და ვ) მჭიდრო კავშირი საექვო ეთიკის მქონე პირებთან/კომპანიებთან. [აღწერეთ მტკიცებულებების მოპოვების მეთოდები, როგორიცაა ინტერნეტში ძიება. (ინტერნეტში ძიებისთვის საკვანძო სიტყვები შეიძლება მოიცავდეს პოტენციური დამკვეთის ბიზნესის სახელს, ძირითადი პერსონალის სახელებს და დარგს ან პროდუქტებს/მომსახურებას.) დოკუმენტურად ასახეთ ნებისმიერი მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც რელევანტურია პოტენციური დამკვეთის ხასიათისა და პატიოსნების შეფასებისთვის].				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
5. თუ სხვა აუდიტორებმა/ბუღალტრებმა უარი თქვეს პოტენციური დამკვეთის მომსახურებაზე, ან თუ არსებობს ეჭვი დამკვეთის მხრიდან მანამდე სასურველი დასკვნის მიზანმიმართული ძიების ან სხვა მსგავსი მოტივაციების შესახებ, ასახეთ თუ არა დოკუმენტურად არსებული რისკები და განიხილეთ თუ არა გულდასმით მოცემულ გარიგებაზე დათანხმების საკითხი?				
წინამორბედი აუდიტორი/ბუღალტერი				
6. დაუკავშირდით თუ არა წინამორბედ აუდიტორს ან ბუღალტერს (თუ ეს შესაძლებელია თქვენს იურისდიქციაში) და გამოიკითხეთ თუ არა ქვემოთ მოცემული საკითხების შესახებ: ა) პოტენციურ დამკვეთთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებულ სამუშაო დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა; ბ) ნებისმიერი გადაუხდელი საზღაური; გ) ნებისმიერი სახის აზრთა სხვადასხვაობა ან უთანხმოება; დ) ხელმძღვანელობისა და საბჭოს პატიოსნება; ე) ურთიერთობის/გარიგების პირობების ცვლილების მიზეზები; და ვ) ნებისმიერი არაგონივრული მოთხოვნა ან თანამშრომლობის ნაკლებობა?				
7. მიიღეთ თუ არა ნებართვა წინამორბედი ფირმისგან, რომ განიხილოთ წინა წლის სამუშაო დოკუმენტები (თუ ეს ნებადართულია)? თუ ასეა, განიხილეთ თუ არა წინა პერიოდის დაგეგმვის დოკუმენტაცია, რომელიც წინა ფირმამ მოამზადა და განსაზღვრეთ თუ არა შემდეგი: ა) დაადასტურა თუ არა წინა ფირმამ დამკვეთისგან დამოუკიდებლობა; ბ) აუდიტის შემთხვევაში, შესრულდა თუ არა ის ასს-ების შესაბამისად; გ) ჰქონდა თუ არა წინა ფირმას ადეკვატური რესურსები და გამოცდილება; და დ) ჰქონდა თუ არა წინა ფირმას შესწავლილი სუბიექტი და მისი გარემო?				
წინა ფინანსური ანგარიშგება				
8. მოიპოვეთ და განიხილეთ თუ არა შემდეგი დოკუმენტების ასლები: ა) სულ მცირე წინა ორი წლის ფინანსური ანგარიშგებები; ბ) წინა ორი წლის საგადასახადო დეკლარაციები და დაკავშირებული შეფასებები; და გ) ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილები წინა ორი ან სამი წლის განმავლობაში?				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
9. განსაზღვრეთ თუ არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იყო წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებებში, და განიხილეთ თუ არა, მათი შესაფერისობისა და თანმიმდევრულად გამოყენების საკითხი? მაგალითად: ა) ისეთი მნიშვნელოვანი შეფასებები, როგორიცაა საექვო ვალების ანარიცხები, მარაგები და ინვესტიციები; ბ) ამორტიზაციის პოლიტიკა და განაკვეთები; გ) მნიშვნელოვანი შეფასებები; და დ) სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ).				
10. აუდიტის შემთხვევაში, საჭიროა თუ არა დამატებითი აუდიტორული პროცედურები წინა წლის ძირითად ოპერაციებთან და/ან ნაშთებთან დაკავშირებით, რათა შემცირდეს საწყისი ანგარიშის ნაშთების უზუსტობის რისკი? თუ დიახ, დამატებით მიუთითეთ ამ პროცედურებისთვის საჭირო სამუშაო დოკუმენტები.				
ცოდნა და გამოცდილება				
11. მიიღეთ თუ არა ინფორმაცია დამკვეთის ბიზნესისა და ოპერაციების შესახებ? (შეავსეთ დამკვეთის შესახებ ინფორმაციის მემორანდუმი ან გამოიყენეთ სტანდარტიზებული საკონტროლო სია ინფორმაციისთვის.)				
12. აქვთ თუ არა პარტნიორებსა და თანამშრომლებს საკმარისი ცოდნა პოტენციური დამკვეთის დარგის სააღრიცხვო პრაქტიკის შესახებ იმისათვის, რომ გარიგების შესრულება შეძლონ? თუ არა, შეიძლება თუ არა დარგის სააღრიცხვო პრაქტიკის შესახებ საჭირო ცოდნის ადვილად მოპოვება? მოახდინეთ წყაროების იდენტიფიცირება.				
13. მოახდინეთ თუ არა ისეთი სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც სპეციალიზებულ ცოდნას საჭიროებენ? თუ ასეა, შესაძლებელია თუ არა საჭირო ცოდნის ადვილად მოპოვება? მოახდინეთ წყაროების იდენტიფიცირება.				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
დამოუკიდებლობის შეფასება				
დამატებითი აკრძალვები, რომლებიც აქ განხილული არაა, შეიძლება გავრცელდეს საზოგადოებრივი დაინტერესების პირებთან გარიგებებზე. ყველა შესაბამის მოთხოვნას და სახელმძღვანელო მითითებას გაეცანით პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელოს (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (IESBA კოდექსი) 4ა და 4ბ ნაწილებში.				
14. გამოავლინეთ და დოკუმენტურად ასახეთ ყველა არსებული აკრძალვა (დამოუკიდებლობის ის საფრთხეები, რომლებისთვისაც ადეკვატური დამცავი ზომები არ არსებობს, როგორიცაა): ა) დამკვეთისგან მნიშვნელოვანი საჩუქრების ან სტუმარმასპინძლობის მიღება; ბ) დამკვეთთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები; გ) დამკვეთთან ოჯახური და პირადი ურთიერთობები; დ) საზღაური, რომელიც მნიშვნელოვნად ნაკლებია საბაზრო ფასზე (იმ შემთხვევის გარდა თუ დოკუმენტაცია უზრუნველყოფს იმის მტკიცებულებას, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტი დაკმაყოფილებულია); ე) ფინანსური ინტერესი დამკვეთთან მიმართებით; ვ) დადგენილი ვადის განმავლობაში დამკვეთთან ბოლოდროს მუშაობა (ან სამომავლოდ მოსალოდნელი დასაქმება), თანამდებობის პირის, დირექტორის ან ისეთი თანამშრომლის პოზიციაზე, რომელიც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს; ზ) სესხები და გარანტიები დამკვეთისთვის/დამკვეთისგან; თ) ჟურნალის ჩანაწერების ან სააღრიცხვო კლასიფიკაციების გაკეთება ხელმძღვანელობისგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე; ი) მართვის ფუნქციების შესრულება დამკვეთისთვის; და კ) ისეთი არააუდიტორული მომსახურების გაწევა, როგორიცაა კორპორაციული საფინანსო მომსახურება, იურიდიული მომსახურება, რომელიც მოიცავს დავების გადაწყვეტას, ან საშემფასებლო მომსახურება, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგებებისთვის არსებითი საკითხების შეფასებას.				
ხართ დარწმუნებული, რომ არ არსებობს არანაირი აკრძალვა, რომელიც ფირმას ან მის ნებისმიერ თანამშრომელს ხელს შეუშლიდა გარიგების შესრულებაში?				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
15. დამოუკიდებლობის საფრთხეებისა და დამცავი ზომების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხილეთ IESBA კოდექსის მე-4 ნაწილი. ა) გამოავლინეთ და დოკუმენტურად ასახეთ დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი ნებისმიერი საფრთხე, რომელიც შეიძლება აღმოიფხვრას კონკრეტული ქმედებებით ან რომლისთვისაც შეიძლება არსებობდეს დამცავი ზომები. მოახდინეთ რეაგირება იმ საფრთხეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ფირმასთან და გარიგების გუნდის ნებისმიერ წევრთან. ესენია: • ანგარების საფრთხე, რომლებიც შეიძლება შეიქმნას პროფესიონალი ბუღალტრის ან მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის ფინანსური ან სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, • თვითშეფასების საფრთხე, რომელიც შეიძლება შეიქმნას, როდესაც წინა დასკვნა/გადაწყვეტილება ხელახლა უნდა შეაფასოს ამ დასკვნაზე/გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელმა პროფესიონალმა ბუღალტერმა, • ადვოკატირების საფრთხე, რომელიც შეიძლება შეიქმნას, როდესაც პროფესიონალი ბუღალტერი ახდენს პოზიციის ან მოსაზრების მხარდაჭერას იმ დონემდე, რომ შეიძლება კომპრომეტირებულ იქნეს შემდგომი ობიექტურობა (მაგალითად, დამკვეთის სახელით მოქმედება სასამართლო დავაში ან საფინანსო საკითხების ორგანიზებაში), • ფამილიარული ურთიერთობების საფრთხე, რომელიც შეიძლება შეიქმნას, როდესაც ახლო ურთიერთობების გამო პროფესიონალი ბუღალტერი ზედმეტად თანაუგრძნობს სხვების ინტერესებს, და • შანტაჟის საფრთხე, რომელიც შეიძლება შეიქმნას, როდესაც პროფესიონალ ბუღალტერს შეიძლება ხელი შეემალოს ობიექტურად მოქმედებაში მუქარების გამო, ფაქტობრივი იქნება ეს თუ ნაგულისხმევი. ბ) შეაფასეთ და დოკუმენტურად ასახეთ, არის თუ არა ეს საფრთხეები, ინდივიდუალურად და კოლექტიურად, მისაღები დონის. გ) თითოეული ისეთი საფრთხისთვის, რომელიც არ არის მისაღები დონის, დოკუმენტურად ასახეთ ის ქმედებები, რომლებიც განხორციელდა მათ აღმოსაფხვრელად ან გატარებული დამცავი ზომები მათი მისაღებ დონემდე შესამცირებლად, ე.ი. ქმედებები, ინდივიდუალურად ან კომბინაციაში, რომლებსაც პროფესიონალი ბუღალტერი ახორციელებს და რომლებიც ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის საფრთხეებს ეფექტურად ამცირებენ მისაღებ დონემდე. დ) ხართ თუ არა დარწმუნებული, რომ გატარებულ ან გამოყენებულ იქნა შესაბამისი ქმედებები ან დამცავი ზომები და რომ დამოუკიდებლობის საფრთხეები აღმოფხვრილია ან შემცირებულია მისაღებ დონემდე?				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
გარიგების ხასიათი და გარემოებები (დამხმარე საშუალებები რისკის შეფასებაში)				
16. განსაზღვრეთ თუ არა რამდენად მისაღებია ფირმისთვის ამ დარგთან და ამ პოტენციურ დამკვეთთან დაკავშირებული რისკები? აღწერეთ ნებისმიერი ცნობილი ან საეჭვო რისკი და მათი გავლენა შემოთავაზებულ გარიგებაზე, მათ შორის: - დომინანტი მფლობელი; - შესაბამისი მარეგულირებელი ფაქტორები და დარგის კანონების/რეგულაციების ნებისმიერი დარღვევა, რომელსაც შედეგად არსებითი ჯარიმები ან სანქციები მოჰყვება; - დაფინანსების ან გადახდისუნარიანობის პრობლემები; - მედიის მაღალი ინტერესი სუბიექტის ან მისი ხელმძღვანელობის მიმართ; - დარგის ტენდენციები და შედეგები; - ზედმეტად კონსერვატიული ან ოპტიმისტური ხელმძღვანელობა; - მონაწილეობა მაღალი რისკის მქონე ბიზნეს საქმიანობებში; - ბიზნესის განსაკუთრებით სარისკო ბუნება; - გაუმართავი საბუღალტრო სისტემები და ჩანაწერები; - უჩვეულო ან დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მნიშვნელოვანი რაოდენობა; - უჩვეულო ან რთული კორპორაციული/საოპერაციო სტრუქტურები; - სუსტი კონტროლი და ხელმძღვანელობა; - შემოსავლის აღიარების მკაფიო პოლიტიკის არარსებობა; - ტექნოლოგიური ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა დარგზე ან ბიზნესზე; - ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი პოტენციური სარგებელი, რომელიც დამოკიდებულია ხელსაყრელ ფინანსურ ან საქმიანობის შედეგებზე; - ხელმძღვანელობის კომპეტენციასთან ან სანდოობასთან დაკავშირებული პრობლემები; - ხელმძღვანელობის, ძირითადი პერსონალის, ბუღალტრების ან იურისტების ბოლოდროინდელი ცვლილებები; და - საზოგადოებრივი დაინტერესების სუბიექტის ანგარიშგების მოთხოვნები, თუ ეს შესაფერისია.				
17. ვინ არიან ფინანსური ანგარიშგების სავარაუდო მომხმარებლები? - ბანკები - სახელმწიფო საგადასახადო უწყებები - მარეგულირებელი ორგანოები - ხელმძღვანელობა - კრედიტორები - პოტენციური ინვესტორები/შემსყიდველები - აქციონერები/წევრები - სხვა				
18. არსებობს თუ არა აქციონერებს შორის დავები ან სხვა ტიპის დავები, რომლებზეც გარიგების შედეგები გავლენას მოახდენს?				
19. წარმოადგენს თუ არა გონივრულ რისკს ის ფაქტი, რომ ეს მომხმარებლები შეიძლება გაცემულ ანგარიშს დაეყრდნონ?				
20. არსებობს თუ არა ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული სფეროები ან კონკრეტული ანგარიშები, რომლებიც დამატებით ყურადღებას საჭიროებენ? თუ ასეა, დოკუმენტურად ასახეთ დეტალები.				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
21. შემოგთავაზათ წინა აუდიტორმა/ზუღალტერმა ბევრი კორექტირება ან/და ხომ არ გამოავლინა ბევრი არაკორექტირებული არაარსებითი შესწორებები? თუ ასეა, დოკუმენტურად ასახეთ სავარაუდო მიზეზი და მისი გავლენა გარიგების რისკზე.				
22. ხართ დარწმუნებული, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზი ეჭვი შეიტანოთ პოტენციური დამკვეთის უნარში, განაგრძოს არსებობა განჭვრეტად მომავალში (სულ მცირე იმავე პერიოდში, რომელიც ხელმძღვანელობამ თავისი შეფასების გასაკეთებლად გამოიყენა, როგორც ეს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო სტანდარტებით მოითხოვება)?				
მასშტაბის შეზღუდვა				
23. ხართ დარწმუნებული, რომ დამკვეთის ხელმძღვანელობა თქვენს სამუშაოზე მასშტაბის არანაირ შეზღუდვას არ დააწესებს?				
24. არსებობს თუ არა შესაბამისი კრიტერიუმები (მაგალითად, ფასს სტანდარტები), რომელთა მიხედვითაც შეიძლება გარიგების განსახილველი საგანი შეფასდეს?				
25. სამუშაოს დასრულების ვადები გონივრულია?				
სხვა				
26. არსებობს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობაზე ან გარიგებაზე დათანხმებასთან დაკავშირებული დამატებითი განსახილველი საკითხები, როგორიცაა დამოუკიდებლობის და რისკის ფაქტორების უფრო დეტალური შეფასება? თუ ასეა, დოკუმენტურად ასახეთ ეს საკითხები და მათი გადაჭრის თქვენეული გზები.				
27. სხვა კომენტარები				

პარტნიორის დასკვნა

პარტნიორის კომენტარები

პოტენციური დამკვეთის შესახებ ჩემი წინასწარი ცოდნის საფუძველზე, ასევე ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოცემული პოტენციური დამკვეთის რისკის დონე შეფასდება შემდეგნაირად:

☐ მაღალი რისკი ☐ საშუალო რისკი ☐ დაბალი რისკი

	დიახ	არა	კომენტარები/ დოკუმენტაცია
ხმს-თან შესაბამისობა			
ხომ არ დაარღვევს ამ გარიგებაზე დათანხმება ფორმის ხმს-ის რომელიმე ასპექტს?			

1. დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს რაიმე აკრძალვა, რომელიც ხელს შეუშლის ფირმას ან გარიგების გუნდის რომელიმე წევრს ამ დავალების შესრულებაში.

2. იქ, სადაც ჩვენი დამოუკიდებლობის მიმართ გამოვლენილ იქნა საფრთხეები, ასეთი საფრთხეების აღმოსაფხვრელად ან მათ მისაღებ დონემდე შესამცირებლად განხორციელდა ქმედებები ან გატარებულ იქნა დამცავი ზომები.

3. არ მაქვს ინფორმაცია რაიმე ისეთი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ჩვენს დამოუკიდებლობას ან გარეგნულ დამოუკიდებლობას.

4. დარწმუნებული ვარ, რომ მოვიპოვეთ საკმარისი ინფორმაცია იმის სწორად შესაფასებლად, დავთანხმდეთ თუ არ ამ გარიგებას.

ჩემი აზრით, ჩვენ უნდა დავთანხმდეთ ☐ ან არ უნდა დავთანხმდეთ ☐ ამ გარიგებას.

გარიგების პარტნიორის ხელმოწერა: _____

მეორე პარტნიორის დასტური (თუ ეს შესაფერისია)

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დამატებით გასათვალისწინებელი საკითხები (ახალი გარიგების საწყისი ციფრები)

ქვემოთ მოცემულია კითხვები, რომლებიც დამატებით უნდა გაითვალისწინოთ ახალი გარიგების საწყის ციფრებთან მიმართებით, ვინაიდან ეს საკითხები შესაძლოა გავლენას ახდენდეს გარიგებაზე დათანხმების ან მისი გაგრძელების გადაწყვეტილებაზე:


	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები				
1. ჩავთვალოთ, რომ გაქვთ შესაბამისი წვდომა, გადახედეთ თუ არა წინა აუდიტორის ან ბუღალტრის მიერ მომზადებულ წინა პერიოდის სამუშაო დოკუმენტებს, რათა: ა) შეგეფასებინათ წინა პერიოდის საბოლოო ნაშთების გონივრულობა, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდით მნიშვნელოვან ანგარიშებს, რათა განგესაზღვრათ, საჭიროებს თუ არა რომელიმე მათგანი გადაანგარიშებას; ბ) დაგედგინათ, გამოავლინა თუ არა წინა აუდიტორმა/ბუღალტერმა რაიმე არსებითი უზუსტობა; გ) განგესაზღვრათ მიმდინარე წელზე ისეთი არაარსებითი უზუსტობების გავლენა, რომლებიც წინა წელს არ შესწორდა; და დ) შეგეფასებინათ ხელმძღვანელობის საადრიცხვო სისტემის ადეკვატურობა, წინა აუდიტორის/ბუღალტრის მაკორექტირებელი ბუღალტრული გატარებების და ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილების მიმოხილვის გზით?				
2. განსაზღვრეთ, საჭირო იქნება თუ არა უარი მოსაზრების გამოთქმაზე, იმ მიზეზით, რომ ვერ მოხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება საწყისი ნაშთების შესახებ დასაბუთებული რწმუნების მისაღებად?				



დანართი ზ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - რესურსები და გარე კონსულტაცია

მცირე ფირმებს შეიძლება დასჭირდეთ გაიარონ გარე კონსულტაციები რთულ ოპერაციებთან, კომპლექსურ სტ სისტემებთან, სპეციალიზებულ ან არასტანდარტულ სააღრიცხვო საკითხებთან, დამოუკიდებლობის ან ეთიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით და ა.შ.
[ეს სია შეიძლება მორგებულ იქნეს ფირმის კონკრეტულ საჭიროებებზე და გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელოს სახით კონსულტაციის გავლისა და მისი დოკუმენტირების პროცესში.]

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები				
ხმს-თან შესაბამისობა კონსულტაცია/კონსულტაციის პროცესი შეუძლის თუ არა ხელს ფირმის ხმს-ის ფუნქციონირების რომელიმე ასპექტს? განიხილეთ, შესაფერისია თუ არა შემდეგი პროცედურები ან შესრულდა თუ არა ისინი:				
1. თანამშრომლების ინფორმირება გარე კონსულტაციასთან მიმართებით ფირმაში არსებული პოლიტიკებისა და პროცედურების შესახებ.				
2. იმ სფეროების ან კონკრეტული შემთხვევების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებენ კონსულტაციას განსახილველი საკითხის ხასიათიდან და სირთულიდან გამომდინარე, მათ შორისაა: ა) ახლახან გამოცემული ტექნიკური დებულებები; ბ) კონკრეტული დარგებისთვის გათვალისწინებული სპეციალური სააღრიცხვო, აუდიტორული ან საანგარიშგებო მოთხოვნები; გ) ახალ, არასტანდარტულ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები; ან/და დ) საკანონმდებლო და მარეგულირებელი ორგანოების (განსაკუთრებით უცხო ქვეყნის იურისდიქციის) მიერ დაწესებული ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნები.				
3. ადეკვატური ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების, აგრეთვე სხვა ავტორიტეტული წყაროების გამოყენება/შენარჩუნება ან მათზე წვდომის უზრუნველყოფა. ა) შესაბამისი რესურსების გამოწერებისა და მათზე წვდომის პროცესის მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განსაზღვრა. ბ) სხვა ფირმებთან და პროფესიონალებთან საკონსულტაციო პროცესის/მექანიზმების შენარჩუნება ფირმის რესურსების გასამდიდრებლად.				
4. სპეციალისტების დანიშვნა, რომლებიც კონსულტაციების პროცესში ავტორიტეტული წყაროების როლში მოიაზრებიან, ასევე კონსულტაციების პროცესში მათი უფლებამოსილების განსაზღვრა.				
5. იმ დოკუმენტაციის მოცულობის განსაზღვრა, რომელიც კონსულტაციის შემდეგ უნდა მომზადდეს იმ სფეროების და კონკრეტული შემთხვევების გარშემო, რომლებიც კონსულტაციას საჭიროებენ. ა) ფირმის წევრებისთვის რჩევის მიცემა იმასთან დაკავშირებით, რა მოცულობის დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს და ვინ იქნება პასუხისმგებელი მის მომზადებაზე. ბ) იმის მითითება, თუ სად უნდა მოხდეს კონსულტაციის დოკუმენტაციის შენახვა. გ) იმ თემატური ფაილების შენახვა, რომლებიც მოიცავს კონსულტაციების შედეგებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძიებისა და კვლევის მიზნებისთვის.				



საკონტროლო სიის ნიმუში - გარიგების ხარისხის მიმოხილვა

აქ წარმოდგენილი საკონტროლო სია მოიცავს გარიგების ხარისხის მიმოხილვისთვის შემოთავაზებული პროცედურების მაგალითებს. ამ საკონტროლო სიის ნიმუში ისეა შექმნილი, რომ ყველაზე მეტად შეესაბამება გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვის გარიგებებს, თუმცა შესაძლებელია მისი მოდიფიცირება და სხვა გარიგებებზე მორგებაც.

საკონტროლო სიის ეს ნიმუში წარმოადგენს მხოლოდ შემოთავაზებულ პროცედურებს. საჭირო იქნება მისი მოდიფიცირება/გაფართოება, რათა მოიცვას ნებისმიერი ისეთი დამატებითი პროცედურა, რაც აუცილებლად ჩაითვლება კონკრეტული გარიგების სტანდარტების მიხედვით. მასში ნაგულისხმევია, რომ უკვე განხილულია პირის შესაბამისობა გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის უფლებამოსილების კრიტერიუმებთან, მათ შორის ობიექტურობის საკითხი.

გაფრთხილება: საკონტროლო სიის ეს ნიმუში მოიცავს მხოლოდ შემოთავაზებულ პროცედურებს. აუცილებელი იქნება მისი მოდიფიცირება კონკრეტული სიტუაციის/გარიგების მოთხოვნების შესაბამისად.

სუბიექტი: _____ პერიოდის დასასრული: _____

გარიგების ტიპი: აუდიტი □ მიმოხილვა □ დაკავშირებული მომსახურება □
თუ დაკავშირებული მომსახურებაა, მიუთითეთ გარიგების ხასიათის შესახებ _____

პრაქტიკოსი/პარტნიორი: _____

გარიგების ხარისხის მიმომხილველი: _____ დასრულების თარიღი: _____
(სახელის და პოზიციის ჩათვლით) (იხილეთ შენიშვნა 2 და 3)
(იხილეთ შენიშვნა 1)

შენიშვნები: მნიშვნელოვანი მოთხოვნები

1. გარიგების ხარისხის მიმომხილველი უნდა იყოს კვალიფიციური და აკმაყოფილებდეს ამ როლის შესასრულებლად საჭირო უფლებამოსილების კრიტერიუმებს. ასევე უნდა გამოვლინდეს ნებისმიერი უფლებამოსილი პირი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს გარიგების ხარისხის მიმოხილვის პროცესში.
2. გარიგების ხარისხის მიმოხილვა არ არის უბრალოდ "გარიგების დასრულების" მიმოხილვა, არამედ გარიგების ხარისხის მიმომხილველმა გარიგების მიმდინარეობისას შესაფერის დროებში უნდა განახორციელოს მიმოხილვა. (იხილეთ ხმს 2, პუნქტი 24(ა)).
3. გარიგების ხარისხის მიმოხილვა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს გარიგების დასკვნის (ანგარიშის) თარიღისა.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა (გხმ) (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია მათ შორის განხილვების და განხილული საკითხების ამსახველი დოკუმენტები
1. მკაფიოდ შეათანხმეთ გარიგების პარტნიორთან გარიგების ხარისხის მიმოხილვის დრო, ხასიათი და მასშტაბი.				
2. მიმოიხილეთ დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ გარიგებაზე დათანხმების (ან მისი გაგრძელების, თუ ეს შესაფერისია) პროცედურები ჩატარდა.				
3. მიმოიხილეთ გარიგების წერილი.				
4. მიმოიხილეთ გარიგების გუნდის შემადგენლობისა და გარიგებისთვის საკმარისი დროის გამოყოფის მიზანშეწონილობა. (აუდიტების შემთხვევაში, უნდა შეაფასოთ აქვთ თუ არა გარიგების გუნდის წევრებს და ნებისმიერ გარე ექსპერტსა და შიდა აუდიტორებს (რომლებიც პირდაპირ დახმარებას უწევენ) ერთობლივად შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო აუდიტის გარიგების შესასრულებლად).				
5. დეტალურად გაეცანით ინფორმაციას, რომელიც მიაწოდა: - გარიგების გუნდმა გარიგებისა და სუბიექტის ხასიათისა და გარემოებების შესახებ. - ფირმამ მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შესახებ, კერძოდ იმ გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთ სფეროებთან, რომელიც გარიგების გუნდის მნიშვნელოვან დასკვნებს (გასნჯას) მოიცავს ან შეიძლება გავლენას ახდენდეს მათზე.				
6. გარიგების პარტნიორთან და, საჭიროების შემთხვევაში, გარიგების გუნდის სხვა წევრებთან განიხილეთ ის მნიშვნელოვანი საკითხები და მნიშვნელოვანი დასკვნები (განსჯა), რომლებიც გაკეთდა გარიგების დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშის მომზადების დროს.				
7. მიმოიხილეთ გარიგების შერჩეული დოკუმენტაცია, რომელიც უკავშირდება გარიგების გუნდის მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან დასკვნებს (გასნჯას) და შეაფასეთ: - მნიშვნელოვანი განსჯის საფუძველი, მათ შორის, გარიგების ტიპის შესაბამისად, გარიგების გუნდის მიერ პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება; - ადასტურებს თუ არა გარიგების დოკუმენტაცია გამოტანილ დასკვნებს; და - არის თუ არა გამოტანილი დასკვნები ადეკვატური.				
8. მიმოიხილეთ შეფასების პროცედურები, რომლებიც სრულდება სხვების სამუშაოზე დაყრდნობით. მაგალითად, აუდიტის გარიგებისთვის „სხვების სამუშაო“ შეიძლება იყოს აუდიტორის ექსპერტის, ხელმძღვანელობის ექსპერტის ან შიდა აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაო. ასევე, გაითვალისწინეთ შედეგები მომსახურე ორგანიზაციის ჩართულობის შემთხვევაში.				
9. მიმოიხილეთ შესაბამის კანონმდებლობასთან, საფონდო ბირჟაზე განთავსების მოთხოვნებთან (როდესაც ეს შესაფერისია) და კრიტერიუმებთან შესაბამისობის პროცედურები.				
10. მიმოიხილეთ ფუნქციონირებადი საწარმოს საკითხებთან დაკავშირებული დასკვნები, თუ ეს შესაფერისია.				
11. მიმოიხილეთ გარიგების პროცესში გამოვლენილი შესწორებული და შეუსწორებელი უზუსტობების მნიშვნელოვნება და მათი განაწილება, გარიგებების შესაბამისად.				
12. მიმოიხილეთ ხელმძღვანელობის ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი წარმომადგენლობითი წერილი, საჭიროებისამებრ.				

გარიგების ხარისხის მიმოხილვა (გხმ) (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია მათ შორის განხილვების და განხილული საკითხების ამსახველი დოკუმენტები
13. მიმოხილეთ ხელმძღვანელობისთვის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის მიწოდებული ან მისაწოდებელი ინფორმაცია/საკითხები, საჭიროების შემთხვევაში.				
14. მიმოხილეთ სუბიექტის გარეთ არსებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო(ებ)ისთვის მიწოდებული (ან რაც უნდა მიეწოდოთ) ინფორმაცია/საკითხები.				
15. მიმოხილეთ იმის მტკიცებულებები, რომ შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის მიმოხილული და დოკუმენტირებული, გარიგების შესაბამისად.				
16. გამართეთ დისკუსია გარიგების პარტნიორთან გარიგების ხარისხის მიმოხილვის პროცესში რთულ ან სადავო საკითხებთან დაკავშირებით და შეაფასეთ, ჩატარდა თუ არა სათანადო კონსულტაციები.				
17. შეაფასეთ როგორ მოხდა რთულ ან სადავო საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის დოკუმენტირება და გადაწყვეტილების მიღება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.				
18. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შემთხვევაში, შეაფასეთ გარიგების პარტნიორის იმ დასკვნის საფუძველი, სადაც მითითებულია, რომ დაკმაყოფილებულია დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის ფირმისა და პერსონალის (მომსახურების პროვაიდერების ჩათვლით) დამოუკიდებლობა.				
19. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შემთხვევაში, შეაფასეთ გარიგების პარტნიორის იმ დასკვნის საფუძველი, სადაც მითითებულია, რომ გარიგების პარტნიორის ჩართულობა საკმარისი და ადეკვატური იყო აუდიტის გარიგების მთელი პერიოდის განმავლობაში, ისე რომ გარიგების პარტნიორს აქვს საფუძველი დაასკვნას, რომ მნიშვნელოვანი განსჯა და გამოტანილი დასკვნები შესაფერისია გარიგების ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით.				
20. როდესაც გარიგების პარტნიორი არ ეთანხმება თქვენს რეკომენდაციებს და არ ხდება საკითხის ისე გადაჭრა, რაც თქვენ დაგაკმაყოფილებდათ, ანგარიში (დასკვნა) არ უნდა დათარიღდეს მანამ, სანამ საკითხი არ გადაწყდება ფირმის იმ პროცედურების შესაბამისად, რომელიც აზრთა სხვადასხვაობის განხილვას არეგულირებს. მოიყვანეთ დეტალები, საჭიროების შემთხვევაში.				
21. მიმოხილვა: (i) ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის - ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში, აუდიტის ძირითადი საკითხების აღწერა; (ii) მიმოხილვის გარიგებებისთვის - ფინანსური ანგარიშგება ან ფინანსური ინფორმაცია და გარიგების შესაბამისი ანგარიში ; ან (iii) სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებისთვის - გარიგების ანგარიში და, საჭიროების შემთხვევაში, განსახილველი საგნის ინფორმაცია.				
22. შეატყობინეთ გარიგების პარტნიორს, თუ ფიქრობთ, რომ გარიგების გუნდის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი განსჯა ან გამოტანილი დასკვნები, არ არის ადეკვატური. თუ თქვენი ასეთი მოსაზრება არ იქნება გათვალისწინებული ისე, რაც თქვენ დაგაკმაყოფილებდათ, შეატყობინეთ ფირმაში შესაბამის პირ(ებ)ს, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვის დასრულება შეუძლებელია.				

გარიგების ხარისხის მიმომხილველის დასკვნა და ხელმოწერა: _____

დასრულდა გარიგების ხარისხის მიმოხილვა? დიახ ☐ არა ☐

მე ვასკვნი, რომ ხმსს 2-ის მოთხოვნები გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებით შესრულებულია.

დასრულების შესახებ გარიგების პარტნიორის ინფორმირების თარიღი: _____

დანართი ი:
განმარტებები



ცხრილში, კომენტარებთან ერთად, მოცემულია ხმს 1-ში წარმოდგენილი განმარტებები. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვისა და დოკუმენტების მომზადების ეტაპზე გამოიყენოთ სტანდარტის ტერმინოლოგია.

ამონარიდი - ხმს 1, პუნქტი 16	კომენტარები
ხმს 1-ის მიზნებისთვის, მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:	
(ი) ფირმა – ინდივიდუალური პრაქტიკოსი, პროფესიონალ ბუღალტერთა ამხანაგობა ან კორპორაცია ან პროფესიონალ ბუღალტერთა სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის სუბიექტი, ანდა სახელმწიფო სექტორის ანალოგიური სტრუქტურული ერთეული. (იხ. პუნქტი გ18)	გაითვალისწინეთ ტერმინ "ფირმის" ინკლუზიური ხასიათი. თუ თქვენ ხართ ინდივიდუალური პრაქტიკოსი თანამშრომლების გარეშე, სტანდარტის წაკითხვისას გაიაზრეთ, რომ ის თქვენც გეხებათ, თუმცა უმთავრესია გამოავლინოთ და გაითვალისწინოთ მისი გრადაციის შესაძლებლობები.
(კ) საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტი – სუბიექტი, რომლის აქციები ან სავალო ფასიანი ქაღალდები კოტირებული ან დაშვებულია საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოფიციალურ საფონდო ბირჟაზე, ან იყიდება ოფიციალური საფონდო ბირჟის ან სხვა ანალოგიური ორგანოს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.	საკითხი ამ სერიაში არ არის განხილული. სტანდარტების კითხვისას, შეგიძლიათ უგულებელყოთ საფონდო ბირჟაზე კოტირებულ საწარმოებთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკუსია, თუ თქვენს პოლიტიკაში განსაზღვრავთ, რომ ასეთ დამკვეთებს არ იღებთ.
(ლ) ქსელის ფირმა – ფირმა ან სუბიექტი, რომელიც ეკუთვნის ფირმის ქსელს.	საკითხი ამ სერიაში არ არის განხილული.
(მ) ქსელი – მსხვილი სტრუქტურა, რომელიც: (იხ. პუნქტი გ19) (i) შექმნილია თანამშრომლობისთვის; და (ii) აშკარად მიზნად ისახავს მოგების ან დანახარჯების განაწილებას, ან გააჩნია საერთო საკუთრება, საერთო კონტროლის ან მართვის სისტემა, საერთო ხარისხის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საერთო ბიზნესსტრატეგია, იყენებს საერთო საფირმო ნიშანს ან საერთო პროფესიული რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს.	საკითხი ამ სერიაში არ არის განხილული. სტანდარტების კითხვისას, შეგიძლიათ უგულებელყოთ ქსელთან და ქსელის ფირმებთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკუსია, თუ თქვენ არ ხართ ქსელის წევრი და ამ საკითხს მიუთითებთ ფირმის ხასიათის მიმოხილვისას/დოკუმენტირებისას.
(პ) პროფესიული განსჯა – შესაბამისი პრაქტიკული მომზადების, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება პროფესიული სტანდარტებით განსაზღვრულ კონტექსტში, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირებისთვის შესაფერისი სამოქმედო კურსის შესახებ.	პროფესიული განსჯა გამოყენებულ უნდა იქნეს ხმს-ის განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე. ასეთი განსჯა დოკუმენტურად უნდა ასახოთ დოკუმენტაციის ზოგად პრინციპებში.
(ჟ) პროფესიული სტანდარტები – აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სტანდარტები, როგორც განმარტებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის წინასიტყვაობაში“ და ასევე სათანადო ეთიკური მოთხოვნები.	სტანდარტების წაკითხვისას, გაითვალისწინეთ, რომ იგი მოიცავს შესაბამის გარიგებებთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს.



ამონარიდი - ხმს 1, პუნქტი 16	კომენტარები
(რ) ხარისხის მიზნები – ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტებთან დაკავშირებული, დასახული სასურველი შედეგები, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს ფირმამ.	
(ს) ხარისხის რისკი – რისკი, რომელიც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ: (i) წარმოიქმნას; და (ii) ინდივიდუალურად ან ხარისხის სხვა რისკებთან ერთად უარყოფითად იმოქმედოს ერთი ან რამდენიმე ხარისხის მიზნის მიღწევაზე.	გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გამოავლენთ ბევრ რისკს, მაგრამ ხარისხის რისკი არის ის, რომელსაც აქვს წარმოშობის გონივრული „ალბათობა“ და ექნება ხარისხის ერთ ან მეტ მიზნის მიღწევაზე უარყოფითი ზემოქმედების გონივრული „ალბათობა“.
(ქ) მომსახურების პროვაიდერი (ხმს 1-ის კონტექსტში) – ფირმის გარე ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ფირმას აწვდის ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულებისას გამოსაყენებელ რესურსებს. ტერმინი „მომსახურების პროვაიდერი“ არ მოიცავს ფირმის ქსელს, ქსელის სხვა ფირმებს და არც ქსელის ფარგლებში არსებულ სხვა სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს; (იხ. პუნქტები გ28, გ105)	მცირე ფირმებში ზოგჯერ იყენებენ ისეთ მომსახურების პროვაიდერებს, როგორებიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული (სტ) მომსახურების პროვაიდერები, ტექნიკური მხარდაჭერის გუნდი, დროებითი კონტრაქტორები, რომლებიც ჩართულნი არიან გარიგებების შესრულებაში ფირმასთან დაუკავშირებელი სუბიექტის მხრიდან და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ შეამჩნიოთ სტანდარტში მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებული მითითებები და გაიაზროთ, რომ თქვენი ხმს-ის გარკვეული კომპონენტები მათ ეხებათ. თქვენი ფირმის სტრუქტურის შეჯამებისა და დოკუმენტირებისას აუცილებლად აღწერეთ მომსახურების პროვაიდერები, მოიპოვეთ და განიხილეთ შესაბამისი ხელშეკრულებები, რათა განსაზღვროთ, როგორ არის თავსებადი ეს შეთანხმებები ხარისხის მიზნებთან, ხარისხის რისკებთან და საპასუხო ზომებთან, ასევე, როგორი ურთიერთობა შეიძლება დაგჭირდეთ მომსახურების პროვაიდერებთან.
(ღ) თანამშრომლები – ფირმის მიერ დაქირავებული პროფესიონალები, პარტნიორების გარდა, მათ შორის ექსპერტები	მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მცირე ფირმამ ექსპერტი დაიქირაოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტანდარტების კონტექსტში ფირმის ექსპერტები "თანამშრომლებად" მიიჩნევიან.
(ყ) ხარისხის მართვის სისტემა – სისტემა, რომელიც ფირმამ შექმნა, დანერგა და ამუშავებს იმისთვის, რომ მიიღოს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ: (i) ფირმა და მისი პერსონალი თავიანთ პასუხისმგებლობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებებსაც ასრულებენ ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით; და (ii) ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული დასკვნები (ანგარიშები) კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.	ჩვეულებრივ მოიხსენიება, როგორც ხმს.

დანართი კ:
რესურსები

1

წაკითხეთ სტანდარტები, რომლებიც ხელმისაწვდომია IAASB-ის ვებგვერდზე: <https://www.iaasb.org/focus-areas/quality-management> ვებგვერდი მოიცავს სამ სტანდარტს, ასევე პირველად დანერგვის სახელმძღვანელოს და სხვა რესურსებს.




2

იხილეთ IFAC-ის ვებგვერდი: <https://www.ifac.org/knowledge-gateway/discussion/quality-management> ვებგვერდზე იპოვით სხვადასხვა რესურსებს, რომლებიც დანერგვის გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებში დაგეხმარებათ.



3

იხილეთ ეთიკის კოდექსი IESBA-ის ვებგვერდზე: <https://www.ethicsboard.org/>



დანართი ლ:
სერიის შემდგომი
მიმოხილვა

ნაწილი #3: მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი

ეს ნაწილი შეეხება შემდეგს:

- როგორ შევიმუშაოთ ხმს-ის შიდა მონიტორინგის ღონისძიებები, რათა უზრუნველყოთ რელევანტური, სანდო და დროული ინფორმაცია ხმს-ის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ (ფოკუსის გადატანა გარიგების ღონის მონიტორინგიდან). გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიებების გაუმჯობესებისთვის უმთავრესია პროაქტიული და იტერაქციული მიდგომა.
- მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განმაპირობებელი ფაქტორები, ე.ი. დასრულებული გარიგებების ინსპექტირებასთან დაკავშირებული მიდგომა. მონიტორინგის ღონისძიებების გატარება შეიძლება დაიწყოს დასრულებული გარიგებების რეგულარული ციკლური ინსპექტირებით, მაგრამ სხვა მიზეზებმა, მაგალითად რისკების შეფასებამ, ასევე გარიგებების მიმდინარეობამ, შეიძლება ეს შეცვალოს.
- ჩასატარებელი მონიტორინგის ღონისძიებების მასშტაბი, ტექნოლოგიები/პლატფორმა, რომელიც შეიძლება ამ ღონისძიებებისთვის იქნეს გამოყენებული. რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები უწყვეტი გაუმჯობესების უკუკავშირის ჯაჭვისთვის.
- აღმოჩენილი ფაქტების შეფასების, ნაკლოვანებების გამოვლენის და ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასების ჩარჩოს შექმნა, რაც მოიცავს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის მოკვლევას.
- როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირება, როგორცაა:
 - გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად რემედიაციის ისეთი ზომების შემუშავება და გატარება, რომლებიც გამომწვევი მიზეზების ანალიზის შედეგებს მიესადაგება.
 - შეფასება იმისა, არის თუ არა რემედიაციის ზომები სათანადოდ შემუშავებული, და თუ არა, სათანადო ზომების მიღება.
 - შეფასება იმისა, იყო თუ არა ეფექტური რემედიაციის ის ზომები, რომლებიც წინა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარდა, და თუ არა, სათანადო ზომების მიღება.
- კომუნიკაცია მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შესახებ, მათ შორის, ვისთან არის საჭირო კომუნიკაცია და რა საკითხების შესახებ უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება.
- ხმს-ის შეფასება 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, მე-3 ნაწილში კიდევ ერთხელ იქნება განხილული გარიგების შესრულების კომპონენტი მონიტორინგისა და რემედიაციის კონტექსტში.

ამ სერიის მე-3 ნაწილში კვლავ დავუბრუნდებით შემთხვევის ანალიზს.





529 Fifth Avenue | New York, NY 10017

www.ifac.org



@International Federation of Accountants



@IFAC



@InternationalFederationOfAccountants

პროექტები, კონსულტაციები და IFAC-ის სხვა პუბლიკაციები ქვეყნდება IFAC-ის მიერ და მასზე საავტორო უფლება აქვს IFAC-ს.

IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას იმ პირზე, რომელიც მოქმედებს ან არ მოქმედებს ამ პუბლიკაციაში მოცემული მასალის შესაბამისად, თუ მისი ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით ან სხვაგვარად.

IFAC-ის ლოგო, "International Federation of Accountants" და "IFAC" წარმოადგენს IFAC-ის სავაჭრო ნიშნებს და სახელწოდებას, რომლებიც დარეგისტრირებულია აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლება © 2022 ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC). ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე პუბლიკაციის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის საჭიროა IFAC-ის წერილობითი ნებართვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტი გამოიყენება ინდივიდუალურად, არაკომერციული მიზნით. ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: permissions@ifac.org.